

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეტიმოლოგიური ძიებანი

XV

ექვთიშვილი

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას
დაბადებიდან 120 წლისთავს

თბილისი

2018

UDC (uak)81373.6(0512)

ე-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდააკად. ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედეა ღლონტი (რედაქტორი)

ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა (მთავარი რედაქტორი)

ზურაბ ჭუმბურიძე

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

ნოდარ არდოტიანი

ერთი ხევისკურული დღესასწაულის (დატიობა)
პტიმომლობისათვის

პირიქითა ხევისკურეთის ერთ-ერთ სოფელში – არდოტში ივნი-სის დამდეგს, სამი დღის განმავლობაში (შაბათს, კვირას და ორშა-ბათს), იმართება საკულტო-რელიგიური დღესასწაული „დატიობა“. ამ დღეობას დღესასწაულობენ ორი გვარის წევრები – მურღვანი (<ჭინჭარაულები) და ზვიადაურები. ეს გვარები ცხოვრობდნენ არ-დოტში, ანდაქსა და არჭილოში. ბოლო ორი სოფლის მოსახლეობა არდოტიდან არის განსახლებული და, ბუნებრივია, ისინი არდოტის ჯვრის ყმებად ითვლებიან, თუმცა ადგილობრივ თავისი ხატ-სალო-ცავებიც აქვთ. ამასთანავე, ანდაქ-არჭილოს მკვიდრნი ისევე მონაწი-ლეობენ კულტმსახურების შესრულებაში, როგორც საკუთრივ არ-დოტის ამჟამინდელი მოსახლეობა.

საპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულდღესასწაულს გა-კვრით იხსენიებს ვ. ბარდაველიძე. იგი წერს: „მეკვირაე დასტურნი წელწადში და დატიობაზე (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ა.) მეოთხე ქვაბს ადულებდნენ და მათ ნადულარ ლუდით დიდდებოდა კვირაე“. ან-და: „ამ დობილში „წელიწადში“ და „დატიობაზე“ იკვლებოდა თითო საკლავი სარიგო, სოფლისაგან“ (ბარდაველიძე 1982, 131, 137). გარდა ამისა, არდოტის დასახლებისა დამის საყმოში ჯვარჩენის შესახებ არსებულ გადმოცემებს ვაწყდებით ზ. კიკნაძის რელიგიურ-მიტო-ლოგიურ ტექსტებში (კიკნაძე 2009, 126-132).

ზემონახსენებ დღესასწაულზე ძირითადად საყოველთაოდ ცნობილი დღეობის – ათენგენობის ანალოგიური საწესჩვეულებო რიტუალები და კულტმსახურება სრულდება.¹ მსხვერპლთშეწირვის რიტუალის შესრულებისას ხუცესი ჯვარ-ხატთა სადიდებლის იმავე ტექსტს წარმოთქვამს, რასაც ათენგენობაში. დატიობაში სასმელს

¹ ზოგი განსხვავება მაინც შეინიშნება: ა) დატიობაში მცირეწლოვან ბავშვებს მიაბარებენ ჯვართ, ხოლო ათენგენობაში ეს რიტუალი არ სრულდება; ბ) ათენგენო-ბისაგან განსხვავებით, აშლის დაშლა დატიობაში არ ხდება; გ) განსხვავება თავს იჩენს შეწირული მსხვერპლის განაწილებაში და მისთ.

ადიდებენ, მსხვერპლს სწირავენ – სანათლავს, სამეშლოსა და საზღვნელ საკლავებს კლავენ, პატარა ბავშვებს ჯვართ მიაბარებენ და ა. შ. აღნიშნულ დღესასწაულზე ევედრებიან არდოტში არსებულ რამდენიმე ჯვარს, რომელთაც ხუცესი სადიდებელ ტექსტში შემდეგნაირად მიმართავს: 1) **ბისოურს**: დედაო ღთისობელო, მოდეო სომხოზ გორისაო, ბისოს კალთაზე მობურთვალო, ხოდაბურთ ყარაულო! 2) **წმინდა გიორგის**: გიორგი სომხოზ (/ / სომხოს) გორისაო! 3) **ბაიტურს**: ქვაბ-საკიდლის ანგელოზო, მეხვეწურების მწყალობელო! 4) **სანეურს**: მესამე სანებაო, ცის კლიტეთ ყარაულო, კორკოტათ მფარველო! 5) **კოპალას**: კარატის წვერზე მობურთვალო, ლადო ლახტიანო! 6) **დობილთ**: ციხე-კრის ანგელოზნო, მოლაშქრეთ და-დობილნო! 7) **თავად მთავარანგელოზს**: თავადო მთავარანგელოზო, დარბაზთ ყარაულო!

ყურადღებას იქცევს ზემოციტირებული ტერმინი „დატიობა“, რომელიც, სავარაუდოა, გენეზისურად მასდარ „დატევებას“ (შდრ. „ამაღლება“, „ადღგომა“, „აღება“, „შობა“...) უკავშირდება. ხეცსურულ კილოში ეს მასდარი „მეტევის“, „გამოდევნება-გამოკიდების“ შინაარსის შემცველია. საანალიზო სიტყვის ძირითად ეტიმონად „დატევა“ გვევლინება, რომელზედაც ზმნისწინებისა თუ თემის ნიშანების დართვით მისი მნიშვნელობაც სათანადოდ იცვლება, მაგ.: გა-ტევა-ა „გაშვება“; და-ტევა-ა 1) „ადგილზე მოთავსება“ („საკამოს ადგილის მიღება“ – ნ. ჩუბინაშვილი 1961, 197); 2) „გაჯავრება“, „გაწყრომა“, „დასევა“, „მიტევა“¹ (ქეგლ 1953, 747); და-ტევა-ებ-ა „გაშვება“²(საბა).

საანალიზო ტერმინში ფონეტიკური პროცესი ამგვარად უნდა წარმართულიყო: **დატევება>დატეობა>დატიობა**. აღსანიშნავია, რომ ფონეტიკურ ცვლილებათა ყველა საფეხური ამჟამადაც კარგად არის დაცული ენაში. კერძოდ, მეორე საფეხურად მიჩნეული ფორმა (დატეობა) იდენტურივე მნიშვნელობით დღესაც დასტურდება ახმეტის რაიონში მოსახლე არდოტის ოდინდელ მკვიდრთა მეტყველებაში. მამასადამე, ე>ი სპონტანური ფონეტიკური პროცესი (შანიძე 1980, 28; ჯორბენაძე 1998, 142-149...) ნიშანდობლივია ხეცსურულისათვი-

¹ ეს სიტყვა დაახლოებით ამავე მნიშვნელობით მთის დიალექტიდან შეუთვისებია ბაცბურს: დატევა-დ-არ „დატევა“, „დამუქრება“ („угражать“).

² „დატევის“ მნიშვნელობით ხეცსურულში „გაწირვა“ იხმარება.

საც (ჭინჭარაული 1960, 14). მასთან, ე/ი ალტერნაცია, ფუძედრეკად ზმნებს რომ ახასიათებს, მიმღობაშიც დაჩნდება, მაგ.: „დასატიებლად მტრისადა ქვას ღვეიხარ მგორიალესა“ (ხევს. პოეზ. 485, 2). რაც შეეხება ვე>ო პროცესს, ესეც არ არის უცხო ხვესურულში (ჭინჭარაული 1960, 21), მაგ.: გაუშობს < გაუშვებს, ხოყანა < ქვეყანა და მისთ. ძვ. ქართ. მ-ტე-ობ-არ-ი („შემტევი“) სწორედ მ-ტეფ-ებ-არ-იარქეტიპიდან ჩანს მიღებული.

საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში მეორე და მესამე საფეხურის პოლისემანტიკური ფორმები ერთმანეთის პარალელურად დასტურდება დატეობად //< დატევებად, რაც ვე >ო პროცესის მართებულობას დამატებით ცხადყოფს.

კითხვა ისმის: საანალიზო სახელის ძირეულ მორფემად ოდენ ტ- გამოიყოფა (ჩიქობავა 1938, 21), თუ –ტეჲ- (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 253; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 429-430)?¹

როგორც ცნობილია, ქართ. ტევ- ფუძის ტოლფარდად ზანურში ტ-ალ- (ჭან.), მეგრ. ტ-ალ- // ტ-ევ- (მეგრ.) დასტურდება. ქართულ-ზანური ერთიანობის ქრონოლოგიურ დონეზე ძირეულ მორფემად გამოყოფილია ოდენ *ტ- (ჩიქობავა 1938, 21).

ჩვენი მოსაზრებითაც, ძირეულ მორფემად ოდენ ტ- უნდა გამოიყოს, ვინაიდან, ჭანურისა და მეგრულის მონაცემებით, ძირის სტრუქტურაში -ეჲ არ რეკონსტრუირდება.² ქართ. -ეჲ ფუძის ფორმანტის ეკვივალენტად, ხმოვანთა შესატყვისობის მიხედვით, უნდა მოგვეხდინა *-აჲ დეტერმინანტული აფიქსის პოსტულირება, რაც შეუძლებელია.

ყურადღებას იქცევს სვანურის ჩვენება: ტჲჲა (ზზ., ლაშხ.), ტაჲა (ბქ.), ტჲჲა (უშგ.). ფუძისეული ხმოვნის სიგრძე სვანურის ზოგ დიალექტში მკვლევართა ერთ ნაწილს საფუძველს აძლევს საერთო-ქართველურში აღადგინოს *ტჲჲ- ძირი(გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965,

¹გ. კლიმოვი ფუძის სტრუქტურის საკითხს ღიად ტოვებს და აქვე იმოწმებს რ. ლაფონის მოსაზრებას, რომელიც სათანადო ნახურ-დაღესტნურ *თ ძირიან ზმნასთან ავლებს პარალელს (შდრ. ჩეჩნ. დ-ი-თ-ა, ხუნძ. თ-ე-ზე „დატოვება“) (კლიმოვი 1964, 180).

²მეგრ. -ევ მონოკონსონანტური ზმნური ძირის ფუძედ გამაფორმებელი ფორმანტი, შესაძლოა, ქართულიდან იყოს ნასესხები.

253). უმგ. ტაჭა მიგვანიშნებს, რომ აუსლაუტში რაღაც პალატალური ხმოვანი არის რედუცირებული, რომელსაც გამოუწვევია ზ-სუმლაუტი. ამასთან ერთად, ძველ ქართულში დადასტურებული ფორმა განუტევამის მაუწყებელიც არის, რომ ე/იმონაცვლეობა გვიანდელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთო-ქართველურ ენაში საანალიზო ზმნის ძირეულ მორფემად პოსტულირდება ყველა ქართველურ ენაში ბგერათიგივეობით წარმოდგენილი *ტ-, ხოლო ფუძედ აღდგება *ტეჟ-.

თავდაპირველად ზმნისწინთა დაურთველად გამოყენებულ საანალიზო ზმნას „მოთავსების“, „ადგილის მოპოვების“, „დაჩემების“ შინაარსი უნდა ჰქონოდა. მოგვიანებით, სადერივაციო ნიშნების დართვით, მნიშვნელობის არე გაუფართოვებია და სემანტიკური გადახრის შედეგად ზოგი, მანამდე უქონელი, გაგება შეუძენია.

რაც შეეხება „დატიობას“, საფიქრებელია, რომ ამ დღესასწაულის დაარსებასა და სახელდებას კონკრეტული ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად. კერძოდ, ხევსურული ხალხური გადმოცემა გვაუწყებს, რომ დღესასწაულ „დატიობას“ საფუძველი ჩაეყარა არდოტის სასამოვრე მთების დავისთვის მტერთან ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად. ცნობილია, აგრეთვე, ისიც, რომ ამ ლაშქრობაში არა მარტო უშუალოდ არდოტის მკვიდრნი იბრძოდნენ, არამედ პირაქეთა ხევსურეთიდანაც მონაწილეობდნენ გუდანის ჯვრის ყმანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე 1982 – ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II. თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965– თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი.

კიკნაძე 2009– ზ. კიკნაძე, ანდრეზები. თბილისი.

კლიმოვი 1964– Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков. Москва.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990– ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.

შანიძე 1980– აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.

ჩიქობავა 1938– არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.

ჭინჭარაული 1960– ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი.

ჯორბენაძე 1998– ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი.

Nodar Ardoteli

On the Etymology of One of the Khevsurian Feasts Called “Datioba”

Summary

In the village of Ardoti in Pirikita Khevsureti, the cultic-religious feast “Datioba” is celebrated in the end of June. During the feast mainly the traditional rituals similar to “Atengenoba” are observed.

We think that “Datioba” is related to the masdar *daṭcveba* “to chase; to attack (in Khevsurian dialect)” (c.f. *amayleba*, *aydgoma*, *ayca*, *šoba*, etc.). In our opinion, the phonetic process was as follows: **daṭcveba**>*daṭcoba*>*daṭioba*.

Taking the data of Georgian dialects and the Kartvelian Languages into consideration, the root morpheme *ṭ- and the base morpheme *ṭew- can be reconstructed in the said masdar.

The form (**daṭcoba**) that is considered as the second step is attested with the same meaning in the speech of the inhabitants of Ardoti living in Akhmeta municipality even today.

The present assumption is also supported by the folk narrative according to which “Datioba” started as a celebration for winning the battle to protect the nearby mountains.

ამირან ბასილაშვილი

მართი საერთო საღერმეო სუფიქსი უდიურსა და ქართულში

უდიური და ქართული იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრი ენებია. ქართული ქართველურ ენათა ჯგუფს, ხოლო უდიური დაღესტნურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. იბერიულ-კავკასიური ენები სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და საერთო წარმომავლობის (გენეზისის) მიხედვით ერთიანდებიან, სწორედ ეს უდევს საფუძვლად იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ლინგვისტური კავკასიოლოგია) წარმატებით და ნაყოფიერად იყენებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს, რომელიც გულისხმობს ამ ოჯახის ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დადგენას და ფუძე-ენის დონზე არქეტიპთა რეკონსტრუქციას (ჯერ ერთი ენობრივი ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ფარგლებში, ხოლო შემდგომ – საერთოკავკასიურ დონეზე).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობათა სისტემის გარდა, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მორფოლოგიური ინვენტარის მასალობრივ და ფუნქციურ სიახლოვეს (რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ბგერათშესატყვისობის ჩვენებას მორფოლოგიური ინვენტარის დონეზეც). წარმოდგენილ წერილში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ სიტყვამაწარმოებელ სუფიქსზე, რომელიც დასტურდება როგორც უდიურში, ასევე ქართულში.

უდიურ ენაში კნინობითობას გამოხატავს -იკ სუფიქსი: ხუნჩი „და“, ხუნჩ-იკ „დაიკ“. ზოგიერთ უდიურ სახელში -იკ სუფიქსი ფუძესაა შეზრდილი და სინქრონიულ დონეზე არ გამოიყოფა, მაგრამ სახელში კნინობითობა (სიმცირე, ალერსობითობა) მაინც წარმოჩინდება:

ბინ-იკ „თოჯინა“ (შდრ. ბინ „რძალი“, „პატარძალი“)

მიწ-იკ „პატარა“, „პაწაწინა“

ფოთ-იკ „გოჭი“

ფუტთლ-იკ „ბუთხუზა“

ჭაჭ-იკ „თათი“ (ჯეირანიშვილი 1971 : 27)

სახტ-იკ „კოჭლი“¹

ხალ-იკ „ბიძა (დედის მხრიდან)“²

ქართულ ენაშიც კნინობითობის გამომხატველ მრავალრიცხოვან მაწარმოებელთა შორის დასტურდება -იკ(-ო/-ა) სუფიქსი: ბეს-იკ-ი, მამ-იკ-ო, და-იკ-ო, მარ-იკ-ა (შანიძე 1973 : 121), (თქემ 2011: 235). უდიურის მსგავსად, მრავალ ქართულ ფუძეშიც გამოჩნდება-იკ კნინობითობის სუფიქსი, რომელიც ფუძესაა შეხორცებული, მაგრამ კნინობითობის სემანტიკა ხელშესახებია. ასეთი ფუძეები ჩანს: ბიჟ-იკ-ი „მომცრო“ (საბა), ბო-იკ-ი „ორი წლის ჯარი“ (საბა), ბოჩ-იკ-ი „წლის ირემი“ (საბა),³ ვაც-იკ-ი „სამამლე თიკანი“ (საბა), პოპლ-იკ-ა „უბალნო“, „არა წვერ-ულვამ მსხმო“ (საბა)...⁴

მონათესავე ენებს შორის იდენტურ აფიქსურ მორფემათა გავლენისას დაისმის რამდენიმე საკითხი: არის თუ არა ასეთი აფიქსი ორივე შესადარებელი ენის კუთვნილება? ეძებნება თუ არა პარალელები სხვა მონათესავე ენებში (ანუ რამდენად არის შესაძლებელი ფუძემეწური წარმომავლობის აფიქსთან გვექონდეს საქმე)? ხომ არ არის ნასესხები ერთი ენიდან მეორეში? ქვემოთ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

კ თანხმოვნის შემცველ სუფიქსთა, როგორც კნინობითობის გამომხატველ მორფემათა, კვალიფიკაცია პირველი ქართველი გრამატიკოსების სახელთან არის დაკავშირებული. **კი** „ართრონის“ შესახებ სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს: „...კი ითქმის **ცუდად**: წინაკი, შვილაკი, დებორაკი, და რაისაცა ზედა გინდა **სიცუდედ** მოვალს, რომელიმე **სიმდაბლით** დაირქვამს“ (ორბელიანი 1991 : 370-371). ანტონ კათალიკოსი სხვა სიტყვამაწარმოებელ აფიქსთა შორის

¹ შდრ. სახტესუნ „კოჭლობა“ (ლოლუა 2010 : 104)

² შდრ. თაბასარაშული ხალუ „ბიძა“ (ბარამიძე 2009 : 63)

³ შდრ. ბოჩ-ოლ-ა „გამოწამთრული ზროხა“ (საბა); ბაჩა (კუთხ.) „პატარა ტანის საქონელი საერთოდ“ (ქეგლ); ბაჩაკი (რაჭ.) „პატარა ტანის ძროხა“ (ალავიძე); ბუჩინა (ქიზიყ.) „ზაქი წლამდე“ (ქეგლ); ფუჩინა (მოფერ.) „ხბო, ზაქი“ (ბავშვის ენაზე), „ძროხა“ (ქეგლ).

⁴ შდრ. უდიური ფოგ „თმა“.

ჩამოთვლის აკი, კი სუფიქსებსაც და გამოყოფს წარმოქმნილ სახელთა ჯგუფს, რომელსაც ეწოდება „კნინობითნი“ (ფოცხიშვილი 1979 : 87-88). წარმოქმნილ სახელთა კნინობითი ჯგუფი (კ-ს შემცველი სუფიქსებით) გამოყოფილია ანტონის მომდევნო გრამატიკოსთა მიერაც – გაიოზ რექტორი, ძმები დავით და იოანე ბაგრატიონები, იოანე ქართველიშვილი (ფოცხიშვილი 1979 : 227, 281).

-Vკ კნინობითობის გამომხატველ სუფიქსთა წარმომავლობას ქართულში შეეხო არ. მარტიროსოვი (1978). მეცნიერის ვარაუდით, ეს აფიქსები ქართულში, ისევე როგორც ანალოგიური შედგენილობისა და ფუნქციის სუფიქსები სომხურში, სპარსულის გავლენითაა გაჩენილი. არ. მარტიროსოვის მსჯელობაში ჩანს საკითხთან დაკავშირებული მასალისადმი დიფერენცირებული მიდგომა, მაგრამ ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, ბოლომდე გატარებული არ არის. ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია შესაძლებლობა, -აკ-ით დაბოლოებული კნინობითი შინაარსის სიტყვა-ფორმათა წარმოქმნა სპარსულიდან შემოსული -აკ სუფიქსის მქონე სიტყვების წაბადებით, ამ სუფიქსის სესხების გზითა და დასახელებული სუფიქსის კნინობითობის ფუნქციის დაკავშირებით ზოგი ამგვარი ნასესხები სიტყვის თავისებურ სემანტიკასთან. შესაბამისად, სწორი არ უნდა იყოს -იკ და -უკ სუფიქსთა წარმოშობის საკითხის ამავე კონტექსტში დასმაც. კნინობითობის ზოგიერთი აფიქსისა, რომელსაც პარალელი მოეპოვებოდა სხვა ენებში (მაგ. -აკ), სესხება შესაძლებლად მიაჩნდა ვ. თოფურიასაც (თოფურია 1979).

-იკ კნინობითობის სუფიქსი (აგრეთვე კ-ს შემცველი სხვა სუფიქსები), ქართულის გარდა, დასტურდება მეორე ქართველურ ენაში – ზანურში: -იკ-ია (ხოჯ-იკ-ია „მოზვერუკა“), -იკ-ინ-ა (ხოჯ-იკ-ინ-ა „პატარა ხარი“, ლეჯ-იკ-ინ-ა „გოჭი“) (ქირია... 2015 : 194-196).

ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დონეზე *-იკ კნინობითობის სუფიქსი აღადგინა გ. კლიმოვმა: ქართ. -იკ, მეგრ. -იკ, ლაზ. -იკა (კლიმოვი 1998 : 80). გ. კლიმოვის ეს შეპირისპირება, როგორც ჩანს, არ იქნა გაზიარებული, რადგან აღარ არის შეტანილი შემდგომი დროის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ფენრიხი 2007). ქართულ-ზანური მონაცემებით *-იკ, *-იკა აფიქსურ მორფემათა საერთოქართველური დონისთვის აღდგენა შესაძლებ-

ლად მიაჩნია ლ. კელაურაძეს (კელაურაძე 2014). ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. -იკ სუფიქსი სვანურშიც გამოჩნდება, კერძოდ, სარიტუალო დანიშნულების ნამცხვრის სახელწოდებაში – ბაც-იკ-ი (//ბაციკუკუ) (შდრ. თუმური ბაც-უკა) (ანთელავა 2017 : 141).

ქართველურ კნინობითობის გამომხატველ აფიქსებს – ქართ.-აკ, ზან. -იკ, საერთოქართვ. *-აკ შესატყვისი ემბენება ნახურ ენებში: ჩეჩნ. -იგ < -იკ, ინგუშ. -იგ < -იკ, ბაცბ. -იკ „სიმცირის აღმნიშვნელი ნაწილაკი“, ს.-ნახ. *-იკ (ჩუხუა 2008 : 263). ნახურშიც შეიმჩნევა -იგ ნაწილაკის ფუძესთან შეზრდა: ჩეჩნ., ინგუშ. კაეზ-იგ, ბაცბ. კამ-იკ „პატარა“, ჩეჩნ. ციც-იგ „მუხლუხა“, ჩეჩნ., ინგუშ. თათუალ-იგ „დათვის ბელი“, ინგუშ. კორ-იგ „ცხოველთა ნაშიერი საზოგადოდ“, ჩეჩნ. (ითუმე.) გეც-იგ „ცაცია“.¹

-იკო//კო კნინობითობის სუფიქსები დასტურდება ხუნძურ ენაშიც: მას-იკო „თოჯინა“, (მას „ქალიშვილი“), რასან-კო „სათამაშო“, ბიცან-კო „გამოცანა“ (ბიცინე „თქმა“) (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 173).

აღსანიშნავია, რომ ეტრუსკულ ენაში დადასტურებულ -icu სუფიქსს, რომელიც მეტწილად მდებდრობითი სქესის პირთა სააღერსო სახელებს აწარმოებს, რ. გორდეზიანი აკავშირებს ქართულ -იკ(-ო) სუფიქსთან (გორდეზიანი 2007 : 194). კ გუტურალის შემცველ კნინობითობის სუფიქსს მიუთითებენ ჰურიტულშიც (ფურნეტი 2012).

-იკ აფიქსის ფართო გავრცელებულობა ქართველურში, მისი თავისუფალი მონაცვლეობა კნინობითობის სხვა აფიქსებთან (-ილ, -უნ), ქართველურ ენათა მონაცემების გარდა, -იკ კნინობითობის გამომხატველი სუფიქსის პოვნისთვის სხვა კავკასიურ ენებშიც, გვამლევს საშუალებას აღნიშნული სადერივაციო მორფემოიდი საერთო-კავკასიური წარმომავლობისად მივიჩნიოთ.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კ თანხმოვნის შემცველი კნინობითობის აღმნიშვნელი აფიქსები მსოფლიოს მრავალ ენაში გვხვდება. მათ შორის, -აკ, -იკ, -უკ სუფიქსები დასტურდება სომხურსა და რუსულში. ყველა ამ სუფიქსთა ერთმანეთამდე დაყვანა შეუძლებელია. მათი ეტიმოლოგიის ძიება მხოლოდ ერთი ენობრივი ოჯახის

¹ნიმუშები მოტანილია მ. ჩუხუას დასახელებული ნაშრომიდან.

ფარგლებში იქნება პერსპექტიული. ყველა ენობრივ ოჯახში, სადაც კი აღნიშნული სუფიქსები დასტურდება, დამოუკიდებლად უნდა იყოს წარმოშობილი¹.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ბარამიძე 2009 – ც. ბარამიძე, თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

გორდეზიანი 2007 – რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, 3, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.

თქემ 2011 – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, V, კნინობითი ქართველურ ენებში, შრომები, 3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

კელაურაძე 2014 – ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის – II, ეტიმოლოგიური ძიებანი, XI, თბილისი.

კლიმოვი 1998 – G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York.

ლოლუა 2010 – რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები, ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

¹ ქართველურ მონაცემთა სომხურ ანალოგზე გ. კლიმოვიც მიუთითებდა, მაგრამ მეცნიერისთვის მათი ურთიერთმიმართება ნათელი არ იყო (კლიმოვი 1998 : 80). შესაძლებელია გვეფიქრა სომხურში პოვნიერ აფიქსთა კავკასიურ (სუბსტრატულ) ხასიათზე, მაგრამ ინდოევროპულ ენებში დადასტურებული და ფართოდ გავრცელებული კ-ს შემცველი კნინობითობის სუფიქსები სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ კვლევა პირველ რიგში ამ გზით უნდა წარიმართოს.

მარტიროსოვი 1978 – არ. მარტიროსოვი, კნინობითი სახელები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XX, თბილისი.

ორბელიანი 1991 – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ფენრიხი 2007 – H. Fähnrich, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Brill, Leiden/Boston..

ფოცხიშვილი 1979 – ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი..

ფურნეტი 2012 – A. Fournet, A Tentative Etymological Glossary of Etruscan, The Macro-Comparative Journal, Vol. 3, No 2.

ქელ 1938 – ქართველურ ენათა ლექსიკა (გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები), ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი.

ქეგლ 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქეგლ 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქირია... 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრულის გრამატიკა, I, მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩუხუა 2008 – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1971 – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Amiran Basilashvili
One Common Derivational Suffix
in the Udi and Georgian Languages

Summary

This letter will relate to the word-building suffix, which is confirmed in both the Udi and Georgian languages, clarifying the essence.

In Udi language diminution is expressed by – **ik** suffix: xunči “sister”, xunči-ik “sis”.

In Georgian language among the numerous producing of diminution are confirmed -ik(-o/-a) suffix: bes-ik-i, mam-ik-o “daddy”, mar-ik- a.

During the expression of identical affix morphemes between related languages, the following questions are raised: is there such affix in the lexical funds of both compared languages? Are there parallels in other related languages? (that is, as far as possible, that we are dealing with an affix having a root-like origin)? Is it borrowed from one language to another? In the work we try to answer these questions.

Ar. Martirosov told his opinion about the origin of diminution of expressing suffix -ik. The scientist assumes that these affixes in the Georgian language, also with the same composition and functions suffixes in the Armenian language, appeared under the influence of the Persian language. In our opinion, this is not correct. Language facts give us a different picture.

-ik diminution suffix except in Georgian is confirmed in another Kartvelian language – Zan language: -ik-ia (xož-ik-ia, “calf”), -ik-in-a (yež-ik-in-a “piglet”). -ik suffix also appear in Svan, in particular, in the name of ritual cake – bac-ik-i. By taking into account the data, it’s possible to restore of the affix morpheme *-ik in common Kartvelian language level.

Kartvelian diminution affixes have parallels in Nakh languages (Chechen – ig < ik, Ingush -ig < ik, Bats -ik) and Avar (- iko//ko).

Widely spread -ik affix in Kartvelian, its free intermittency in other affixes of diminution (-il, -un), except the Kartvelian language data, expression of -ik diminution suffix is possible in other Caucasian languages (Udi, Avar, Nakh) which gives us an opportunity to consider this derivational morphemoid as common Caucasian origin.

რადოსლავ კანარკოვსკი, კრაკოვი (პოლონეთი)

სამართლიანობის კავკასიური ლექსიკონიდან: ქართული სიტყვების – „შარდი“, „შეშა“ და „შეშა“ აზგაპულგისა და წარმოშობისათვის

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია სამი ქართული სიტყვის აგებულება და ეტიმოლოგია. როგორც ჩანს, მათი ძირები დამოწმებულია არა მხოლოდ ქართველურ ენებში არამედ აგრეთვე მთის კავკასიურ ენებში და შეიძლება იყოს აღდგენილი საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში.

I. შარდი

ეს სიტყვა არ არის განხილული ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში¹.

ვვარაუდობ, რომ შეიძლება იყოს განაწილებული: **შარდი** = **შარ-დ-ი**, სადაც: **შა-** ძირეული ელემენტი, **-რ-** წარმოადგენს გაქვავებულ კლას-ნიშანს, **-დ-** არის სახელური სუფიქსი და თავკიდური **-ი** ნომინატივის ნიშანია.

ამოსავალი ნომინალური კლას-ნიშნები გამოვლენილია მრავალ ქართულ სიტყვაში [ჩიქობავა 1942 : passim]. ქართველური ჯგუფის ენებში ისინი ენობრივი რელიკტებია, თავდაპირველი იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის რეფლექსები, მაგრამ მთის კავკასიურ ენათა დიდ ნაწილში ფუქციონირებენ როგორც ცოცხალი მორფემბიპარალელურ შუაკიდურ სახელურ სუფიქსს **-დ-** გვიჩვენებენ მაგ., არსებითი სახელები: **გვერდი** = **გვე-რ-დ-ი** ანუ **შევილი** = **მ-შე-ილ-დ-ი** [ჩიქობავა : 1942].

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივად გაქვავებული კლას-ნიშანი წინ უსწრებს სუფიქს-დეტერმინანტს ან სხვა სახელურ სუფიქსს, [ჩიქობავა 1942 : passim]. ამიტომ აქაც არ ივარაუდება, რომ შესწავლილი სიტყვა ნაწილდება: **შ-არ-დ-ი** < ***შა-არ-დ-ი**, არამედ: **შა-რ-დ-ი** და მაშინ მისი აგებულება მთლიანად შესაძარებელია ზემოხსენებულ **გვე-რ-დ-** თან.

¹ კლიმოვი : 1998.

შა- ძირის ეტიმოლოგია უფრო საეჭვო არის, მაგრამ ჩემი შეხედულებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძირი **შა-** *შ^ა- დელაბიალიზაციის შედეგად. თუ ასე მიიღება, შესაძლებელი ხდება აქ განხილული სიტყვის დაკავშირება აფხ.-ად. ძირ ***-შ^ა-** სთან, შდრ.:

უბიხ. **შ^აა=შ^აა-ა, სგშ^{ან} =სგ-შ^ა-ან** „ჩასვლა“

აფხ. / აზაზ. **ა-ქ^აშ^{არა} =ა-ქ^ა-შ^ა-რა** „(ჩა)ვარდნა“

[ზემოთ მოყვანილია მაგალითები ჩუხუას 2017 : 450 – მიხედვით].

სემანტიკური განვითარება შეიძლება იყოს საკმაოდ ადვილად განმარტებული. **„შარდი“** არის სიტხე, რომელიც *ჩადის (გამოიყოფა)ადამიანის სხეულიდან*.

ამ თვალსაზრისით, არსებითი სახელი **„შარდი“** წარმოადგენს ნაზმნარ დერივატს, რომელიც ახასიათებს მოქმედების შედეგს, ე.წ. *nomen resultati*.

დაისმისშეკითხვა: შესაძლებელია თუ არა მონათესავე ძირების მოძებნა ქართველურ ენებშიც. ეს არ არის გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირეული თანხმოვნის ლაბიალური კონტრასტულია დაექვემდებარა ფონოლოგიზაციას და გადავიდა ყრუ ლაბიოდენტალურ სპირანტში, ხოლო მომდევნო **-ა-** ხმოვანი მერე გაუჩინარდა: ***-შ^ა-** > ***-შგა-** > **-შგ-**. ძირი **-შგ-** გამოვლენილია მაგ.:

ქართ. **ეშვება** = **ე-შგ-ებ-ა** „დაბლა ჩადის“

მეგრ. **იშქვანს** = **ი-შქვ-ან-ს** „ეშვება“

[ზემოთ მოყვანილია მაგალითები ჩუხუას 2017: 450 – მიხედვით].

ბგერათშესატყვისობა **-ვ-** : **-ქვ-** ქართულსა და მეგრულს შორის დასტურდება სხვა მაგალითებშიც, შდრ. ქართ. **შველი** = **შვ-ელ-ი** : მეგრ. **სქვერი** = **სქვ-ერ-ი** „შველი“ [ჩუხუა 2017 : 451].

პარალელურ შემთხვევასთან საქმე გვაქვს სვან. **ლიშგუ^აან** = **ლი-შგუ^ა-ან** -ში „გაშვება“ [ჩუხუა: იქვე].

სემანტიკური თვალსაზრისით, ყველაზე საყურადღებო ჩანს მეგრ. **ოშქვანს** = **ო-შქვ-ან-ს** [ჩუხუა: იქვე] **„ცხენი კვიცს აჩენს“**, თუ შარდის გამოყოფა გადატანითი მნიშვნელობით გაიგება, როგორც **„შარდის გაჩენა“** ანუ, სხვა სიტყვით, შარდის გაშვება ადამიანის სხეულიდან. მსგავსება საკმაოდ ბუნებრივი ჩანს. ახალდაბადებული

კვიცი გამოდის ცხენის მუცლიდან ისევე როგორც შარდი გამოდის კაცის ბუშტიდან.

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია, რომ ინდო-ევროპული ენებიც გვაძლევენ სემაზიოლოგიური განვითარების ძალიან საინტერესო პარალელიზმს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს შეეხება არა შარდს, არამედ განავალის აღმნიშვნელ სიტყვას, მაგ.:

უხეშვი ინგლ. შიით<shit> „განავალი“: *šit*< **skit*< **s-kid*¹, სადაც თავკიდური სიბილანტი არის ე.წ. ინდო – ევროპული **s** – **mobile**, ეტიმოლოგიურად უკავშირდება რუს. **выкидать** = **вы-кид-а-ть**²-ს „გადაგდება“, სადაც ძირია: **-кид-** (**s** – **mobile**-ს გარეშე). ზემოთქმული საფუძველზე გასაგები ხდება, რომ აქ შესწავლილი სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა იხსნება როგორც: *ის, რაც გამოდის, ის რაც გადაგდებულია კაციდან გარეთ*.

თუმცა ზემოხსენებული ინტერპრეტაცია მიმაჩნია ყველაზე დამაჯერებლად, სხვანაირი ეტიმოლოგიზაცია, იქნებ, აგრეთვე დასაშვები იყოს.

ყურადღებას იქცევს აფხ. **ა-შ°არგლარა** = **ა-შ°არ-გ-ლა-რა** „ძროხის გაშრობა“ [ჭუხუა 2017:450]. თუ მიიღება, რომ ეს ზმნური ძირი ამოსავალი ნასახელარი დერივატია და შეიცავს გაქვავებულ კლასნიშანს **-რ-**, მაშინ მისი აგებულება წარმოგვიდგებოდა:

ა-შ°არ-გ-ლა-რა, სადაც ვხედავთ ელემენტს: **-[შ°არ]**, საიდანაც მერე: **- >შა-რ**.

სემანტიკური განვითარება საჭიროებდა ახსნას. იქნებ, ეს შესაძლებელია, თუკვივარაუდებთ, რომ შარდის გამოყოფა გადატანითი მნიშვნელობით შედარებულია ძროხის (ან სხვა ცხოველისა) გაშრობასთან. იქნებ, ამ შემთხვევაში განსაზღვრულ როლს თამაშობს გარეგნული მსგავსება – შარდის ნაკადი არის შედარებული, ასოცირებული რძის ნაკადთან?

¹ ბოლოკიდური დენტალური თანხმოვნის დაყრუბა ინგლისურში: ***-d>-t** კანონზომიერი ფონეტიკური პროცესია და აიხსნება გრიმის პრინციპით. რელატიური ქრონოლოგიის მიხედვით, რუსული ფორმა უძველესია.

² **вы-** [ზმნური თავსართი, praeverbium]; **-кид-** [ძირი]; **-а-** [უღლების თემატური ხმოვანი]; **-ть** [ინფინიტივის დაბოლოება].

იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ადამიანის ფიზიოლოგიურ მოქმედებათა სახელწოდებანი მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ხშირად მეტაფორულია, – იქნებ, მისაღებიც იყოს.

ყველაფრის მიუხედავად, რთული სემანტიკური ცვლილებების გამო უფრო მიდრეკილი ვარ ზემოთ წარმოდგენილი ეტიმოლოგი-ზაციის პირველი ვარიანტისკენ.

II. ვება

ჩემი მოსაზრებით, ეს სიტყვა შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული როგორც ამოსავალი ტავტოლოგიური კომპოზიტი, რომელიც მერე დაექვემდებარა ლექსიკალიზაციას. ამის თანახმად, მისი აგებულიება შეგვიძლია წარმოვადგინოთ: **ვემა= ვე-მა**¹.

პარალელურ აგებულებას გვიჩვენებს ქართული ზედსართავი სახელი:

ცხელი= ც-ხ-ელ-იიმ განსხვავებით, რომ მეორე წევრს მოსდევს სუფიქსი-დეტერმინანტი **-ელ-** [ამაზე დეტალურად იხ.: კანარკოვსკი 2015 : 40-44].

კიდევ ერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ: ქართ. **წყალი = წყ-ალ-ი < *ც-ყ-ალ-ი** [ამაზე დეტალურად იხ.: კანარკოვსკი 2017 : 3-17].

ამ სიტყვის წარმომავლობა ადვილად იხსნება, თუ მიიღება მხედველობაში ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი მონაცემები.

თუ პირველი წევრის **ვე-** ფუძეენისეული არქეტიპი აღდგენილია: **ვე- < *უ¹ე- < *ხ¹ე-**, ეს უპირისპირდება, მაგ.:

ჩეჩ. **ხ¹ი < *ხ¹ი < *ხ¹ი**

რუტ. **ხედ = ხე-დ**, სადაც ძირი: **ხე- < *ხ¹ე < *ხ¹ი**

ხინ. **ხუ < *ხ¹უ < *ხ¹ი** „წყალი“ სემანტიკური ცვლილებით: ჰინ. **იხუ = ი-ხუ**, სადაც ძირი: **-ხუ < *-ხ¹უ < *-ხ¹ი** „ნაკადული“.

ბგერითი ცვლილება აქ მდგომარეობს დასაწყის საფეხურზე ძირეული სპირანტის ***ხ-** ჩაქრობაში. ამის შედეგად სპირანტის ლაბიალურმა კოარტიკულაციამ განიცადა ფონოლოგიზაცია და შემდგომ გადავიდა ლაბიოდენტალურ თანხმოვანში.

¹ ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე საუბარია წინამდებარე სტატიის ავტორის ადრინდელ ნაშრომში [იხ. კანარკოვსკი 2017: 3-17], რომელშიც არ ვმსჯელობთ ამ კომპოზიტის პირველი წევრის წარმომავლობაზე, რასაც ამჯერად გთავაზობთ.

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე წევრს-**მა**, აქ უნდა მივუთითოთ, რომ:

-**მა** = **დ-** + **-ზა** < ***დ-** + ***-სა**, სადაც თავკიდური **დ-** ითვლება გაქვეავებულ კლას – ნიშნად.

ამასთან დაკავშირებით, შდრ.:¹

უბიხ. **ბზგ** = **ბ-ზგ** < ***ბ-სგ**, სადაც ძირი: ***-სგ** < ***-სა** < ***-ს°ა**.

აფხ. **ა-ძგ**, სადაც: **ძგ** = **დ-** + **-ზგ** < ***დ-** + ***-სგ**, სადაც ძირი: ***-სგ** < ***-სა** < ***-ს°ა** „წყალი“.

ყრუმ ძირეულმა თანხმოვანმა განიცადა პოზიციურად შეპირობებული სონორიზაცია წინანდელი კლას – ნიშნის მქლერი თანხმოვნის ***ბ-**, ***დ-** ზეგავლენით, რაც ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ამოსავალი ყრუ თანხმოვანი შემოინახა, მაგ.:

ჩერქ. **ფსგ** = **ფ-სგ** < ***ბ-სგ**, სადაც ძირი: ***-სგ** < ***-სა** < ***-ს°ა** „წყალი“

აფხ. **ა-ფსაწლა** = **ა-ფსა-წლა** „სოჭი“, „წყლის ხე“.

ამ უკანასკნელში დამოწმებულია ამოსავალი ძირეული ხმოვანი -ა [ოსიძე 2013 : 144].

III. ფსმა

ამ ზმნის შემთხვევაში შეკითხვა დაისმის, თუ ქართ. **ფსმა** = **ფს-მა** ხმამიმბაძვით სიტყვას არ წარმოადგენს. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არ არის გამორიცხული, ვიზიარებ მ. ჩუხუას მოსაზრებასაც, რომლის თანახმად ეს ზმნა დამყარებულია **ფს-** ფუძეზე² [ჩუხუა 2017 : 382].

მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ თავკიდური **ფ-** უნდა იყოს მიჩნეული გაქვეავებულ კლას-ნიშნად, და მაშინ: **ფ-ს-** < ***ბ-ს-**, რაც კარგად უპირისპირდება, მაგ.:

ჩერქ. **ფსგ** = **ფ-სგ** < ***ბ-სგ**, სადაც ძირი: **-სგ** < ***-სა** < ***-ს°ა** „წყალი“³

¹ სხვა ავტორებმა აგრეთვე მიუთითეს შესაძლებელ კავშირზე ქართ. **ვეძა** და აფხ. **ა-ძგ** –ს „წყალი“ შუა, შდრ.: [ოსიძე 2013: 144-149]; [ჯავახიშვილი 1950 : 40], მაგრამ მათ ნაშრომებშიც სიტყვა **ვეძა** არ არის მიჩნეული ამოსავალ კომპოზიტად.

² ამავე ფუძეზე დამყარებულია სახელური დერივატი: ქართ. **ფსელი** = **ფს-ელ-ი** [შდრ. ჩუხუა იქვე].

³ თუ ამოსავალი კლას-ნიშნის გამომხატველი თანხმოვანი წყვილბაგისმიერი იყო, მაშინ ძირეული თანხმოვნის დელაბიალიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს კონტაქტური პროგრესული დისიმილაციით: ***ფ-ს°-** > **ფ-ს-**.

აბაზ. ფსარა = ფ-სა-რა, სადაც ფუძე: ფ-სა- < *ზ-სა-, სადაც ძირი: -სა- < *ს°ა- „დასველება“ [უფრო დეტალურად იხ. კანარკოვსკი 2017 : 3-17].

ლაბიალიზებული სპირანტი *ს°- ზემოთ რეკონსტრუირებულია სწორედ ქართველური ენების შედარებით მონაცემთა საფუძველზე:

ქართ. სველი = სვ-ელ-ი, სადაც ძირი: სვ- < *სუ°- < *ს°ა-

მეგრ. შური= შ-ურ-ი, სადაც ძირი: შ- < *შ°უ- < *ს°უ- < *ს°ა- „სველი“

რაც შეეხება მთის კავკასიურ ენებს, ამ ჯგუფშიადგილი ჰქონდა დისიმილაციურ ფონეტიკურ პროცესებს (შდრ. ქვემოთ შენიშვნა 2*), მაგრამ, როგორც მიმაჩნია, ლაბიალიზებული სვემენტი იქაც შეიძლება იყოს პოსტულირებული, მაგ.:

ახვ. ლ°:ენი = ლ°:ე-ნ-ი < *ლ°:ე-მ-ი, სადაც ძირი: ლ°:ე- < *ლ°°ა- < *ს°ა- [?] „წყალი“

არჩ. ლ°:ან = ლ°:ა-ნ < *ლ°:ა-მ°, სადაც ძირი: ლ°:ა- < *ლ°°ა- < *ს°ა- [?]² „წყალი“

ვეარაუდობ, რომ ლატერალური სპირანტის გემინაცია მეორეულია და აიხსნება როგორც საკომპენსაციო პროცესის შედეგი ტიპისა: C°-V>C:-V.

¹ ვვარაუდობ, რომ ამოსავალი კლას-ნიშნის თანხმოვანი იყო ბილაბიალური -მ. რომელიც შემოინახა მხოლოდ ხუნძ. ლ°:იმ = ლ°:ი-მ, სადაც ძირი: ლ°:ი- < *ლ°°ი-; მეორე ვარიანტი: ლ°:ინ. დანარჩენ ენებში *მ>-ნ. შესაძლებელია აგრეთვე დისტანციური პროგრესული ასიმილაცია: *ლ°: - *მ>ლ°: - ნ.

² ზემოთ წარმოდგენილი ბგერითი ცვლილებები დასაშვებელია თეორიული ფონეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ლატერალურ თანხმოვანთა ისტორიული განვითარება და განსაკუთრებით მათი ურთიერთობა ქართველურ ენათა თამხმოვნებისაკენ საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას და აღემატება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კანარკოვსკი რ. – ქართული *ცხ-* ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის, [:]ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. XIII, გვ. 40-44, თბილისი.

კანარკოვსკი რ. – საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკიდან: ქართველურ და აფხაზურ – ადიღურ ენათა „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვები [:] ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. XIV, გვ. 3-17, თბილისი.

კლიმოვი გ. ა. – Etymological dictionary of the Kartvelian languages, Berlin – New York.

კლიმოვი გ. ა., ხალილოვი მ. შ. – Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва.

ოსიძე ე. – აფხაზური *ა-ძე* „წყალი“ ფუძის წარმომავლობისა და ქართული *ზღვა*, სვანური *სგიმ* „მჟავე წყალი“ ფუძეთა აგებულებისათვის [:] იკვ, ტ. XLI, გვ. 144-149, თბილისი.

ჩიქობავა ა. – სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუხუა მ. – ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჯავახიშვილი ი. – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი.

Radoslaw Kanarkowski
Studies in Common Ibero-Caucasian lexicon.
Structure and etymology of the Georgian words *šardi* “urine”,
***vedza* “water” and *psma* “urinate”**

Summary

The present paper deals with with etymology of the Georgian words: **šardi** “urine”, **vedza** “water” and **psma** “urinate”.

The noun **šardi** can be segmented: **ša-r-d-i**, where **-r-** is a petrified class morpheme. This allows to derive it from prototype ***š°a-**, which is attested in Abkhaz-Adyghe languages.

The word **vedza** can be regarded as a primary tautological compound: **ve-dza**. Its constituent parts may be compared with some words denoting “water” in Abkhaz – Adyghe and Daghestanian languages.

It cannot be excluded that the verb **psma** = **ps-ma** poses an onomatopoeic word, but the author agrees with M. Chukhua’s position that it is based on the stem **-ps** which denotes “water”. However, the segment **ps-** should be further divided into: **p-s**, where the initial consonant is a petrified class morpheme.

იზორ კეკელია

წარჩისა და ზიზის ეტიმოლოგიისათვის

წარჩე ისტორიული სოფელია სამურზაყანოში, მდ. წარჩეწყარის შუა წელზე, ზ. დ. 100 მ. გალს დაშორებულია 17 კმ-ით. წარჩე თემის ცენტრია და ოთხ სოფელს – წარჩეს, ნახინგუს, ფუწყურსა და ფშაურს აერთიანებს. ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით, სოფელი ამ სახელწოდებით მუხურის თემში შედიოდა, სადაც სახლობდა 70 კომლი (304 სული). 1928 წლიდან არსებობს წარჩეს სასოფლო საბჭო, შვიდი სოფლით: წარჩე, მუხური, ნახინგუ, საქანჩო (ალბათ: საკენჯიო), სარაგვო, ფუწყური და ფშაური. „აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1953 წლის ცნობარის მიხედვით, წარჩის სასოფლო საბჭო (სოფლები: წარჩე, ნახინგუ, ფუწყური, ფშაური) გალის რაიონშია (დაყოფა, 1953: 12).

სოფელში მდგარი საეკლესიო კომპლექსი „მაფაშ ოხვამე“ (დედოფლის ეკლესია) XIII-XIV სს. ძეგლია და მასში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. ერთ-ერთ ეკლესიაში გვხვდება XV ს. ფრესკული მხატვრობა და ლაპიდარული წარწერა. ეკლესიების განახლება უკავშირდება ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) სახელს. ამჟამად შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევები ადგილობრივ მოსახლეობაში **ნოჯიხის** („ნაციხარი“) სახელწოდებით არის ცნობილი, რომელიც გვა(ნ)ჭკის სერზეა. ქსე-ში აღნიშნულია, რომ წარჩეს უწინდელი სახელწოდებაა **ტარსურა,ტარშენი** (ქსე, II, 1979: 300).

პ. ცხადაიას საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია: „აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც გამზრდელს – ანჩბაიას არ დაუტირია. ამიტომ დედოფალს დაუწყევლია ანჩბაიები: არც გაწყდეთ და არც აშენდეთ; შემოსული კაცი კი გამრავლდესო“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 121). არის გამოთქმა – **მაფაშ ჭყელი წარჩე** „მეფისგან დაწყევლილი წარჩე“ (ცხადაია, ოპ, I, 2017: 134).

ოიკონიმ „წარჩის“ წარმომავლობის საკითხს არაერთ ნაშრომში შეეხო ენათმეცნიერი პ. ცხადაია. მკვლევარი შენიშნავს, რომ **წარჩე/წარჩეწყარი** მდ. ოხოჯის მარცხენა შენაკადია გალის რაიონის სოფ. ფუწყურში, ხოლო თვით ოხოჯე ოდნავ ქვემოთ, მარჯვნიდან

შეერთვის ოქუმს. სოფელს წარჩეწყარის შუა წელზე წარჩე ეწოდება, ხოლო ზემო წელზე – ჩხორთოლი. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, ოქუმის მარცხენა მდგენლის თავზე გაკეთებული წარწერა თარსცე, მკვლევრის აზრით, სწორედ წარჩეს უნდა გულისხმობდეს. ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ ასევე გვაუწყებს: „ხეთის იქით არის ოქუმი, რომელიც ჩაუდის ტარშენს (Tarchen)“. თუკი ამ ტარშენშიც წარჩეს ვიგულისხმებთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე იქნება: სოფელი დღესაც წარჩის შუა წელზეა, ხოლო ჩხორთოლი – მის სათავესთან (იხ. ცხადაია, „არტანუჯი“, #10, 2000: 79; მისივე, 2004: 49).

მამასადაძმე, სოფლის სახელწოდება მომდინარეობს ჰიდრონიმიდან (შდრ.: ღალიძგა (მდ.) → ღალიძგა (სოფ.), წაჩხურა (მდ.) → წაჩხური (სოფ.), აბაშა (მდ.) → აბაშა (სოფ.), კვარჩხილალი (მდ.) → კვარჩხილალი (სოფ.), ოქუმწყარი (მდ.) → ოქუმი (სოფ.).

„წარჩის“ ეტიმოლოგიის პირველი და მართებული ცდა მოცემული აქვს პროფ. იოსებ ყიფშიძეს. მისი განმარტებით, „Царче – село в Самурзакано; букв. белая вода“.

წარჩე ჰიდრონიმიული მოდელი, პ. ცხადაიას მართებული შეფასებით, სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით საერთოქართველურია, წარჩეც მეგრული სიტყვაა და „წყალთეთრს“ ნიშნავს. მკვლევარი იმოწმებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დადასტურებულ ჰიდრონიმებს: წყალთეთრა, წყალშავა, წყალწითელა, და წარჩესაც ჰიდრონიმთა ამ რიგში განიხილავს (ცხადაია, 2004: 50). 1992-1993 წწ. ომის შემდეგ სოფელს **წარჩა** ეწოდა (ცხადაია, ხორავა, 2016: 159).

„წარჩის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობს ისტორიკოსი ვ. ოკუჯავაც. მისი აზრით, თეატინელი მისიონერების რუკებზე, ბედიის მახლობლად დაფიქსირებული სოფელი წარჩე მდებარეობს მდ. ჩხორთოლის ნაპირას. სოფლის თავდაპირველი სახელწოდება იყო წყარჩე, ე. ი. თეთრი წყარო (წყარ – წყალი, ჩე – თეთრი) (ოკუჯავა, „სმ“, 3, 2000: 16). აქ ორი გარემოებაა დასაზუსტებელი: 1. წარჩე მდებარეობს წარჩეწყარის (და არა მდ. ჩხორთოლის) ნაპირზე. თვით მდ. წარჩეს//წარჩეწყარის მდგენლებია ალრა, ყვარათბა და ათუამარა. მდინარე გაედინება წარჩესა და აჩიგვარის თემის სოფ. ფუწყურში და მცირე მონაკვეთზე წარმოადგენს ოქუმისა და ჩხორთოლის საზღვარს.

ვიქრობენ, რომ წყალ — წა/ლ/პროცესისათვის ისტორიულად უწინარესია წალ- ფორმა¹. მეგრულში ამის ანალოგად გამოდგება საკუთარი და საზოგადო სახელები: წაჩხური „წყალცივი“, წამელო/წყამელო (←წყარმელო „წყალგაღმა“), წაკურთხია—წყალკურთხევა (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, 50), ოწწარე (ო-წ-წარ-ე) „ჭაობი, წყლიანი ადგილი“ (მისივე, „არტანუჯი“, #10, 2000: 79), წახარება (←წყალხარება) — კოვზასმარცხენაშენაკადისოფ. გულუხეთისსაზღვართან, სოფ. სამიქაოში (ცხადაია, I, 1999: 29). ამმაგალითებს ჩვენის მხრივ დაფუძნებული შემდეგ ტოპონიმებს: რაბიწა//რაფიწა — სოფელი გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, მდ. ადიდუს ნაპირას (კეკელია, „ფილოლოგიური პარალელები“, სამეცნიერო შრომების კრებული, #7, 2015: 72-73, 77-79), წარბაჩხური (ჩაღათაი-ალექსიში, „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010), ბადოლლი ონაში წარი „ბადოლლის ყანის წყალი“ — დეღე სოფ. თოლიქეთში; კუკარონი წარი — წყარო კუკარონში (თოლიქეთი), მთუი წარი — დეღე დობირაში (თოლიქეთი),

¹წყარო სიტყვის ეტიმოლოგიური ძიების შესახებ ვ. შენგელია შენიშნავს, რომ ძირძველი ქართული სიტყვა „წყარო“ ძველ ქართულშივე საკმაოდ გავრცელებულია. აშკარაა წყარო და წყალ სიტყვების შინაარსობრივი და მატერიალური კავშირი. მეგრულ-ჭანური წყარ- ქართულიდანაა ნასესხები, ლ-სრ-ში გადასვლის გზით (ნ. მარი). ვ. შენგელიას აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში გაურკვეველია ერთი საკითხი — რატომ გვაქვს ქართულშივე რ/ლ მონაცვლეობა: წყალ-წყარო. ფონეტიკურად შეუპირობებელი სხვა შემთხვევა ასეთი მონაცვლეობისა თითქოს არ დასტურდება. წყარო სიტყვის. შენგელიასეული ანალიზი ასეთია: წყალ- ფუძეს დაერთო წარმომავლობის, მქონებლობის გამომხატველი -არ სუფიქსი. ეს -არ იგივე სუფიქსი უნდა იყოს, რაც გვაქვს რთული შედგენილობის -ნარ სუფიქსსა (შდრ. მუხნარი-ი, კოპიტ-ნარი-ი, თხილ-ნარი-ი, ბუკ-ნარი-ი, ნამე-ნარი-ი, ფიჭვ-ნარი-ი) და -იერ/-იარ სუფიქსში (შდრ. ღონ-იერ-ი/დიალ. ღონ-იარ-ი, გონ-იერ-ი/გონ-იარ-ი...). -არ სუფიქსის დართვამ გამოიწვია წყალ- ფუძის შეკუმშვა: *წყალ-არ- → *წყლ-არ- (შდრ. წყალ-ი, წყლ-იან-ი, წყლ-ისა...). წყარო სიტყვის ამოსავალი სემანტიკა უნდა ყოფილიყო „წყლიანი ადგილი, წყლის შემცველი ადგილი, წყლები...“ წარმოდგენილი მსჯელობით მოიხსნება ქართული წყალ- ფუძის ქართულისავე წყარ-თან (წყარო) დაკავშირების პრობლემა, რასაც ქმნიდა ლ-რ მიმართება. დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც: წყლის აღმნიშვნელ წყ ძირზე -ალ და -არ სუფიქსები ერთმანეთისაგან დაბოუკიდებლად დაერთო და მივიღეთ, ერთი მხრივ, წყ-ალ-, მეორე მხრივ — წყ-არ- (წყ-არ-ო). ამასთანავე, ზმნურ ფუძეში დადასტურებული „განელების“ აღმნიშვნელი სიტყვა წყორუნს „ანელებს ცხელ წყალს ცივით“, ადასტურებს, რომ ქართული წყარ- ფუძის შესატყვისი უნდა ყოფილიყო წყორ- (შენგელია, 2006: 146-150).

ონჩხურე წარი – წყარო ონჩხურეში (თოლიქჩეთი); **ქუნაწარი** – ღელე (თოლიქჩეთი); **წარი გოლაონერი** „წყალი გაყვანილი“ – წყარო მუნელა ავლაში (თოლიქჩეთი); **წარიკალა** – უბანი და ყანები მდ. ფურტონას მარცხენა ნაპირზე (თოლიქჩეთი); **ხაპლაწარი** – წყარო (თოლიქჩეთი) (იხ. ჩაღათაი-ალექსიში, ქართველური ონომასტიკა, IV, თბ., 2010: 90-99).

სახელწოდება „წარჩე“ ფიგურირებს ტოპონიმებში: **წარჩეფსტა** – ხეობა და სამოვრები სამურზაყანოს მთაში, წარჩის სათავესთან. მხარეთმცოდნე ნოდარ შონიას აზრით, **წარჩეფსტა** ღელეა ჩხორთოლში (იხ. შონია, „ლენინელი“, #17, 8 თებერვალი, 1990: 4); **წარჩემ გინაჯინუ** „წარჩის გადასახედი“ – დავაკება ოლიფონისა და გედემ დლის სათავეებს შუა, ნახინგუში. სერიდან კარგად ჩანს სოფ. წარჩე; **წარჩემ კინტირღალ//უჩაღალ** – წარჩეწყარის ტოტი (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 206); **წარჩემ ზენი** – ჭალა სოფ. წარჩეში (შონია, „ლენინელი“, #17, 8 თებერვალი, 1990: 4); **წარჩახრა** – სამოვარი ლაშქინდარში. „წარჩემ შუშელს ჯოხო“ (ტყვარჩელის სატყეო).

„ფიჩორი“:

ამ სახელწოდებით ცნობილია მდინარე და სოფელი დასავლეთ საქართველოში. მდინარე გაედინება ლანჩხუთის, სენაკისა და ხობის რაიონების ტერიტორიაზე და ერთვის პალიასტომის ტბას.

გ. ელიავა „კეთილარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს ტოპონიმ **ფიშორს** და აღნიშნავს, რომ სახელდებული ობიექტი წარმოადგენს ნარიონალ ხაზს, რაც შემდეგ წყალსადენად, საწრეტ არხად უქცევიათ და პალიასტომამდე გრძელდება (ელიავა, 1977: 61). ამავე ნუსხაში მკვლევარს დასახელებული აქვს ჰიდრონიმი „ფიჩორა“, რასაც ახლავს შემდეგი განმარტება: წინათ ფიჩორის ადგილას მდ. რიონი მიედინებოდა. შემდეგ მცირე ღელეს გაუკაფავს გზა და მდინარედ ქცეულა. თვით მკვლევრის ეტიმოლოგიური დავკვირვებით, „ფიჩორას მცირე ღელეს სინონიმად ამბობენ. **ფიჩორაე**, **„ფიჩორაცაი წყარიე“** – ასე იტყვიან (იქვე: 64-65).

პ. ცხადაიას ცნობით, მდ. ფიჩორი წარმოადგენს აბაშის მუნიციპალიტეტის საზღვარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან, სოფ. კეთილარში. ამავე სოფელში მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირას მდებარე სახნავს **ფიჩორა** ეწოდება (ცხადაია, VIII, 2013: 251).

საგულისხმოა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველ სენაკში ღელეს ეწოდება **ფიჩორი**. იგი სათავეს იღებს ეკის მთაზე, პრობკაშ ჯასთან (ს. საჩიქობავო) და მარჯვენა მხრიდან უერთდება მდ. ნახურს (ცხადაია, VII, 2013: 368). ამ ღელის სათავესთან, საკირესა და სოფლის დასახლებულ ნაწილს შუა, ტყეს ეწოდება **ფიჩორიმ ტყა**. გადმოცემით, აქ ესახლა ფიჩორი ქანთარია და სახელწოდებაც აქედან მოდის (ცხადაია, VII, 2013).

ფიჩორის მარჯვენა შენაკადი – ღელე სოფ. საგვიჩიოში (ზემო ჭალადიდის თემი) **ფიჩორსარეკის** სახელწოდებით არის ცნობილი (ცხადაია, VII, 2013). სარეკი მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც მრეკავნი ნადირს სახუნდრისკენ ერეკებიან. შდრ.: სულხან-საბას განმარტება: „**სარეკი** – ნადირთ მოსალაღავი“ (ს.-ს. ორბელიანი, 1928: 298).

ფიჩორის სახელწოდებით ცნობილია სოფელი და თემის ცენტრი სამურზაყანოში, გალის რაიონში, შავი ზღვის ნაპირას, დიხაგუმბა-ნაჭკადუს შუა. თემში სამი სოფელი ერთიანდება: ფიჩორი, ნაკარღალი და ნაჭკადუ. სოფ. ფიჩორი ზ. დ. 3 მ-ზეა და გალს 40 კმ-ით არის დაშორებული. პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა აღნიშნავენ, რომ 1930 წელს 140-კომლიანი (624 სულით) სოფელი ფიჩორი ოტობაიის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში იყო. სოფლის მრავალკომლიანი გვარებია: ცქვიტარია, ორჟონია, სიჭინავა, ალფენიძე, მეფორია. „საერთოდ, ფიჩორი პირსახელიცაა და სამეგრელო-გურიის სასაზღვრო მდინარესაც ეწოდება“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 298-299).

რას ნიშნავს „ფიჩორი“?

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, **ფიჩორუა** – სახელი **ფიჩორუნს** ზმნისა, იგივეა, რაც ფართო-ფართოდ დაჭრა (მაგ., ყველისა). წარმოდგენილია საილუსტრაციო მასალაც: **მურე, ე ცვალი მუჭოე, დოგიფიჩორუნი?** – რაა, ეს ყველი როგორაა, რომ ფართო-ფართოდ (დიდნაჭრებად) დაგიჭრია“ (ქაჯაია, III, 2002: 104).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია **ფიჩორი** სიტყვის შემდეგი მნიშვნელობა: ფართო, ვრცელი, ხალვათი, გაშლილი ადგილი (ქობალია, 2010: 627). იმავე ლექსიკონის მიხედვით, **ფიშორი//ფიჩორი** აღნიშნავს კანაფის თოკს, ბერის სამოსს (იქვე).

ჰიდრონიმისა და ოიკონიმის ეტიმოლოგიის დადგენის მიზნით, სალექსიკონო მასალებში მოცემული სიტყვის მნიშვნელობებიდან საინტერესოა ფიჩორის გააზრება ფართო, ვრცელ, ხალვათ, გა-

შლილ ადგილად (შდრ. **ფიჩალი** – ფართო, გაშლილი, გადაფურჩქნული).

არც ისაა გამორიცხული, რომ ჰიდრონიმი და ოიკონიმი უკავშირდებოდეს მცენარე „მეკენძალის“ ლაზურ სახელწოდებას – **ფინჩორს** (*Aruneus vulgaris*; *волжанка обыкновенная*. ფშ. მონადირისმხალა, ყოვიპწკალა; მთ. კოპრწკალა, ყვავისპწკალაი; აჭ. აჯორიკა, აჯარკელა; იმ. ძირმაგარა; ლჩხ. მეჭეხი, გურ. მეჭეხა, ირმისბაწარა; ხვს. ნადირთმხალა (მაყაშვილი, 1991: 48). შდრ.: **ფინჩორონა** – საზაფხულო ადგილი და ჩაის ფართობი **ფინჩორონა ირმაღის** მარცხენა მხარეს; **ფინჩორონა მაჩხა** – ჩანჩქერი და კლდოვანი ადგილი ფინჩორონა ირმაღზე (იხ. ჩალათაი-ალექსიში, ქართველური ონომასტიკა, IV, 2010: 97). მეკენძალის სახელწოდებად ფინჩორი მეგრულში დადასტურებული არ არის, თუმცა ეს როდი გამორიცხავს უწინ მეგრულშივე ამ ფიტონიმის არსებობას.

ოდენ მცენარის სახელწოდების გადაქცევა ტოპონიმად საკმაოდ ცნობილი მოვლენაა ტოპონიმიაში. შდრ.: **ცაცხვი** – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; **ბია** – სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში; **თელა** – სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში; **ჭანდარი** – სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში; **იფხი** – სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (შდრ.: სვან. (ლაშხ.) იფხ „გვიმრა“); **ყვავილი** – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში...

გამოყენებული ლიტერატურა:

ელიავა, 1977 – გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბილისი.

მაყაშვილი 1991 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი.

ს.-საბა, 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი.

ქაჯაია, III, 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქობალია, 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქსე, II, 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. თბილისი.

შენგელია, 2006 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი. თბილისი.

შონია, „ლენინელი“, 1990 – ნ. შონია, გალის რაიონის ტოპონიმები. გაზ. „ლენინელი“, №17, 8 თებერვალი, 1990.

ჩალათაი-ალექსიძე, „ქ. ო.“, IV, 2010 – ირფან ჩალათაი-ალექსიძე, ჰიდრონიმ წარიბაჩხურის ეტიმოლოგიისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბილისი.

ჩალათაი ალექსიძე, „ქ. ო.“, IV, 2010 – ირფან ჩალათაი-ალექსიძე, სოფელ თოლიქეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბილისი.

ცხადაია, I, 1999 – ცხადაია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I, თბილისი.

ცხადაია, „არტანუჯი“, 10, 2000 – პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში. ჟურნ. „არტანუჯი“, №10, თბილისი.

ცხადაია, ჯოჯუა, 2003 – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

ცხადაია, 2004 – პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმი. თბილისი.

ცხადაია, VII, 2013 – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII, სენაკის რაიონი. თბილისი.

ცხადაია, VII, 2013 – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII, აბაშის რაიონი. თბილისი.

ცხადაია, ხორავა, 2016 – პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

ცხადაია, ოძ, I, 2017 – პ. ცხადაია, ონომასტიკური ძიებანი, I, თბილისი.

Igor Kekelia
The Etymology of the Toponyms
“Tsarche” and “Pichori”

Summary

Tsarche is situated in the eastern part of historical Samurzakano. The village has a beneficial geographical position. There are several views about the origin of the name of the village. We suppose that **Tsarche** means a cross-road. The paper represents the explanation of our position. We think that the toponym **Pichori** is related to the Laz denomination of the plant **Pinchori**.

ლევან კელაშაძე

ღამატეპანძქართველურენათაქტიმოლოგიური
ლექსიკონისათვის – V¹

წინამდებარე სტატიით განვავრცობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთო ქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

*ბაჟ-

ქართ. (ხევს.) **ბაჯ**-ავ-ს “აგიჟებს, ჭკუიდან შლის”, და-ი-**ბაჯ**-ებ-ი-ს “გადაირევა, გაგიჟდება, ჭკუაზე შეცდება”... სვან. **ბაჟ** “ჭკუა, გონება, გონიერება; გონი (გრძნობა), ცნობა, ცნობიერება” ხევსურულში გამოვლენილ **ბაჯ**-ზმნურ ძირს, რომელსაც არ ეძებნება განაყარი ქართული ენის სხვა დიალექტებში, შეესატყვისება სვანური სახელური ძირი **ბაჟ**. სვანურს დაცული აქვს ამოსავალი მნიშვნელობა (“ჭკუა, გონება”), რომლის კვალი ქართულშიც შენარჩუნებულია (> “ჭკუიდან შეშლა”). ქართ. (ხევს.) **ბაჯ**-<***ბაჟ**- აფრიკატიზაციით (**ჟ**>**ჯ** გადასვლისათვის ხევსურულში შდრ. (ხევს.) **ბაჯ**-ი “ბაჟი” <**ბაჟ**-ი). შესატყვისობისათვის ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ჩვენი დამატებანი..., 2013, გვ. 4.

*ბიბ-ო-

ქართ. **ბიბ-ო** “თეთრი, თეთრთმიანი ადამიანი”, **ბიბ-ა** (ქეგლ – ზემო-იმ.) “ქოსა ბობრი (ქერა), თეთრი ბალნის ბქონე” სვან. (ლშხ. – დონდუა) **ბიბჷ** “ლიბრი, белым”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ბიბჷ-წრ** “ელამი, ბრმა” სვან. **ბიბჷ**- <***ბიბ-ო** ბოლოკიდური **ო**-ს დასუსტებით. მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის, შდრ. ბერძნ. **λεῦκαμα** “ლიბრი,

¹ დასაწყისიიხ.: “ეტიმოლოგიურიძიებანი – X”, თბილისი, 2013, გვ. 3-26, “ეტიმოლოგიურიძიებანი – XI”, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39, “ეტიმოლოგიურიძიებანი – XIV, თბილისი, 2017, გვ. 18-32.

თეთრი ლაქა” –λευκός “თეთრი”, რუს. бельмо “ლიბრი” –белый “თეთრი” და ა.შ.

***ბორბოტ-**

ქართ. (ქართლ.) **ბორბოტ-ი** “უთავბოლოდ სიარული, ბორიალი (ბევრისა)”, და-**ბორბოტ-ებ-ს** “უაზროდ, უთავბოლოდ დადის, დაბორიალებს” სვან. (ჩლრ., ლშხ.) ლი-**ბორბოტ-ე** “აზრის, გონების არევა; დაბნეულობა”.

***ბოჯოჯღ-**

ქართ. (ფშ.) **ბოჯოჯღ-ი** “ტოტებიანი, ბორჯღლიანი (ხე, რქები)” მეგრ. (ქობალია) **ბოჯღოჯღ-ი** “ბორჯღალი” მეგრ. **ბოჯღოჯღ-<“ბოჯოჯღ-**

***ბლუნძი-**

ქართ. (ხევს.) **ბლუნძ-ავ-ს** “ხელ-ფეხს უკრავს, სამრაობას ართმევს”, (თუშ.) მო-**ბლუნძ-ვ-ა-ე** “წელში მოხრა”, **ბლუნძ-ვ-ა** (ფშ.) “კუმშვა, მოხრა”, (ქიზიყ.) “ცუდი შეკერილობის გამო ნაკერზე ნაოჭების მოყრა”, (ქეგლ) მო-**ბლუნძ-ულ-ი** “მოკუნტული, მოკრუნჩხული, მობუზული”, (ქეგლ. – იმერ.) მო-**ბუნძლ-ულ-ი** “მოხრილი, მობუზული”, **ბლუნძ-ავ-ს** “ანაოჭებს ნაკერს (უხეიროდ კერვისას); აპატარავებს, ამოკლებს (შეკუმშვით)”, **ბლუნძ-ვ-ა** (ჩვენებურების ქართული – შ. ფუტკარაძე) “მოხრა, მოკუმშვა, წელში მოღუნვა”... სვან. (ჩლრ. – ლიპარტიელიანი) ა-**ბუნჯღ-ჟ-ე** “ერთი კაცი მეორეს წელში მტკივნეულად კეცავს”, ლუ-**ბუნჯღ-ჟ-ე** “ცუდად დაკლაკნილი კაცი”. სვან. (ჩლრ.) **ბუნჯღ-<“ბუნჯღ-** შდრ. (ქეგლ. – იმერ.) **ბუნძლ-<“ბლუნძ-**

***თან-თალ-**

ქართ. **თანთალ-ი** “იგივეა, რაც თამთამი (ნძრევა, რხევა ფაფისებური მასისა, მსუქანი სხეულისა და სხვ.)” ზან. (მეგრ. – ქობალია) მითო-**თონთორი** “თანთალი (სიღრმეში)”.

***კალ-**

ქართ. ვ-**კლ-ავ**, მო-ვ-**კალსვან**. (ბზ. – ბ. ნიჟარაძე) ლგ-**კალხანჯარ** “გარკმული – вонзенный меч” როგორც ჩანს, ამოსავალი ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა “შერჭობა, ჩარჭობა” უნდა ყოფილიყო.

*ლალ-

ქართ. (ქეგლ. – იმერ. ლეჩხ. გურ.) ლალ-ა “ჯოხი, რომელსაც ხორბლეულის წყვის დროს საწყაოს თავზე გადაუსვამენ || კარგად გათლილი ჯოხი, რომლითაც ასწორებენ საკრამიტე ან სააგურე მიწას კალაპოტში” სვან. (ზს.) ა-ლლ-ჰჰი, (ლშხ.) ა-ლლ-ად, (ლნტ.) ა-ლალ-ჰჰ “(გადმო)თოვლავს, სახურავიდან თოვლს ყრის” ქართ. ლალ-სახელურ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება აქ წარმოდგენილ სვან. ზმნურ ფორმებში გამონაწევრებული ლალ-ძირი. სვანურისთვისაც, სავარაუდოდ, ამოსავალი “ჯოხის, ფიცრის” მნიშვნელობა უნდა იყოს, რომელიც ზედაპირის “მოსასწორებლად > გადასაწმენდად > გადასათოვლად” გამოიყენებოდა. საკუთრივ “საწყაოზე გადასასმელი ჯოხის” მნიშვნელობით – გ. ჩიტაიას ცნობით, ამ მნიშვნელობით ლალდე.ლალა და ალალ დადასტურებულია სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთშიც (1970/2000) – ლალასვანურს მოგვიანებით უნდა ესესხა.

*-ოტ-, *-ოტ-ა-

ქართ. (ქსნის ხეობ.) ყინჭ-ოტ-ი “ძალიან მაღალი ადამიანი” (შდრ. (ხევს.) ყინჭ-არ-ა “ყელი, ყანყრატო”), (კახ., ქიზიყ.) კინჭ-ოტ-ი “თონიდან პურის ამოსაღები კავიანი შამფური” (შდრ. (თუმ.) კინჭ-უტ-ი “წვეტი რაიმესი, კლდის შვერილი, მწვერვალის უმაღლესი წერტილი”, (ფშ.) კინჭ-უხ-ი “წვერი, წვეტი, კენწერო”). ზან. (ლაზ.) ლაკ-ოტ-ი “ლეკვი” (შდრ. ლაკ-ი “id.”), ლეშქ-ოტ-ა “დიდტუჩებიანი” (შდრ. ლეშქ-ი “ტუჩი”), ბორბ-ოტ-ა “მსუქანი, ფერხორციანი” (შდრ. ბორბ-ა “გულმკერდი”).

სვან. (ლშხ.) პილ-ოტ-ა-ჰ “დიდტუჩა, ლაშებიანი” (შდრ. (ზხ.) პილ-ჰარდ-ჰ-ი, (ბქ.) პილ-ჰარდ-ჰ, (ლნტ.) პილ-ოჩ-ჰ “id.”) ამოსავალი-ოტ, -ოტ-ა სართები, სავარაუდოდ, კნინობითობასა და რაიმე თვისების მქონელობას აღნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულში გამოიყოფა ასევე -ატ-, ატ-ა სუფიქსებიც, რომლებიც, განსხვავებით -ოტ-ისაგან, არ არის შეტანილი “ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში”: კურ-ატ-ი “გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, – კურო, ბუღა” (შდრ. კურ-ო), (გურ., იმერ.) ურ-ატ-ა “ხის პატარა ურო” (შდრ. ურ-ო), (გურ.) ბუძგ-ატ-ა-ი “წვრილი ეკლებით შემოსილი რამ, მაგალი-

თად, წაბლის ბუდე” (შდრ. (ლექს.) ბუბგვი “წაბლის ეკლიანი საფარო”)... ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზანურში (ლაზურში) გამოვლენილი **-ოტ**, **-ოტ-ა** სართები ამ **-ატ-**, **ატ-ა** სუფიქსებსაც შეესატყვისებოდეს.

***პრაწი-**

+ სვან. (ლმხ. – დონდუა) ლი-**პარჭ**-ე "მოჭყანვა (დაჯღანვა, დამანჭვა)", (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-**პარჭ**-ე “ანაოჭიანებს”

მ. ჩუხუამ ერთმანეთს დააკავშირა ქართ.**პრაწ**-ვ-ა “დაჭყეტა (თვალის)” და ზან. (მეგრ.)**პირჭ**-ინ-ი “id.” (2000-2003, 179; დაკავშირება გაიზიარა და ***პრაწი-** არქეტიპი აღადგინა ჰ. ფენრიხმა – 2007, 333). შესაძლოა, ამავე არქეტიპიდან მომდინარეობს სვან. **პარჭ**-ძირიც, რომელიც ლაშხურ და ჩოლურულ დიალექტებში დასტურდება. მნიშვნელობებს შორის სხვაობა “თვალეების დაქაჩვა” – “მოჭყანვა, [სახის] დანაოჭება” არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. შდრ., მაგ., და-**პრაწ**-ვ-ა (საჩინოური ქართული) “სიბრაზისაგან სახის შეცვლა”. საინტერესოა, რომ ჩვენებურების ნიგალურ მეტყველებაში სიტყვა და-**პრანჭ**-ვ-ა-ს “დანაოჭების” მნიშვნელობა აქვს (<http://corpora.co/#/dictionaries>; 22.11.2018; ნ. სურმავა).

***პრუწი-**

+ სვან. (ბზ. – ნიჟარაძე) ლი-**პურჭ**-ან-იელ "ჩადრეკილობა морщина", (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-**პურჭ**-ე “პატარა ჭამს, კუმშავს, ჭმუჭნის, მოწყენილად ჭამს”, ა-**პურჭ**-ინ-ე “პატარა მადიანად ჭამს”, ი-**პურჭ**-ი “სახეზე იჭმუჭნება”, ი-**პურჭ**-ნ-ალ “ტუჩების ბზუებით გამოხატავს უკმაყოფილებას”

გ. კლიმოვმა ქართ. **პრუწ**-უნ- (პრუწ-უნ-ი “ხმის გამოცემა ბაგეებით”) და ზან. (მეგრ.) **პურჭ**-ინ- (პურჭ-ინ-ი “პრუწუნი”) ფუძეთა შეპირისპირების საფუძველი აღადგინა ***პრუწი-**ინ-არქეტიპი (კლიმოვი 1964, 154; კლიმოვი 1998, 151). ფენრიხი და სარჯველაძე აღადგენენ ***პრუწი-**არქეტიპს (2000, 373; ფენრიხი 2007, 333). ჩვენი ვარაუდით, ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს სვან. **პურჭ**, **პურჭ**- (<**პურჭ**- რ-ს კარგვით და ხმოვნის ამანაზღაურებელი დაგრძელებით). მნიშვნელობათა დასაკავშირებლად მოსახმობია ასევე ქართ. **პრუწ**-ავ-ს “პრანჭავს (ტუჩებს); ჭუტავს, ნაბავს (თვალებს)”.

***ჟმორ-**

ქართ. (თუშ.)გა-**ჟმორ**-ებ-ა-ა“ძლიერ დასველება, წყლით გაჟღენთვა”, (რაჭ.) **ჟმორ**-ი“თქორი, წვრილი წვიმა” ზან. (მეგრ. – ქობალია)**ჟუმორ**-ი“თქორი, წვრილი წვიმა, ჟმურტლი, უსიამო სისველე”, **ჟუმორ**-უ-ა“ნამვა, ცვარვა, თქორვა”ზან. (მეგრ.) **ჟუმორ**-<**ჟმორ**-<**ჟმორ**-. შესატყვისობისათვის ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ჩვენი დამატებანი..., 2013, გვ. 4.

***ჟუჟღ-**

ქართ. **ჟუჟღ**-ი (საბა) “წყლულის მონადენი” ზან. (მეგრ. – ქაჯაია) **ჟღუჟღ**-ი “ჟინჟღლი”ზან. (მეგრ.) **ჟღუჟღ**-ი<**ჟუჟღ**-. მნიშვნელობათა დაშორება დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს.

***ჟუჟღ-**

ქართ. **ჟუჟღ**-ი (ქეგლ) “მვ. მკრთალად ნათება, ბჟუტვა” ზან. (მეგრ. – ქობალია) **ჟღუჟღ**-ი “მბოლავი ნედლი შეშა” ზან. (მეგრ.) **ჟღუჟღ**-ი<**ჟუჟღ**-.

***ჟღინტლ-**

ქართ. (ფშ. – გოგატიშვილი) **ჟღინტლ**-ა “მოუწვეელი, სიცივედაკრული პური” ზან. (მეგრ.) **ჟღინტლ** (ქაჯაია) “ნედლი”, (ქობალია) “ჟყინტი, უმწიფარი, ძვლებგაუმარებელი”. შეფარდებისათვის ქართ. -**ლ** : ზან. (მეგრ.) -**უ** შდრ. ქართ. **ჟყინტლ** : მეგრ. **ჟყინტლ**, ქართ. **ოფლ** : ზან. (მეგრ.) **უფლ**). დაისმის საკითხი ***ჟყინტლ**-(კლიმოვი 1998, 323-324; ფენრიხი, სარჯველაძე 688-89, ფენრიხი 2007, 673), ***ჟყანტლ**-(კლიმოვი 1998, 323; ფენრიხი, სარჯველაძე 688, ფენრიხი 2007, 672), ***ჟანტლ**-(იხ. ჩვენი, დამატებანი... IV, 25-26) არქეტიპებთან მიმართების შესახებ.

***რიჟუ-**

ქართ. **რიჟურაჟუ**-ა “განთიადი”, მე-**რიჟუ**-ებ-ა “შეღამება” სვან. **რგჰ**-ი “ნათელი, გათენებული, განთიადი”, **რიჰ**-დ “განთიადამდე” სვან. **რგჰ**<**რიჰ**- <**რიშ**- <**რიჟ**- ბოლოკიდური ჟ-ს კარგვით, ჟ-ს გაყრუებითა და შ სპირანტის ჰ-ში გადასვლით. შესატყვისობისათვის ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** : სვან. **ჟ** იხ. ჩვენი დამატებანი..., 2013, გვ. 4.

***როკ-**

ქართ. **როკ**-ვა “ცეკვა”ზან. (ლაზ.) ო-**როკ**-უ “თვალის თამაში” სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ლი-**რჰკ**-ნ-ალ “არული კუდიანებს” ვფიქრობთ, ამკარაა აქ წარმოდგენილი ქართველური მასალის საერთო წარმომავლობაც და ისიც, რომ ამოსავალ ზმნურ ძირს “ცეკვის, თამაშის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

***სტუფე-/სტუიფ-**

ქართ. (ხევს.) **ტეფე**-ს “ჩეჩქავს”, გა-ს-**ტეფე**-ს “გაჩეჩქავს” სვან. (ლიპ.) ლა-ხ-ს**ტუფე**-ე “ყბაში გაარტყა გაშლილი ხელი”, **სტუიფ** “საცობის ამოდრობის ხმა”როგორც ჩანს, ქართულში (ხევსურულში) ამოსავალი **სტეფე**- ძირის თავიკიდური **ს** ბგერა მესამე ობიექტური პირის ნიშნად გააზრდა და ძირს ჩამოსცილდა.

***სხამ-**

ქართ. (ძვ. ქართ.) **სხამ**-ენ-ი “შხამიანი”, (საბა, ხევს.) “შხამი”, (ხევს.) **სხამ**-ა, (თუშ.) **სხამ**-აყ-ი “შხამა” სვან. **ცხამ** “ღვარძლი; სარეველა ბალახი, ღვარძლა”ქართული **სხამ**- ძირის შიშინა ვარიანტი **შხამ**- გვიანდელი ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ძველ ქართულში ის არ დასტურდება. მას კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **ცხამ**- (***სხამ-სხ**>**ცხ** გადასვლით; ამ პროცესისათვის შდრ.: სვან. **იგხ/ტიგხ/უგხ** “მსხალი” <***მსხალ**-, სვან. ლი-**ცხ**-ემ “ზრდა” <***სხ-ამ-/სხ-მ-** და ა.შ.).

***სრუტ-უნ-/სრიტ-ინ-**

ქართ. **სრუტ-უნ**-ი “ცხვირით ჰაერის შესუნთქვა ხმის გამოცემით” (შდრ. **სრუტ**-ავ-ს “პირით შეისუნთქავს, შეიწოვს (ჰაერს, სითხეს...)”), (ქართლ.) შე-**სრიტ-ინ**-ებ-ს “ნერწყვი მოსდის (საჭმლის ნდომით)”, მ-**სრიტ**-ი “წუწვი, მსუნაგი” ზან. (მეგრ. – ქობალია) **შირტ-ინ**-ი “სრუტუნი, ქსუტუნი”შდრ. ბურუმული **šort ét** “სრუტუნი, ქსუტუნი”.

***ტობ-/ტუხ-**

ქართ. (საბა) **ტუხ**-ი “ღორის მოწოდება”, **ტუხ**-უნ-ი “ღორის ჳმიანობა”, (ქართლ.) **ტრუხ**-უნ-ი “ღრუტუნი ღორისა”, (ინგილ.) **ტობ**-ი-მ “ღორი ბავშვის ენაზე”, **ტობ**-ი-**ტობ**-ი “ღორის მოსახმობი დამახი-

ლი”, (ქიზ.) **ტუხ-ი**, **ტუხ-ი-ტუხ-ი** “ღორის დამახეზა”, **ტუხ-ტუხ-ი** “არევ-დარევა, არეულობა, უწესოება”, (ქართლ.) **ტუხ-ა** “ძალიანშავი, შავტუხა”...სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ტოხ-ტახ-ი** “ღორი ღორს ეკერშილებს” **ტოხ-**, **ტუხ-** ძირები თითქოს მხოლოდ აღმოსავლეთ ქართულ დიალექტებშია გავრცელებული, ამდენად სვანურის ჩოლურულ კილოში გამოვლენილი **ტოხ-ტახ-ი** ქართულიდან შეთვინებული არ უნდა იყოს.

*ფუტკ-

ქართ. (ხევს., ფშ. – შანიძე) **ფუტკ-ნ-ა** “ქათმის მიწაში გორვა”, (მთ., მოხ., ფშ.) **ი-ფუტკ-ნ-ებ-ა** “გორავს (ქათამი) თავის ამოჩიჩქნილ მიწაში”, (ხევს.) **ფუტკ-ვ-ა-ობ-ს** “გორაობს, დავარდნილი ტრიალებს (ნაცარში)”, **ფუტკ-ვ-ა-ობ-ა** (თუშ. – ხუბუტია) “ქათმების მიერ ფხვიერი მიწის ქექვა და მასში ფრთებისა და თავ-კისერის მოხმარებით გორაობა”, (თუშ. – ცოცანიძე) **ფუტკ-ვ-აჟ-ობ-ა-ე** “ფრინველის ბრუნვა მტვერში, ნაცარში”, (ფშ. – ქეგლ) **ფუტკ-ულ-ა-ობ-ს** “რამეში (ბზეში, თივაში, ნაცარში) ბრუნავს, მოძრაობს (ქათამი, ჩიტი...)”...სვან. (ბზ.) **ფუტკ-ჰირ-დ**, (ბზ., ლშხ.) **ფუტკ-ჰირ-დ**, (ლნტ.) **ფუტკ-ჰირ-დ** იხმარება გამოთქმაში **ფუტკ-ჰირ-დ....** ლიჩედ “გადაბუგვა, ფერფლად ქცევა” ამოსავალ***ფუტკ-** ძირს “მტვრის, ნაცრის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

*ღაჟღაჟ-

ქართ. **ღაღღაფ-ი** “ერთგვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა (ძაღლისა)”, (საბა) “შეთქმულობა უბრალოთა ზედა”, (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი) “განგაშით დრტყნვა მრავალთაგან”, (ხევს.) //**ღაბღაბ-ებ-ს** “ზოხ ხმაზე ყეფა. გადატ. კაცზედაც იტყვიან”, (ჩვენებულების ქართული – შ. ფუტკარაძე) “შურიანი ლაპარაკი (ვინმეს ან რაიმეს მიმართ)”, (ჯავახ. – ზედგინძე) //**ყავყავ-ი** “მითქმა-მოთქმა, ყაყანი, უკმაყოფილების ხმაური”, (ფშ.) **ღაფღაფ-ი** “ზებერი ნაგაზის ყეფა, ხნიერი კაცის ხრინწიანი ლაპარაკი”, **ღავღავ-ი** (ხევს.) “ხმაური, ხმამაღლა ლაპარაკი”, (ფშ.) “მგლების, ძაღლების და სხვა მისთანათა ღრენა-წყმუტუნის, ყეფა-ყმუილი”, (გარეკახური) “ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა ძაღლების”... სვან. (ბზ. – ბ. ნიჟარაძე) **ღაჟღაჟ** “განგაში – говор; шум”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ღაჟღაჟ-ი** “ცუდად მეტყველებს”.

***ლიმ-**

ქართ. ლიმ-ილ-ი ზან. (მეგრ.) (ქაჯაია) რლიმ-აფ-ა “უშნოდ პირის დაფჩენა”, (ქობალია) რლიმ-ა “დიდპირა, პირჩახეული, ფართოდ გაღიმებული”... ზან. (მეგრ.) ფორმებში თავკიდური რ მეორეულია.

***ლრეც-/ლრიც-**

ქართ. ვ-ლრეც, ვ-ლრიც-ეზან. (მეგრ. – ქობალია) ლირაც-ა “დალრეცა; დამორცხვება” სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ლრიც-ალ “ძლიერ ბრუტიანი” ზან. (მეგრ.) ლირაც-<*ღგრაც-<*ლრეც-; სვან. ლრიც-<*ლრიც-

***ლრეჟ-/ლრიჟ-**

ქართ. ლრეჟ-ა “სახელი ეღრიჟება ზმნის მოქმედებისა, – ხვეწნა, თხოვნა, ვედრება” სვან. ლი-ლრეჟ-ჟლ-ალ (ჩლრ. – ლიპარტელიანი) “ძლიერ ხვეწნა”, (ლშხ. – დონდუა) “დაღრეჯით თხოვნა, ხვეწნა-მუდარა”.

***ყაყაჩ-**

ქართ. (ინგ.) ყაყაჩ-ო ღამეა “ნათელი, მთვარიანი ღამე” (შდრ. კაკაჩ-ი (საბა) “ღამე, მთვარით განათებული”), (ჩვენებ. ქართ. – შ. ფუტკარაძე) გა-ყაყაჩ-ვ-ებ-ული-ი “[მთვარით] განათებული, ნათელი [ღამე]” სვან. ყაყაჩ-რ-ა (ზზ.), ყაყაჩ (ბქ., ლშხ.) “პაპანაქება, მცხუნვარება”, (ლშხ.) “ნათელი”, (ჩლრ.) “მთვარის ძლიერი სინათლე” ასლან ლიპარტელიანმა თავის “სვანურ-ქართულ ლექსიკონში” ერთმანეთს შეუპირისპირა ჩოლოურული ყაყაჩ და საბასთან მოცემული კაკაჩ-ი სიტყვა. ამოსავალი ყაყაჩ- ძირი დაცულია ქართული ენის ინგილოურ დიალექტსა და ჩვენებურების ქართულში. სამხრეთქართული ყაყაჩ-ვ-<*ყაყაჩ-ო-ო-ს რედუქციით. -ო მაზედსართავებელი სუფიქსი ჩანს. *ყაყაჩ- არქეტიპის მნიშვნელობა “(მზის, მთვარის) ნათება” უნდა ყოფილიყო. შდრ. ბურუმული *váqac-ij* (< *qáqac- დისიმილაციური გამჟღერებით) “ნაპერწყლები”.

***ყირჟ-**

ქართ. მო-ყირჟ-ებ-ა “მოზეზრდება, მოსწყინდება (ერთი და იგივე რამ)”, (ხევს.) ყინჟ-არ-ა “ყელი, ყანყრატო”, (ფშ.) ყინჟრ-ოლ-ია “ვულგ.

ყელ-კისერი, ყელი”, (ქსნის ხეობ.) **ყინჭ-ოტ**-ი “ძალიან მაღალი ადამიანი”, (მესხ.) **ყირჭ-აპ**-ი “ჭურჭლის ყელი”... ზან. (მეგრ. – ქობალია) **ყირჭ**-ი “ყრონტი”, **ყირჭ-ალ**-ი (ქობალია) “ყელმაღალი”, (ქაჯაია) //**ყირჭ**-ა “მაღალი და სუსტი”, (ქობალია) **ყირჭ-უ**-ა “ყლოურწვა” სვან. (ზხ. – ბ. ნიჟარაძე) ლგ-**ყღნჭ**-ე “მსუყე – жирный; сытный”, (ზხ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი) ლი-**ყინჭ**-ე, (ლშხ. – ლიპარტელიანი) ლი-**ყენჭ**-ე “შეზიზღება, მოყირჭება” ***ყირჭ**- ძირის ამოსავალი მნიშვნელობა “ყელი” უნდა იყოს, შესაბამისად: “მოყირჭდა” < “ყელში ამოუვიდა, ემსუყა”. ანალოგიისათვის, შდრ., ერთის მხრივ, **ყინჩ-ა**-ობ-ს, ი-**ყინჩ**-ებ-ა “იჭიმება; იბღინძება, ყოყლოჩინობს”, ანუ, ეტიმოლოგიურად, “ყელყელაობს, თავს მაღლა სწევს, ყელს იგრძელებს და იღერებს”, და, მეორე მხრივ, **ყინჩ**-ი (ხევს.) “მსუყე, ცხიმიანი საქმელი”, (თუშ.) “მსუყე, ნოყიერი საქმელი”, (მოხ.) “მსუყე”. ამგვარივე სემანტიკური გადასვლისათვის შდრ. ასევე, მაგ.: რუს. надо-едасть, при-едасться “მოზეზრება”.

*ყუან-

ქართ. **ყვან**-ა “მსხვილი ნაწლავების ანთება”, (ქართლ. – კირიონი) “ჭინთვა” სვან. (ზხ. – გუჯეჯიანი, პალმაიტისი) **ყუან** “მსხვილფეხა საქონლის და მისთ. აპენდიქსი”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) “უკანა ნაწლავისაგან, ან მსხვილი ნაწლავისაგან გაკეთებული მსხვილი ძეხვი” სიტყვა **ყვანა (ყუანა)** დასტურდება უკვე ქანანელის “უსწორო კარაბადინში” (XI ს.). შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ ლექსემათა საერთო წარმომავლობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

*ყრონტ-

ქართ. **ყრონტ**-ი “ყანყრატო” სვან. (ლშხ. – დონდუა; ჩლრ. – ლიპარტელიანი) მუ-**ყრონტ** “წერო” სვან. (ლშხ., ჩლრ.) მუ-**ყრონტ** სიტყვა გარსებული ზედსართავი ჩანს, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაც “[დიდი] ყანყრატოს მქონე [ფრინველი]” უნდა ყოფილიყო.

*ციბ-ა-

ქართ. (ქიზ.) **ციბ**-ა “საერთო სახელია ყველა ჯიშის ძაღლისა” ზან. (მეგრ.) **ციბ**-ა, **ციბ**-უნ-ია “კატა”, (ქობალია) **ციბ**, **ციბ!** “ფისოს მოსახმობი” (გურ.) **ციფ**-ა-ი “კნინ. კატა”, **ციფ**-ურ-ა “კატა მოფერებით”,

(გურ., იმერ.) **ციფ-ციფ! ციფო, ციფო!** “კატის მოხმოვა; კატის დამახე-
ბა ალერსით” < ზან. (მეგრ.) **ციბ-ა.**

***ჰყებ-/ჰყიბ-**

ქართ. **ჰყებ**-ს “ფართოდ ახელს თვალებს”, (საბა) **ჰყებ**-ა “თვალის
ურიგოდ გახილება”, (ხევს.) **ჰყებ**-ი “ღია, მყვირალა ფერებით მოქარ-
გული”, (მთ.) **ჰყებ**-ია “მალიან ღია ფერი”, (თუშ.) **ჰყებ**-ო-ღ “თვა-
ლებბრიალა, დიდთვალებიანი”, **ჰყებ**-აჟმასკვლავი “დიდი,
ბდღვრიალა ვარსკვლავი”, (ქიზიყ.) **ჰყიბ**-ა “დიდი ვარსკვლავი, გა-
თენების ხანს რომ ამოდის”, (მოხ.) **ჯღებ**-ა “ჰყებტა”... ზან. (ლაზ.) თო-
ლი-**ჯღატ**-ა “თვალჭრელი”. ქართ. (მოხ.) **ჯღებ**-<***ჰყებ**- დისიმილა-
ციური გამჟღერებით. ასევე ჩანს მიღებული ზან. (ლაზ.) **ჯღატ**-მი-
რიც. საერთო ძირიდან ნაყარ ქართულ ფორმათა სემანტიკის (“თვა-
ლების ფართოდ გახელა – ბრიალი, ბდღვრიალი – ღია ფერები, სიჭ-
რელე”) გათვალისწინებით ალბათ შეიძლებოდა აქვე მოგვეხმო შემ-
დეგი ზანური (ლაზური) ფორმებიც: ო-**ჩხატ**-უ “ბრწყინვა”, ო-**ჩხანტ**-
ინ-უ “ბრწყვიალი” (**ჩხატ**- <***ჯღატ**- თუ ***ჰყატ**-?). აღნიშნულ მნიშვნე-
ლობათა დაკავშირებისათვის, შდრ. ასევე: ქართ. (თუშ.) **ბაჰყატ**-აჟ-ი
“თვალისმომჭრელად ჭრელი (სამოსი); დიდთვალება, თვალებდა-
ჰყეტილი (ადამიანი)”.

***ხჷარს-**

ქართ. (თუშ.) **ხორს-ლ**-ი “კანზე სიცივისაგან მუწუკებისდარად წამო-
ბერილი თმის ძირები”, (ფშ.) **ჯორც-ლ**-ი “ბუსუსი, ბეწვი” სვან. (ზს.)
ხჷარც, (ზზ., ლშზ., ჩლრ.) **ხჷარს**“მუნი, ქეცი” დაკავშირებულ ფორმა-
თათვის ამოსავალი “კანზე გამონაყარის, მუწუკების” მნიშვნელობა
უნდა იყოს. ქართ. (თუშ.) **ხორსლ**-<***ხჷარსლ**-; განსხვავებით აღმო-
სავლეთ საქართველოს მთის სხვა კილოთაგან თუშურისათვისჶა >
ო არ არის დამახასიათებელი (ჯორბენაძე 1998, 158), თუმცა, რო-
გორც ჩანს, ამგვარი გადასვლის ცალკეული შემთხვევები აქ მაინც
ვლინდება. შდრ., ასევე: (ხევს.) **ხახვარ**-ი “ტანზე დაყრილი წვრილი
მუწუკები”, (ფშ.) **ხიხორ**-ი “წვრილი მუწუკები ტანზე”, (თუშ.) **ხო-
ხორ**-ი“წვრილი მუწუკები სახეზე, ტანზე”. ქართ. (ფშ.) **ჯორცლ**-
<***ხორსლ**-<***ხჷარსლ**- ს-ს აფრიკატიზაციით **რ**-ს მიმყოლ და ჰ< **ხ**

გადასვლით, რაც, სავარაუდოდ, **კორც-დაკვირთლ-** (“ბუსუსი, ბეწ-ვი”) სიტყვათა გავლენას უნდა მიეწეროს.

სვან. **ხჳარც, ხჳარს**<***ხჳარს-** ა – ბოლოკიდური ა-ს კარგვითა და ს-ს აფრიკატიზაციით რ-ს მომდევნო პოზიციაში. აუსლაუტის ა დაცულია მეგრულ **ხვარც-ა** (“მუნი”) სიტყვაში, რომელიც სვანურიდან უნდა იყოს შეთვისებული: **რც-რს** გადასვლა სვანურში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება – შდრ.: (ზზ.) **ლურცმან**-წრ< ქართ. **ლურსმან**-ი, (ლშხ.) **ფარცაგ**, (ლნტ.) **ფარცვგ**< ქართ. **ფარსაგ**-ი – საპირისპირო (**რც>რს**) გადასვლის მაგალითი კი აქ ჩვენთვის უცნობია.

***ჯაყ-**

ქართ. (ხევს., თუშ. – შანიძე) გა-**ჯაყ-ვ**-ა “სახელის გატეხვა, ცუდად ხსენება”, (ხევს. -ჭინჭარაული) **ჯაყ-ი** “სახელის გატეხვა, ტყუილად დაძრახვა”, **ჯაყ-ავ**-ს “ცილს სწამებს, ვინმეზე აუგს ამბობს”, **ჯაყ-იე**დება “სირცხვილი ედება, სააუგო საქმე უმჟღავნდება”, (თუშ. – ცოცანიძე) **ჯაყ-ვ-ა-ე** “გაქილიკება, დამცრობის წადილი”, (ფშ.) **ჯაყ-ი** “ჭორი”, (გურ.) მო-**ჯაყ-ვ**-ა “საქვეყნოდ სირცხვილის ჭამა, თავის შერცხვენა” სვან. ლგ-**ყაჯ**, ლგ-**ყაჯ** “აკრძალული”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) **ყაჯ-**ა “საეკლესიო შეჩვენება, ხატზე გადაცემა, დაწყევლა”, ლგ-**ყაჯ** “აკრძალული, დაფიცებული”, ხ-ო-**ყჯ-ენ**-ი “წყევლის” სვანური **ყაჯ-** ამოსავალი ***ჯაყ-** ძირისაგან საურთიერთო მეტათეზით ჩანს მიღებული (შდრ. ფორმითაც და მნიშვნელობითაც რამდენადმე მსგავსი სქ. ***ძაგ-** (> ქართ. **ძაგ-ებ**-ა “ვისიმე ცუდად, აუგად ხსენება”, ზან. (მეგრ.) **ჯოგ-აფ**-ა “ძულემა, შეზიზღება”, (ლაზ.) გო-**ნჯოგ**-უ “მოწყენა, შეზიზღება”..), რომელსაც ბურუშული პარალელიც ემებნება: **ᄎak-én** “ლანძღვა, გინება”). სვანურში თავდაპირველი მნიშვნელობა ასლან ლიპარტელიანის მიერ დადასტურებულ ჩოლურულ ფორმებს დაუცავთ: მნიშვნელობათა – “აუგის თქმა, ცუდად ხსენება, შერცხვენა – შეჩვენება, დაწყევლა” – კავშირი ამკარაა. საერთოსვანურ ლგ-**ყაჯ**, ლგ-**ყაჯ** მიმდებობისთვისაც ამოსავალი აღნიშნული სემანტიკა უნდა იყოს: “აკრძალულია” ის, რაც “ შეჩვენებული და დაწყველილია”.

გამოყენებული ლიტერატურა:

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

კლიმოვი 1998 – Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin – New York.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი

ფენრიხი 2007 – Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston.

ჩუხუა 2000-03 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

ჩიტაია 1970/2000– გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიულიპარალელები: 2. «სილა» და «ლაღა» [საწყაოს აღმნიშვნელი ტერმინები აღმოსავლეთ და დასავლეთ 74 საქართველოში] // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1970, ტ. 15 ,გვ. 69-73 (გადაბეჭდილია: შრომები, ტ. II, თბილისი, მეცნიერება, 2000, გვ. 280-284);

ჯორბენაძე 1998 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2, თბილისი.

Levan Kelauradze Addenda to Etymological Dictionary of Kartvelian Languages – IV

Summary

Publication of the possible new cognates identified among the Kartvelian languages, and Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparison, and also additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries is continued in the present article.

მეფა სალიანი

სვანურ მნათობ-ღმთაგბათა შვიდეულის უჩაღგენლობა
ღა სანაქსი (სტრუქტურულ-სემანტიკური და
ეტიმოლოგიური ანალიზი)

ცნობილია, რომ დროის მეტრიკული მონაკვეთები აღნიშნავენ არაფარდობით, თვლად ერთეულებს –*წელი, არე, თვე, კვირა, დღე*, რომლებიც წარმოგვიდგებიან როგორც დროით ბუნებრივ მოვლენათა რიტმულ ცვალებადობაზე დამყარებული დროითი ერთეულები (ქობალავა 2015:240). მათი შესწავლა მეტადრე ისეთ უმწერლობო ენაში, როგორიცაა სვანური, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა მხოლოდ სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, არამედ ეტიმოლოგიურადაც.

ამჯერად ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი მიზანია მიკროციკლური დროითი მონაკვეთების შემადგენელი კომპონენტების, კერძოდ, *კვირა/კვირეულისა* და *კვირის დღეების* სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით.

კვირა/კვირეული

კვირა/კვირეულის სვანური სახელწოდებაა **ნაგზი** (ზს., ლშხ.), **ნაგზა** (ბქ.), **ნაგზი** (ლნტ.)

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ამეჩუნი ძორი **ნაგზ**წნრგენ (ზზ., სვან. ქრესტ., 1978, 80:7) „აქაც ორი კვირა დავყავით“; უფლიშერ უომთხუ **ნაგზა** ხამთქუახ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 6:23) „უფლისობის დღესასწაული ოთხი კვირა იციან („სრვევიათ“)“; სემი **ნაგზა** ხონკუი ოჩადდ ემზუდ მი ი მიშგუი მეხუბ რაჯი (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 254:44) „სამი კვირით ადრე წავედით ერთად მე და ჩემი ნათესავი („მომმე“) რაჯი“; მგჟელადელხენქა მგჟელადელხოქა დურეს ხაჟხა **ნაგზი** (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 298:14-15) „კვირიდან კვირამდე დროს ჰქვია კვირა (ზედმიწ. –**მზ**-ი[ს] **დღ**-იდან-გა **მზ**-ი[ს] **დღე**-მდე **დრო**-ს ა-**სახ**-ელ-ი-ა მსგეფსი)“...

რომელთა გამოყოფა თვის შემადგენლობაში, მსგავსად სხვა ენებისა, დაკავშირებულია მთვარის მოქცევის ოთხ შვიდდღიან ციკლთან. საანალიზო ლექსემა (**ნაგზი/ნაგზა/ნაგზი**) შესაძლოა დავუკავშიროთ ძველ ქართულ *მსგეფს*-ს არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ ეტიმოლოგიურადაც. ამ ვარაუდს კი ამყარებს **გზეტუს** ფორმის არსებობა ჩოლურულ მეტყველებაში (ლიპარტელიანი 1994:83), რომელიც ასევე *კვირეულს*, *თვის შვიდდღიან მონაკვეთს* გულისხმობს და მატერიალურადაც უფრო მეტ სიახლოვეს აჩენს ძველ ქართულ *მსგეფს*-თან.

გარდა აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა, შვიდდღიანი კვირის აღსანიშნავად სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება **მიშუ** (ზზ.), **მიშ** (ბქ., ლნტ.), **მრშ** (ლშზ., ჩოლ.), რომელიც როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეული არ გამოიყენება, ის ყოველთვის სხვა სიტყვასთან კავშირში (მაგ.: **თამფამიშუ** (ზზ.) „აღდგომის კვირა“, **აღბამიშუ** (ზზ.) „აღების კვირა“, **ყუელიერიმიშუ** (ზზ.) „ყველიერის კვირა“, **ზაამ მიშ** (ლშზ.) „ბზობის კვირა“, **ლილწუნემრშ** (ლშზ.) „თესვის, დიდმარხვის შუა კვირა“, **ამმემშ** (ბქ.) „ამ დღეებში“, **ეჯმემშ** (ბქ.) „იმ/იქითა კვირის დღეებში“ და სხვ.) დასტურდება.

გარდა ამისა, შვიდდღიანი კვირის მონაკვეთის გამოსახატავად სვანურში სიტყვაწარმოებით მიღებული **ნაგზალადელ** „კვირა (ზედმიწ. – კვირა/მსგეფს-დღე)“ ფორმაც გვხვდება, ხოლო სრული, მთელი კვირის აღმნიშვნელად გამოიყენება ასევე სიტყვაწარმოებით მიღებული – **ნაგზა ლეჟა-ლექუა** (ზედმიწ. – კვირა/მსგეფსი ზემოთ-ქვემოთ, ანუ სრული კვირა).

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ნაგზალადელ ახად ქორთე უჯადდ (ბქ.) „ერთი კვირის განმავლობაში სახლში არ მოსულა (ზედმიწ. – კვირა/მსგეფსი-დღე დაყო სახლ[ის]კენ მოუსვლელად)“; **ამბუნაგზა ლეჟა-ლექუა** უქუიციდ იბურგალზ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 264:14) „მთელი ერთი კვირა განუწყვეტლივ ჭიდაობენ (ზედმიწ. – ერთი კვირა/მსგეფსი ზემოთ-ქვემოთ) უწყვეტად ჭიდაობენ“...

დღეის სწორს (ანუ *რომელიმე დღის სწორი*) სემანტიკით სვანური ენის დიალექტების მიხედვით დასტურდება იმავე ძირის (ანუ **ნაგზა/ნაგზი/ნაგზი**) შემცველი **ნანგაზა** (ბქ., ლშზ.) და, აგრეთვე, გაურკვეველი ეტიმოლოგიის, საკუთრივ სვანური **მწზე**(ზზ., ლშზ.),

მწბე(ბქ.), **მაბე** (ლნტ.) ფორმები, რომელთაც *მომავლის/მომდევნოს* მნიშვნელობაც გააჩნიათ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ლადიმ **ნანგაზას** ლი ლიმრე (ბქ.) „დღეის სწორს არის მარია-მოზა“; **მწბე მიშტქა** ხუზაზრე ლიჭმეს (ზზ.) „მომდევნო კვირას თიბვას დავამთავრებ (ზედმიწ. – მომდევნო კვირას/მსგეფსს|დღეის სწორს დავამთავრებ თიბვას)“; **მაბე ალ ლადელ** ანჯედენი (ლნტ.) „მომავალ ამ დღეს/დღეის სწორს მოვა“; **მწბემ/მწბე ლადელ** (ლშხ.) „დღეის სწორი“; **მწბე ცაშ** (ლშხ.) „დღეის სწორ ხუთშაბათს“ და ა. შ.

ოიგევი ძირი (ანუ **ნაგზა/ნაგზი/ნაგზი**) ფიქსირდება **ლენგაზ** (ზს.), **ლენგაზ** (ლშხ.), **ლენგაგზ** (ლნტ.) ფორმაშიც, რომელიც ნიშნავს *ერთი კვირისას*.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

მემზერაღლი ... ყვლე: „ქრისდე ფუსდ, ჰნლ ლაჯკერნენს იმგუიდ **ლენგაზ** ჩირტლი ქტინ, ამ ლაზკერინ ალ ქორამგეცლაში ქტინ ი ამენს!“ (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 11:30) – მლოცველი ასე ამბობს: „ბატონო ქრისტე, როგორც შვიდი კვირის ჩვილი ბავშვის სულს შეიწყალებ, ისე შეიწყალებ ამ ოჯახის ყველა სულდგმული და ამინ (ზედმიწ. – მ-ზორ-ავ-ი ამბობს: „ქრისტე უფალო, როგორც შეგევედროს **შვიდი-** კვირის **ჩვილ-**ის} სული, ა-ს-ე შეივედრე ამ სახლის სული და **ამინ!**“)“; მიშტა დის სემი **ლენგაზ** გარ ოთესდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 14:34) „დედაჩემს მხოლოდ სამი კვირის დაფურჩი“ ...

კვირის დღეები

კვირა, როგორც ცნობილია, შვიდი დღისაგან შედგება. დღის სვანური სახელწოდება კი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე **ლადალ** (ზზ.), **ლადელ** (ზს., ლშხ.), **ლადელ** (ლნტ.) ფორმაა.

კვირის დღეები, გარდა შაბათისა (**საფტინ/სამტინ/საბტინ**)¹, სვანურშიც შედგენილია საქართველოში გავრცელებული ლათინური პლანეტარული სისტემის კალენდრის საფუძველზე.

¹ რომელიც როგორც ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი დღე (ზიბლიური ტრადიციით – „დღე განსუენებისა“) უცვლელად შევიდა ქრისტიანული აღმსარებლობის ყველა ხალხის ენაში.

სვანურ მნათობ-ღვთაებათა შვიდეულის შემადგენლობა და სახელები

ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უმგ.
დრშდიშ/დტშდიშ „ორშაბათი“	დგშდიშ	დომდიშ	დტშტიშ	დტშტიშ	დომდიშ
თახშ „სამშაბათი“	თახშ	თახაშ	თახაშ	თახაშ	თახაშ
ჯგშშ „ოთხშაბათი“	ჯგშშ	ჯღშაშ/ჯგშაშ /ჯიშაშ	ჯგშშ	ჯგშაშ	ჯიშაშ
ცაშ „ხუთშაბათი“	ცაშ	ცაშ	ცაშ	ცაშ	ცაშ
ტეხიშ „პარასკევი“	ტეხიშ	ტოხიშ	ტეხიშ	ტეხიშ	ტოხიშ
საფტინ „შაბათი“	საფტინ/სამტინ	საფტინ	საფტინ	საფტინ	საფტინ/საბტინ
მიშლადედ/მიშლად „კვირა“	მიშლადედ/მგშ ლადედ	მიშლადედ	მგელადედ	მიშლადედ	მიყლადედ

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

ხელმწიფი ი მიჩა ხეხტ ჩი მიშლადად წირუთე ღვრიხ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 283:23) „ხელმწიფე და მისი მეუღლე ყოველ კვირას წირვაზე დადიან“; ნაგზაფსგა ლი სემი ლადად, შომუჟა სანციქუს დომ ხაჰტუდხ: **დრშდიშ, ცაშ ი საფტინ** (ბზ., იქვე, 19:24-25) „კვირაში არის სამი დღე, როცა ოჯახიდან არაფერს გაცემენ: ორშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი (ზედმიწ. – კვირაში არის **სამ-ი დღე**, როდესაც **სანციქ-ელ-ს** არ აძლევენ: **მთვარ-ის-ა, ც-ის-ა და საბატონ-ი**)“; სვარ უომთხუღეთ-ლადედ ლსტუ წეს: **საფტინს, მიშლადედ, დეშდიშ ი თახა** ნებოხს ჩუ ხტერნიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 4:30) „გვარის საერთო დღეობა ოთხი დღე-ღამე ტარდებოდა: შაბათს, კვირას, ორშაბათს და სამშაბათ საღამოს იშლებოდა (ზედმიწ. – დღეობა **ოთხ-ი** ღამე-დღე იყო წეს-ი: **საბატონ-ს, მზ-ის-დღე-ს, მთვარ-ის-ს** და სამშაბათ საღამოს დაირღვეოდა); ზედნიერ ლადღარდ ხოთრახ: **დომდიშ,თახაშ ი ცაშ, ტოხიშ ი ჯიშაშ** კუთმატიან ლადღარ ლოქ ლიხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 18:6-7) „ზედნიერ დღეებად მიანჩნიათ: ორშაბათი, სამშაბათი და ხუთშაბათი, პარასკევი და ოთხშაბათი დათარსული დღეებიაო (ზედმიწ. –**ზედნიერ დღე-ებ-ად უცვნიათ: მთვარ-ის-ს, სამშაბათი და ც-ის-ს, იოზ-ის-ს და მმ-ის-ს**“

კვიმატ-იან-ი დღე-ებ-ი-ო არიან“; ნაგზიძისა იშკუთიდ ლწდეღ ლი. ალ ლწდეღარ (||ალმინ) ლიხ: **დტუმტიმ, თახზმ, ჯგმზმ, ცზმ, ტტებიმ**, სა-ფტინ ი მგჟელწდეღ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 298:12-13) „კვირაში შვიდი დღეა. ეს დღეებია: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთ-შაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა (ზედმიწ. – კვირაში/მსგეფსში **შვიდი-ი დღე** არის. ეს დღე-ებ-ი (||ესენი) არიან: **მთვარ-ის-{ა}**, სამშა-ბათი, **მმ-ის-{ა}**, **ც-ის-{ა}**, **იობ-ის-{ა}**, **საბატონ-ი** და **მზ-ის{ს} დღე**“; **მგჟელწდეღხენქა მგჟელწდეღხოქა** დტრეს ხაჟხა ნაგზი(ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 298:12-13) „კვირიდან კვირამდე დროს ჰქვია კვირა (ზედმიწ. –**მზ-ის{ს} დღ-ი**დან-გა **მზ-ის{ს} დღე-მდე დრო-ს ა-სახ-ელ-ი-ა** მსგეფსი)“...

კვირის დღეების აღმნიშვნელი სვანური სახელწოდებებიდან ზოგი საერთოქართველური დონის მონაცემია, ზოგი კი ნასესხები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1. **დრმდიმ/დტუმდიმ** (ბზ.), **დემდიმ** (ბქ.), **დომდიმ** (ლზხ.), **დტუმტიმ**(ლნტ.), **დტუმტიმ** (ჩოლ.), **დომდიმ** (უშგ.) „ორშაბათი“

ქართ. თთუე- ძვ. ქართ. თთუე- „თვე“; ახ. ქართ. თვე : მეგრ. თუ-თა- თუთა „მთვარე; თვე“ : ლაზ. თუთა-/მთუთა- თუთა-/მთუთა- „მთვარე; თვე“; თუთ-ერ-ი „თვისა“; თუთ-ა-შ-მე „მთვარის სინათ-ლე“... : სვან. დომდ- დომდ-ულ „მთვარე; დომდ-იმ „ორშაბათი“.

საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილია *დუთე-არქტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:177-178).

2. **თახზმ**(ზს., ლნტ.), **თახამ** (ლზხ., ჩოლ.) „სამშაბათი“

სამშაბათის უძველესი (ანუ წარმართობის დროინდელი) ქართული სახელი, რამდენადაც ცნობილია, სამწერლობო ქართულში არ არის დაცული. მეგრულ-სვანურში შემონახული **თახაშხა** (მეგრ.) / **თახზმ/თახამ** (სვან.) კი უძველეს ფორმებადაა მიჩნეული და მათი წარმომავლობის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს. აკად. ნ. მარის აზრით, „თახა“-ს ახსნა მეგრულ-ჭანურად და სვანურად შეუძლებელია და იგი, პარასკევის მეგრული და სვანური სახელის მსგავსად, ჩრდილოეთიდან, კერძოდ, ადიღურიდან (შდრ. ადიღ. „თჰა“) ნასესხებად მიაჩნია. ადიღური „თჰა“, რომელიც ამჟამად ზოგადად ღმერთს აღნიშნავს, მკვლევრის ვარაუდით, ღმერთის რომელიმე დიალექტური სახენაც-

ვალი უნდა იყოს, ისევე, როგორც ჭანურში, სადაც სამშაბათის აღსანიშნავად რამდენიმე დიალექტური ვარიანტი მოიპოვება: **ერკინაჩხა/ეკინაჩხა/იკინაშხა/იკინაჩხა/ტიკინაჩხა**, რაც *ცის დღეს*, ანუ *რკინის დღეს* უნდა აღნიშნავდეს (მარი 1915:143). ის, რომ სამშაბათი ცისათვის ყოფილა განკუთვნილი, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ემყარება იმ აზრს, რომ „ერკინ“ სომხურად ცას ნიშნავს და სამშაბათის ჭანური სახელი „ერკინაჩხა“-ც ამ სიტყვას მიაგავს (ჯავახიშვილი 1979:174), თუმცა ნ. მარი არც ჭანური „ტიკინაჩხა“-ს ახსნას იძლევა, არც ადიღური „თჰა“-ს ეტიმოლოგიას და არც ამ სიტყვის ქართველურ ენებში შემოსვლის გზებს (იქვე).

შიდდულის დანარჩენი დღეების სახელების ჭანურში მეგრულ-სვანურთან სრული იგივეობა და ერთნაირი თანმიმდევრობა, მეცნიერის აზრით, იმის საფუძველს იძლევა, რომ სამშაბათის ჭანურ სახელშიც იგივე სავედრებელი ღვთაება (ანუ ცის ღვთაება „თახა“) იყო მოხსენიებული (იქვე).

ივ. ჯავახიშვილი, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა გამოერკვია, ჭანურში სამშაბათისათვის განკუთვნილი ოთხი სახელიდან რომელი იყო უძველესი. მან აღნიშნული სახელები ორ ჯგუფად დაყო: პირველ წყვილში მოათავსა „ტიკინაჩხა“ და „იკინაჩხა“, მეორეში კი – „ერკინაჩხა“ და „ეკინაჩხა“, რომელთაგან უძველესად მიიჩნია „ტიკინაჩხა“ და „ერკინაჩხა“, ამ უკანასკნელთაგან კი „ჩხა“-ს ჩამოცილებით ორივე მათგანისათვის უძველეს ფორმად „ტიერკინი“ ივარაუდა (შდრ., ერთი მხრივ, მეგრულ-სვანური „თახა“ და, მეორე მხრივ, ჭანური „ტიერკინ“). მკვლევარმა სწორედ ეს ორი ფორმა – „თახა“ და „ტიერკინ“ შეადარა ერთმანეთთან და აღნიშნა, რომ მეგრულ-სვანური „თახა“-ს მსგავსად, რომელსაც შუაში „ხ“-ს წინ „რ“ არ უჩანს, ჭანურსაც ამ სახელში „რ“-ს გაქრობის პროცესი ემჩნევა (შდრ., ასევე, ჭან. „ეკინაჩხა“) (იქვე, 175).

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიანიშნებს, რომ „თახა“ და „ტიერკინ“ ერთი და იმავე ღვთაების სახელებია, ამ ორ ფორმათაგან კი რომელიმე, ცხადია, უფრო უძველესია და ამ უძველეს ფორმად ფონეტიკურ ნიადაგზე მიჩნეულია „ტიერკინ“, რომელიც თავის მხრივ ან „ტარკუნ“, ან „თარკუნ“-ისაგან უნდა მომდინარეობდეს. ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ ასკვნის, რომ მეგრულ-სვანურში თუ „თახა“ ამ დღის ღვთაების სახელია, ჭანურში მის სახელად „ტარკუნ“-ია საფიქრებელი (იქვე).

ვინაიდან სამშაბათი „არია“, ე. ი. *მარსის* დღედ ითვლებოდა, მარსი კი სამხედრო და ომიანობის ღვთაებად იყო მიჩნეული, აქედან გამომდინარე არის ვარაუდი, რომ „თახა“ და „ტარკუნ“ „არიალ“, ანუ *მარსის*სახელი უნდა იყოს და ქართველ ტომთაგანაც ომიანობის ღვთაებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, აუცილებლად უნდა დამტკიცდეს და ამის არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ „ტარკუნ“ მარსის ანუ ომიანობის ღვთაების სახელი უნებლიეთ ხეთელთ ღვთაების „ტარკუნ“, ან „ტარხონ“-ის სახელს გვაგონებს. ამ დმერთს კი ხეთელნიც ომიანობის ღვთაებად სთვლიდნენ, თუმცა ერთსა და იმავე დროს წელზე ხმაღმემორტყმული ხელში ელვა-მეხის ემბლემითაც იხატებოდა, ე. ი. ომიანობისა და მეხდატეხილობის ღვთაებად იყო წარმოდგენილი და ეს სახელები ადამიანის საკუთარი სახელების შემადგენლობაშიც შედიოდა (მაგ.: „ტარკუდიმე“, „ტარხუნ დარადუ“, „ტარხუნაზი“, „ტარხულარა“, „ტარკვინიუსი“...; შდრ. ძვ. ქართ. „თარკუჯი“, „თარხონი“, „თარხანი“; მეგრ. „თარხუნია“¹) (იქვე:175-176).

იგივე მკვლევარი იმასაც ვარაუდობდა, რომ ამინდის მნიშვნელობით გამოყენებული ტაროსი (ქართ.), ტაროზი (მეგრ.), ტარონი (ჭან.) და ტარუეს/ტარესუ (სვან.) ფორმებიდან თუ უძველესად მივიჩნევთ ჭანურ „ტარონ“-ს, რომელიც „ტარხონ“-ისაგან „ტარჰონ“-ის საფეხურის გავლის შემდგომ უნდა იყოს წარმომდგარი, მაშინ შესაძლოა „ტაროსი“-ც იმავე „ტარხონი“-საგან (→ტარჰონი→ტარსონი→ტაროსნი→ტაროსი) მომდინარეობდეს ფონეტიკურ ცვლილებათა საფუძველზე (იქვე:177).

ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ სვანური „თახა“ ფორმის თავდაპირველ, ანუ უძველეს ფორმად მივიჩნევთ სვანურში დადასტურებულ „ტარხან“-ს², რომელსაც დღევანდელი მონაცემების მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: 1. „ჰოლოკი, ხელკეტი“, 2. „ძველებური კაჟიანი თოფი (მონადირულ ენაზე)“³. თუმცა, ვფიქრობთ, ის სემანტიკა, რაც დღეს გააჩნია, თავ-

¹ მსგავსი სახელები გამოვლინდა ქართულშიც: თარხუნი, თარხუნა, თარხუჯი (ლონტი 1986:129).

² ბალსქვემოურში პარალელურად ხტარტან ფორმაც გვხვდება, თუმცა იშვიათად.

³ აღნიშნული სიტყვიდან იწარმოება ზმნის პირიანი ფორმებიც, მაგ.: ზხ. ლიტგრხნე / ლი-ტგრხანაჴლ, ზქ. ლიტგრხნე / ლიტგრხანაჴლ – 1. „ქვების სროლა“; 2. „ჰოლოკის მოქნევა ხისათვის ნაყოფის ჩამოყრის მიზნით“; 3. „თოფის სროლა (მონადირულ ენაზე)“.

დაპირველი არ უნდა ყოფილიყო, რასაც გვავარაუდებინებს აღნიშნული სიტყვის ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ხშირი გამოყენება და ის შინაარსი, რაც სწორედ ამ უძველეს გამონათქვამებში დევს.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

მეზგა ეშხუ **ტარხან ხეტხენი**, ერქანდვე მეჩდე ლი ეჩა გტემ (ბქ.) „ოჯახს რომ ერთხელ უბედურება ეწვევა, მერე წასულია იმისი საქმე (ზედმიწ. – მოსახლეს ერთი ჭოლოკი [რომ] დაეცემა, მაშინს მერე წასული არის იმისი საქმე)“; ალ მეზგა **ტარხან ხეტახ** (ბქ.) „ამ ოჯახს უბედურება ეწვია (ზედმიწ. – ამ მოსახლეს ჭოლოკი დაეცა)“; ლეგ **ტარხან ხეტახს** (ბქ.) „ცუდი საქმე დაემართათ (ზედმიწ. – ცუდი ჭოლოკი დაეცათ)“...

როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, **ტარხანიშ ლიყერ** „ჭოლოკის დაცემა“ დიდ უბედურებასთან, ოჯახის ამოწყვეტასთან და ა. შ. არის დაკავშირებული, რაც, შესაძლოა, სწორედ მტრის შემოსევასთან, ან ჭექა-ქუხილთან იყოს დაკავშირებული, შესაბამისად კი *ომიანობის* და *ჭექა-ქუხილის ღვთაებასთან*. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი თავდაპირველი სემანტიკა დროთა განმავლობაში მიიჩქმალა.

ჩვენ ვუშვებთ შესაძლებლობას სვანური ფუძის ფონეტიკური დაკავშირებისა საანალიზო „**ტარკუნ**“ / „**ტარხონ**“ ფორმებთან (შდრ., აგრეთვე, ქართ. **თარხონ**-ის-ა და მეგრ. **თახა**), რომელიც ფონეტიკურ პროცესთა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგნაირად წარმოგვიდგენია:

სვან. **თახ-აშ/თახ-აშ** ← ***თახა-აშ** ← ***თახა** ← ***თარხა**← ***ტარხა**← ***ტარხან**←**ტარხონ**.

ვფიქრობთ, უძველესი წარმართობის დროინდელი ფორმა სემანტიკურად სახეცვლილი ფორმით და **ო**ს ←**ა**-ში შემოინახა სვანურმა, თუმცა ის შინაარსი, რაც ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დევს, სწორედ *ომიანობის* და *ჭექა-ქუხილის ღვთაების* უძველეს სახელზე მიგვანიშნებს. თუკი ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სვანური **ტარხან**¹ მეგრულ-სვანურ „**თახა**“-ზე უფრო ძველ ფორმად ჩაითვლება და იგ. ჯავახიშვილის ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასაც გაამყარებს.

¹ საინტერესოა, ხომ არ არის კავშირში სვანური (კერძოდ, ბალსქვემოური) ერთ-ერთი უძველესი რელიგიური დღესასწაულის სახელი **ტეხშობ** ღვთაების ამ სახელთან?

3. **ჯგმწშ** (ზს., ლნტ.), **ჯუმამ/ჯიმამ** (ლშხ.), **ჯგმამ** (ლშხ., ჩოლ.), **ჯიმამშ** (უმგ.), როგორც ცნობილია, ოთხშაბათი დღის ღვთაების უძველესი წარმართული სახელია (შდრ. მეგრ. **ჯუმამშა**, ჭან. **ჯუმამჩა** და ხევს. **ჯიმადი** „ჯიმადის ხატი“), რომელიც სავარაუდოდ ჰერმესის, ანუ მერკურის ღვთაების ძველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1979:177-178).

4. **ცაშ** (ზზ.), **ცაშ** (ბქ., ლნტ.), **ცაშ** (ლშხ., ჩოლ., უმგ.) „ხუთშაბათი“ ქართ. **ცა- ცა-მ; ც-ის-კარ-ი; ც-ის-კიდე-მ...** : მეგრ. **ცა-ცა „ცა“; ცა-შხა/ჩა-შხა** „ხუთშაბათი“ : სვან. **ცა- ც-აშ** „ხუთშაბათი“.

საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილია ***ცა-** არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:574).

5. **ჭებიშ** (ზს., ლნტ., ჩოლ.), **ჭობიშ** (ლშხ., უმგ.), **ობიშ** (უმგ.) „პარასკევი“

პარასკევის დღისა და ღვთაების წარმართობის დროინდელი ქართული სახელი, როგორც ცნობილია, მხოლოდ მეგრულ-სვანურს შემორჩა. სვანური **ჭებიშ/ჭობიშ/ობიშ** და მეგრული **ობიშ** ღვთაების სახელად **ობი-**სა და **ვებ-**ის ავარაუდებინებს ენათმეცნიერებს, თუმცა ერთიანი აზრი მათი წარმომავლობის შესახებ არ არსებობს, რაზეც მეტყველებს ცნობილ მეცნიერთა გარკვეული თვალსაზრისები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, დაუსაბუთებლად ამტკიცებს, რომ ტაროსის ღვთაებას ქართულად არ შეიძლებაოდ **„ვობი“** რქმეოდა, რადგან **„ჭობ“** და **„ჭებ“** ფორმები მხოლოდ სვანური დიალექტური ფორმებიაო, თუმცა, როგორც შემდეგ ირკვევა, მას ეს ფორმები არც სვანურად მიაჩნდა და საერთოდ თვლიდა, რომ აღნიშნული სიტყვები სვანურს შეთვისებული ჰქონდა სხვა ენებიდან (შდრ. უბიხ. **„ჭობიო“**, აფხაზ. **აჭგ.** ღვთაების სახელი“, ჩერქეზ.-ადილ. **ჭაჭე.** ცა, ციური“), მაგრამ დამაჯერებელი არგუმენტების უქონლობის გამო ამ ღვთაების სახელის წასესხობის საკითხი დღემდე არ არის გაზიარებული (ჯავახიშვილი 1979:179-180).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში საუბარი იყო ასევე სვანური **ჭებიშ** ფორმის თავკიდური **ჭბგერის** შესახებ, რომელიც რადგან მეგრულ ფორმაში არ ჩანს (შდრ. მეგრ. **ობიშა** და უმგ. **ობიშ**), შეიძლებაოდ დართული ყოფილიყო ფონეტიკურ ნიადაგზე, თუმცა ამ

ღვთაების სახელის ეტიმოლოგიის გარკვევამდე გადაჭრით რამის თქმა ნაადრევად მიიჩნეის (იქვე:181).

ხომ არ არის მეგრულ-სვანური ფორმები ბიბლიურ *იობ*-თან დაკავშირებული? ცხადია, ამ შემთხვევაშიც გარკვეული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, თუმცა გამორიცხული არაფერია, მითუმეტეს, რომ **ტობდა** **ობ** სვანურში ხშირი გამოყენების ფორმებია, განსაკუთრებით *კი დალოცვისა და წყევლის ფორმულებში* (მაგ., ბზ. ხოჩანტობ ი ბედუ აჯჰენა! „კარგი დრო მოგესწროს (ზედმიწ. – კარგიმც **იობ**-ი და **ბედ**-იმც მოგსწრებია!)“ ან ხოლა **ობ** ი ბედუ აჯჰენა! „ცუდი დრო მოგესწროს (ზედმიწ. – ცუდიმც **იობ**-ი და **ბედ**-იმც მოგსწრებია!)“...). როგორც ჩანს, **იობი** სვანთა წარმოდგენაში *სვე-ბედთან, ბარაქსთან* ასოცირდება, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ არის¹.

6. **საფტინ** (ზს., ქს.), **სამტინ**(ბქ.), **საბტინ** (უშგ.)² „შაბათი“ < მეგრ. საბატონ-ი, საბატენ-ი (გაფშვიწვიერებითა **ბ**→**ფ**) და **ბ/მ** თანხმოვან-თმონაცვლეობით) < ბერძ. **σαββατον**.

7. **მიშლადედ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **მიშლადალ** (ბზ.), **მეშლადედ** (ბქ.), **მეჟელადედ** (ლნტ.), **მიჟლადედ** (უშგ.) „კვირა (ზედმიწ. – **მზ**-[ის] **დედ**)“

ქართ. **მზემზე** : მეგრ. **მჟა/ზჟამჟა/ზჟა** „მზე“; ჟა-შხა „კვირადედ“ : ლაზ. **მჟა/ზჟამჟა-ჩხა/ზჟა-ჩხა** „კვირადედ“ : სვან. **მიჟ/მეჟმიჟ** „მზე“; **მიჟ**-ლადედ „კვირადედ“; ლა-**მეჟ** „სამზეო“; ლი-**მჟ**-უნ-ე „გამზეურება“; ლგ-**მჟ**-უნ-ე „გამზეურებული“...

საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღდგენილია ***მზე** არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:327-328).

კვირა სადამოს (/კვირა ღამის) გამოსახატავად სვანურში გამოიყენება კომპოზიტური შედგენილობის **მიშლეთ** (ბზ., ლშხ.), **მიშლეთ/მეშლეთ**(ბქ.), **მეჟელეთ** (ლნტ.)³.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა ს ა ლ ა :

მიშლეთ მუშგურალს ოხლელიდ (ბზ.) „კვირა სადამოს სტუმრებს ველოდებით“; **მეშლეთ** იბნეხ ზურალარ ლიმარალს (ბქ.) „კვი-

¹ ვიქრობთ, საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

² უშგულურში, როგორც ჩანს, უფრო ძველი ფორმაა შემონახული.

³ შდრ. **მეშლადედ ჰამს** (ბქ.) „კვირა დილას“.

რა სადამოს იწყებენ ქალები სამზადისს“; ალაბლეთ ჩიგარ მიმღეთ ხეხტი (ლმზ.) „აღების ღამე ყოველთვის კვირა სადამოს ხვდება“...

რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მზედამეს“-ს, ან „მზის ღამეს“. როგორც ჩანს, შვიდდღიანი კვირის აღსანიშნავად სვანურში დადასტურებული **მრმტ** (ზზ.), **მიშ** (ზქ., ლნტ.), **მრშ** (ლმზ., ჩოლ.) ფორმაც ეტიმოლოგიურად „მზე“-ს უკავშირდება, რაზეც მიგვანიშნებს ლენტეხური **მჟეღეთ**(ზედმიწ. –**მზ**-ი[ს] ღამე) ფორმის არსებობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

მარი 1915–**Н. Я. Марр**, О религиозных верованиях абхазов: ХВ, IV, I.

ქობალავა 2015– ი. ქობალავა, დროის სემანტიკა მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი.

ღლონტი 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

ჯავახიშვილი 1979 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი.

ბ) ლექსიკონები

ლიპარტელიანი 1994– ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000– ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

სვან. ენის ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

Medea Saghiani
The Composition and Names of the Heptad
of Luminous Deities in Svan
(The Structural-Semantic and Etymological Analysis)

Summary

The metric sections of time mark non-relative countable units – year, season, month, week, day that are the time units based on the rhythmic variation of natural events. Studying them, particularly in such an unwritten language as Svan, is very important and interesting not only structurally and semantically but also etymologically.

The present paper deals with the structural-semantic and etymological analysis of the components of the micro-cyclic time sections, in particular, a week and the weekdays in Svan dialects and sub-dialects based on the scientific literature and our assumptions.

It should be noted that among the Svan denominations of the weekdays some are Proto-Kartvelian and some are borrowed from other languages.

მედიკალინა

თან-თანა- და თავის-თავის-თავით კომპონენტთა სტრუქტურულ-სემანტიკური ფუნქციონალიზაცია (კვ.ქანთ. თანა-ნაღები და თანა-მღები; თვით-უფალი და თავის-უფალი)

კვლევაც ყურადღებას იპყრობს ბატონი გურამ რამიშვილის მიერ შემოთავაზებული მრავლისმეტყველი დეფინიცია ადამიანთა ისტორიული ერთობისა – „ენით შეკრული საზოგადოება“, რომელიც ავტორისეული „ენობრივი შინაარსის პრინციპის“ ანალიზიდანაა ამოზრდილი (გურამიშვილი, 10-14). ეს უაღრესადსაგულისხმოდეფინიცია გვკარნახობს, რომენა, თავის მხრივ, ერთგვარი „სიტყვით შეკრული საზოგადოება“, რომელშიც ხსენებულ „ენობრივი შინაარსს“ უწინარესად წარმოაჩენს არაწინადადება ან სიტყვის ბგერადობა, არამედ სწორედ საკუთრივ სიტყვა „სიტყვის სტრუქტურა“ – თავისი ბგერით-ფორმოზრდივი, სემანტიკური, სიტყვათწარმოებითი და სიტყვათშეერთებითი ერთობით, რადგან: „ბგერადობა უკავშირდება საგანს არა უშუალოდ, არამედ შინაარსობრივად გადამუშავებული სემანტიზებული ერთეულებით“ (იქვე).

ამ თვალსაზრისით, მივმართავთ ქართ. თან-/თანა- და თავ(ის)-/თვის-/თვისით- კომპონენტების შემცველ თხზულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეებს, რომელთაგან თან-/თანა- კომპონენტთანა თვალში საცემი პოზიტიური ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე მკვეთრად უპირისპირდება თავ(ის)-/თვის-/თვისით-კომპონენტთანა ნეგატიურ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს, მდრ.:

I. ქართ. თან-/თანა-კომპონენტთანნი:

ლექსიკური ერთეული	სემანტიკა	სემანტიკური ფუნქცია
თან-, თანა-	ლინგვ. 1. თანდ.- მიც., ნათ.ბრ.; 2. ზმნიზება; 3. რთ. ფუძის ან სიტყვის კომპონენტი	თანაობა; მსგავსება, ერთგვარობა; თანხლება; ერთად ყოფნა, ერთიანობა; ერთდროულობა მოვლენისა, მოქმედებისა; ზიარი მოქმედება, საქმიანობა, განცდა და სხვა.

თანაარსი	წიგნ. რაც ან ვინც სხვასთან ერთად არსებობს.	სხვასთან ერთად ყოფნა, ერთიანობა; ზიარი მოქმედება, საქმიანობა,
თანაბარი	ერთი და იმავე ზომისა, – თანატოლი, თანასწორი; რისამე თანაბარი ნაწილები	რაიმეს ან ვინმეს მსგავსი , ერთგვარი, თანმხლები.
თანაბრად	ზმნს. თანაბარ ნაწილებად, თანასწორად; ერთნაირად, ერთგვარად. თანაბრად დანაწილება	ერთად; ერთგარონად განაწილება – [შეზიარება]
თანაზრახვა, თანაგანზრახვა	ძვ. ორი ან მეტი პირის საერთო განზრახვა; შეთქმულება.	ერთი, ერთგვარი აზრის, შეხედულების გაზიარება ; ერთმანეთთან გაზიარება .
თანაგამზრახი	1. ვისაც სხვასთან ერთად რაიმე განზრახვა აქვს, რაიმე განზრახვის თანამოზიარე; თანამოაზრე, 2. „საქმის მრჩეველი“ (საბა).	სხვისი აზრის, შეხედულების გამზიარებელი .
თანაგრძნობა, თანაღმობა	1. გულშემატკივრობა სხვისი დარდის, მწუხარების; შეწყალება; სიბრალული 2. მხარის დაჭერა, კეთილი განწყობილება, მოწონება.	სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი .
თანადი	1. სპეც. რაც ნამდვილად აქვთ; ფაქტობრივად არსებული. თანადი წიგნების კატალოგი. 2. „თან სადევნელი“ (საბა). 3. ძვ. მოქნე, მოვალე (დ. ჩუბინ).	არსებული აუცილებლობა, მოვალეობა .

თანადადგომა, თანადგომა	ძვ. დახმარება, შეწვევა; მხარის დაჭერა (რაიმე საქმეში)	მოწყალეობა და მსახურება, ვითარცა მოვალეობა
თანამობიერი	ძვ. გულშემატკივარი	სხვისი ჭირისა და ღვინის გამზიარებელი.
თანამგრძობი	მიმღ. მოქმ. 1. ვინც თანაგრძობით (მნიშვ. 1.) არის გამსჭვალული, ვინც თანაუგრძობს (მნიშვ. 1.), – სხვისი მწუხარების, დარდის ... გამზიარებელი. 2. ვინც თანაგრძობით (მნიშვ. 2.) ეპყრობა, თანაუგრძობს (მნიშვ. 2.) ვისმე.	სხვისი ჭირისა და ღვინის გამზიარებელი.
თანამავალი, თანამგ ზავრი	1. ვინც სხვასთან ერთად მგზავრობს, – სხვასთან ერთად მავალი; 2. პოლიტიკადატ. ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის დროებითი, შემთხვევითი მონაწილე, მერყევი მიმდევარი.	სხვასთან ერთად მოსიარულე, მოგზაურობაში მყოფი
თანამდგომი	ძვ. წიგნ. შემწე, დამხმარე, მხარის დამჭერი	მოწყალეობა და მსახურება, ვითარცა მოვალეობა
თანამდები	ძვ. მოვალე. «თანამდები» იმ პირს ეწოდებოდა, „რომელსა თანა-ედვა“, რომელსაც სესხი, ვალი ჰქონდა აღებული და მოვალე იყო (ივ. ჯავახ.).	მოვალეობისმქონე ვილაცის ან რალაცის წინაშე
თანამდებარე	წიგნ. სხვასთან ერთად, სხვის გვერდით მდებარე.	სხვასთან ერთად ყოფნა, ერთიანობა;
თანამდებობა	1. სამსახურებრივი ადგილი(დაწესებულება ში, წარმოებაში ორგანიზაციაში...).	მოვალეობისმქონე, მსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე
	2. ძვ. წიგნ. მოვალეობა	

თანამდევნი, თანამდევარი	ძვ. წიგნ. რაც ან ვინც თან სდევს, – ვინმესთან ან რამესთან მყოფი.	ერთად ყოფნა, ერთიანობა – ვინმესთან, სხვასთან ერთად
თანადაუსაბამო	ძვ. წიგნ. „ერთგან მყოფი მარადის“ (საბა).	ერთად მყოფი მარადიულად [ოდენ სამება ღმერთი]
თანადაქვემდებარება	წიგნ. ერთდროული და თანაბარი დაქვემდებარება ერთისადმი რამდენიმე პირისა (ან სხვა რისამე).	მორჩილება ერთისადმი [ღმერთისადმი]
თანადება	ძვ. დასესხება, მოვალეობა (დ. ჩუბინ).	მოვალეობა [ღმერთმა მასესხა და – მოვალე ვარ მარადის!]
თანავარსკვლავედი	ასტრ. ვარსკვლავთა ჯგუფი, ერთი სახელწოდებით გაერთიანებული, – „ვარსკვლავთ ეტილი“ (აბენაშ).	ვარსკვლავთა თანხმადი ერთობა, ერთად ყოფნა
თანაზიარი	1. სხვისი აზრის, შეხედულების, განცდის გამზიარებელი, სხვისი მოქმედების თანამონაწილე. 2. თანამგრძობი.	სხვისი ჭირისა და ლბინის, აზრის, საქმის... გამზიარებელი.
თანაზომადი	სპეც. ისეთი, რომ სხვასთან საერთო საზომი მოეპოვებოდეს, საერთო საზომის მქონე	სხვასთან საერთო, საზიარო აზრი, შეფასება
თანაზომიერი	წიგნ. რისამე ზომის შესაბამისი, რისამე ზომასთან შეფარდებული; ზომიერი თავის ყოველ ნაწილში	შესაბამისად, სათანადოდ აწონ-დაწონილი ყოველგან, ყოველთვის და ყოველივეში
თანამიზანი	წიგნ. არამთავარი მიზანი	ქვემიზანი – უმთავრეს მიზნისაკენ მიმართი და მასთან მისასვლელი შესაბამისი საშუალება, გზა

თანაუკმო	მათემ. ურთიერთ-შექცეული, შებრუნებული სიდიდეები.	უკუქცევადობა
თანაური	წიგნ. რაც ძირითადად, მთავარს თან ახლავს, – არამთავარი. მრეწველობის თანაური ნაწარმი.	უმთავრესთანთანმზღე- ბი და მისკენ შესაბამისი საშუალება, გზა
თანაფარდი	წიგნ. შესაფერისი, ფარდი.	რაიმე შესაბამისი, სათანადო ვინმესი, რაიმესი, რაიმე
თანაფარდობა	1. წიგნ. ურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდებულობა. 2. ხელოვნ. ერთგვარობა, ერთნაირობა.	სათანადოდ აგებული ურთიერთობა, დამოკიდებულება; ერთგვარობა
თანაღერძი	ტექ. არამთავარი, არაძირითადი ღერძი, – თანაური	უმთავრესთანთანმზღე- ბი
თანაყვავილი	ბოტან. ყვავილის ძირთან განვითარებული, მეტწილად ძალიან შეცვლილი, შემცირებული ფოთოლი, რომლის უბიდანაც ყვავილი ვითარდება.	უმთავრესიდან მომდინარე
თანაყოფობა	წიგნ. საღმე, ვინმესთან რამესთან ერთად ყოფნა, არსებობა.	1. სხვასთან ერთად ყოფნა, ერთიანობა; 2. ზიარი მოქმედება, საქმიანობა
თანაშემოსავალი	ეკონ. არამთავარი, დამატებითი შემოსავალი	თანდართული, თანმზღეები შემოსავალი
თანაშემწე	1. ვინც ვინმესთან მუშაობს, უშუალოდ მას ექვემდებარება და ეხმარება საქმეში, სამსახურებრივი მოვალეობის	სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მოწყალება და მსახურება, ვითარცა მოვალეობა

	შესრულებაში. მემანქანის თანაშემწე. – შოფრის თანაშემწე; იგივეა, რაც მოადგილე; 2. ძვ. დამხმარე, მეშველი, შემწე უმცროსი ამხანაგი, უმცროსი თანამებროძი	
თანაცალი	წიგნ. ვისიმე ცალი.	მსგავსთაგან ერთ-ერთი; მთელის ნახევარი; ზადალი [შდრ.: თანაბარი – „მსგავსი., ერთგვარი; თანმზღები“]
თანაწევრი	წიგნ. მეორეხარისხოვანი წევრი	იხ.: თანამიზანი; თანაფარდი; თანაღერძი
თანახმა	იმის მომხრე, რომ მიიღოს, გაიზიაროს, იკისროს რამე. თანახმა არის, თანახმაა დასტურს აძლევს (რამეზე, რისამე შესახებ). ვისიმე აზრს, შეხედულებას... იზიარებს; -თანახმა [გა]ხდება [შე]უთანხმდება, [და]უთანხმება ვისმე; რისამე დასტურს აძლევს (მისცემს), დასტურს დასცემს.	მორჩილებით გამზიარებული
თანახმად	ზმნს. რისამე მიხედვით, შესაბამისად.	სათანადოდ
თანახმიერი	მუს. რაც შეხამებულად, პარმონიულად ჟღერს.	ერთმანეთთან შეფარ- დებული [იხ.: თანაფარდი], ერთმანეთის შესაფერისი [იხ.: თანაფარდი].
თანდათან	ზმნს. ცოტაცოტაობით, ნელ-ნელა; უფრო და უფრო	ნაწილ-ნაწილ გამთლია- ნება, დაფარვა და სხვა.

თანდებული	ლინგე. დამხმარე სიტყვა ან ნაწილაკი, რომელიც დაერთვის სახელს და მართავს მას რომელსამე ბრუნვაში, აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას და სხვ.	სახელთან ერთად, მასზე დართული
თანთანა	საქვეითო ბილიკი, რომელიც შარავზას გაკვეება აქეთ-იქით (დ. ჩუბინ.).	ნაწილ-ნაწილ დაძლევა, დაფარვა და სხვა.
თანხმობა	1. ერთსულოვნება, ურთიერთ-შეწყობა, ერთმანეთთან შეგუება, შეგობრული, კეთილი განწყობილება (საპირისპ. უთანხმოება). შეხედულებათა ერთგვარობა, აზრთა ერთიანობა. 2. დადებითი პასუხი, დასტური (საპირისპ. უარი).	ერთგვარი აზრის, შეხედულების ურთიერთგაზიარება.
თანხვდენილი	წიგნ. რაც ერთმანეთს ემთხვევა. თანხვდენილი მოვლენები.	თანაზარი – „ მსგავსი, ერთგვარი; თანმხლები“
თანხვდენილად	ზმნს. ერთმანეთზე დამთხვევით.	ერთგვარად, ერთმანეთის მსგავსად

II. თავ(ის)- კომპონენტები:

ლექსიკური ერთეული	სემანტიკა	სემანტიკური ფუნქცია
თავისებური	სხვებისაგან განსხვავებული	მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
თავისთავად	ზმნს. თვითონ, თვით, თავისით; ძალდატანების გარეშე; სხვის ჩაურევლად.	მხოლოდ საკუთარი ძალებით
თავისთავადი	წიგნ. რაც	დამოუკიდებლად,

	თავისთავად, დამოუკიდებლად არსებობს; თავისებური, ორიგინალური.	თავად არსებული
თავისთავად ცხადია	განმარტება არ ესაჭიროება, ისედაც ცხადია.	
ნივთი თავისთავად	ფილოს. კანტის შემეცნების თეორიაში – მიზეზი, საფუძველი მოვლენისა [თარგმ. გერმ. ინგან სიცჰ-ისა].	
თავისთავადობა, თავისთავობა	წიგნ. თავისთავადის თვისება, – თავისებურება, ორიგინალურობა. დამოუკიდებლობა.	დამოუკიდებლად არსებობა
თავისთან	თან- თანდებულებიანი ნაცვალსახელი თავისი, – თავის მახლობლად, თავის გვერდით.	თავისთან ახლოს
თავისიანი	ნათესავი, ახლობელი, თვისტომი; მოკეთე.	საკუთარი; გვერდოთ მყოფი; სისხლისმიერი
თავისთვის	1. -თვის თანდებულებიანი ნაცვალსახელი თავისი, – თავის სასარგებლოდ; თავის გულისთვის, თავის გამო. 2. ზმნს. მხოლოდ თავის გასაგონად, სხვის გასაგონად არა, – ჩუმად, ხმადაბლა. დამოუკიდებლად, ცალკე, მარტო, განცალკევებით, სხვის შეუწუხებლად.	მარტო თვითონ
თავისი	საკუთარი; ვინც ან რაც მას ეკუთვნის.	საკუთარი

თავისით	ზმნს. თავისი ნება-სურვილით, თვითონ; თავისთავად, სხვის დაუხმარებლად.	საკუთარი ნებითა და სურვილით
თავ-თავისი, თავ-თავიანთი	კუთვნ.ნაცვლს. თითოეულისა ცალ-ცალკე.	ცალ-ცალკე არსებული
თავისუფლება	1. ფილოს. ნების გამოქვადანების შესაძლებლობა. 2. თავისუფლის (მნიშვ. 1.) მდგომარეობა (პიროვნებისა, საზოგადოებრივი ფენისა, სახელმწიფოს უფლება დაუბრკოლებლად მოქმედებისა, საქმიანობისა. თავისი რწმენის, აზრის ან მისწრაფების რაიმე საშუალებით გამოქვადანების შესაძლებლობა. 3. თავისუფლის (მნიშვ. 3.) მდგომარეობა, – იმისი მდგომარეობა, ვინც დაპატიმრებული არ არის, რაც დამწყვედული არ არის. 4. თავისუფალი ქცევა, მოპერობა.	საკუთარი ნების უფლება
თავისუფალი	1. ვინც (ან რაც) იძულებას, ძალდატანებას არ განიცდის; დამოუკიდებელი. რასაც არაფერი არ აფერხებს, ხელს არ უშლის, – შეუზღუდავი, თამამი. თავისუფალი ქცევა. რაც ისე	საკუთარი ნების უფლების მქონე

	<p>მიმდინარეობს, რომ არაფერი არ აბრკოლებს, არაფერი ხელს არ უშლის. თავისუფალი სუნთქვა.</p> <p>2. რაც სხვა რამესთან შეერთებული არაა; (ბუნებაში) დამოუკიდებლად არსებული. თავისუფალი წყალბადი. </p> <p>წიგნ. რასაც ან ვისაც არ ამბიშებს. ტვირთად არ აწევს რამე.</p> <p>3. ვინც (ან რაც) შეპყრობილი არაა, პატიმრობიდან განთავისუფლებული: უფლებამოსილი განაგოს თავისი თავი.</p> <p>4. რის გამოყენებაც შეიძლება, – ცარიელი, დაუკავებელი; ვაკანტური; 5. ბრუნვაში არ მყოფი, – გამოუყენებელი, (ფული, თანხა).</p> <p>6. ისეთი (დრო), რაც ჩვეულებრივი საქმიანობით არა აქვთ დაკავებული. ვინც საქმით დაკავებული არაა, ვისაც დრო აქვს რისამე.</p>	
<p>თავისუფლად</p>	<p>ზმნს. 1. ხელს რომ არაფერი უშლის, ისე–თავის ნებაზე, შეუზღუდავად, დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად, თამამად; ადვილად.</p> <p>2. სპორტ.</p>	<p>თავის ნებაზე</p>

	სამხდ. განკარგულება, რომლითაც ერთგვარი თავისუფლება ეძლევა მწყობრს.	
თავმოყვარე	ვისაც თავის თავის დაფასების უნარი, საკუთარი ღირსების გრძნობა აქვს.	საკუთართავის სიყვარულისა და პატივისცემის მქონე
თავმოყვარება, თავმოყვარეობა	თავმოყვარის თვისება, – თავისი თავის დაფასების უნარი, საკუთარი ღირსების გრძნობა. შდრ. წიგნ. თვითყვარება	საკუთარი თავის სიყვარული
თავმოყვარული-ი	თავმოყვარის შესაფერი	თავმოყვარის მსგავსად
თავნება	თავის-ნება, ჯიუტი;	საკუთარი ნებით მოქმედი
თავნიერი	კუთხ. (იმერ.) თადარიგიანი, საქმის თავიანად წამყვანი, გამძღოლი.	ვინც საქმეს თავს ართმევს

III. თვის- კომპონენტები:

ლექსიკური ერთეული	სემანტიკა	სემანტიკური ფუნქცია
-თვის	თანდ. მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას: 1. გადმოსცემს დანიშნულებას, – (ვისიმე ან რისამე) გულისთვის; (რისამე ან ვისიმე) გამო. 2. მოულის თურმეობითში დასმული შემასმენლის ობიექტს (სამპირიან ზმნებთან).	ვინმესთვის ან რამისთვის განკუთვნილი
თვის-ი	1. იგივეა, რაც თავისი . 2. ნათესავი, მოკეთე, ახლობელი.	საკუთარი

თვისება	1.ვისიმე ან რისამე დამახასიათებელი თვისება, ბუნება; 2.თვისებრიობა; 3. უნარი, შესაძლებლობა	მისთვის დამახასიათებელი
თვისებადი, თვისებითი, თვისებრივი	იგივეა, რაც თვისობრივი; ფილოს. თვისებრიობით განსაზღვრული	ამა თუ იმ თვისებით გამორჩეული
თვისებრივად	ზმნის. თვისებრიობის მიხედვით.	რაიმე თვისებით გამორჩეული
თვისებური	იგივეა, რაც თავისებური	მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
თვისებრიობა	ფილოს. ერთ-ერთი მთავარი ლოგიკური კატეგორია; რაგვარობა	რაიმე თვისებით ან თვისებებით გამორჩეულობა
თვისთავადი	იგივეა, რაც თავისთავადი	დამოუკიდებლად არსებული
თვისთავადობა	იგივეა, რაც თავისთავადობა	დამოუკიდებლად არსებობა
თვის-თვისი	1. იგივეა, რაც თავ-თავისი ; 2. ნათესავი, მოკეთე, ახლობელი	ცალ-ცალკე არსებული; ახლობელი
თვისიანი	იგივეა, რაც თავისიანი	საკუთარი ; ახლოს მყოფი
თვისკერძ	სამხდ. თავისკენ! თავის წინ!	
თვისნება	იგივეა, რაც თავნება ; თვითნება.	საკუთარი ნებით მოქმედი
თვისობა	წიგნ. მსგავსება ძირითად თვისებათა მიხედვით ანდა საერთო წარმოშობის გამო.	რაიმეთი მსგავსი
თვისობრივი	იგივეა, რაც ფილოს.თვისებრივი.	ამა თუ იმ თვისებით გამორჩეული
თვისობრიობა	იგივეა, რაც ფილოს.თვისებრიობა.	ამა თუ იმ თვისებით გამორჩეულობა
თვისობს	დიალექტ. ფშ. ეთვისება; ეგუება; ეწყობა.	მასთან ახლობლობს

IV.თვით- კომპონენტიაწნი:

ლექსიკური ერთეული	სემანტიკა	სემანტიკური ფუნქცია
თვით	განსაზღვრებითი ნაცვალსახელი; 1. იგივეა, რაც თვითონ (მნიშვნ. 1). 2. გამოყენებულია სახელის მსაზღვრელად და გახაზავს მის მნიშვნელობას, – სწორედ ის (ეს, ეგ...).	
თვითაალება	სპეც.თავისთავად აალება.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითაალებადი	სპეც. თვითაალების თვისების მქონე, თავის თავად აალებადი.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითარსებობა	წიგნ. საკუთარი ძალებით არსებობა, – შდრ. თავისუფლება! დამოუკიდებლობა, თავისუფლება. თვითარსებობა	ოდენ საკუთარიძალით არსებობა
თვითაღზრდა	წიგნ. თავისი თავის აღზრდა, – თვითგანვითარება.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითგამგეობა	წიგნ. თავისი ძალებით გამგებლობა.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითგამოჩენა	წიგნ. თავისი თავის გამოჩენა.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითება	ძვ. წიგნ. მეობის დამახასიათებელი რამ; მეოფობა. თავისებურება.	მეობის მახასიათებელი
თვითმდგომი	იხ. თავისთავადი.	დამოუკიდებლად არსებობა
თვითმდგომარე	ძვ. წიგნ; იხ. დამოუკიდებელი.	დამოუკიდებლად დგომა

თვითმიზანი	წიგნ. მიზანი, რომლის მნიშვნელობა განსაზღვრულია თავისითვე და არ წარმოადგენს სხვა რაიმე მიზნის მისაღწევ საშუალებას.	ოდენ საკუთარი თავისთვის
თვითმიზნობრივი	წიგნ. თვითმიზნისათვის განკუთვნილი, თვითმიზნის შესაბამისი.	ოდენ საკუთარი თავისთვის განკუთვნილი
თვითმიზნური	წიგნ. ისეთი, რომ თვითმიზანს წარმოადგენდეს.	ოდენ საკუთარი თავისთვის განკუთვნილი
თვითმოარული	წიგნ. დამოუკიდებლად მოარული, დამოუკიდებლად არსებულად.	ოდენ საკუთარიძალით მორული
თვითმოქმედი	1. დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით მოქმედი. 2. ახ. მოხალისეებისაგან შემდგარი, არაპროფესიული (თეატრი, გუნდი და მისთ.). თვითმოქმედი თეატრი.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითმოქმედება	1. პირადი ინიციატივის, თაონობის გამოჩენა. 2. ახ.თვითმოქმედი (მნიშვ. 2.) კოლექტივის (ან პირის) შემოქმედება. თვითმოქმედების საღამო.	ოდენ საკუთარიძალით ქმედება
თვითმოყვარეობა	თვითმოყვარეობა (თვითმოყვარებისა) იხ. თავმოყვარეობა.	
თვითმოძრავი	წიგნ. რაც თავისით მოძრაობს.	ოდენ საკუთარიძალით მოქმედი

თვითმფლობელი	ძვ. ვინც თავის თავს ფლობს (დ. ჩუბინ.).	ოდენ საკუთარიძალით მფლობელი
თვითმფლობელობა	1. თავისი რისამე მფლობელობა, ფლობა; თვითმმართველობა. 2. თავის დაჭერა, თავის შეკავება.	ოდენ საკუთარიძალით მფლობელობა
თვითნაჩენი	წიგნ. რაც ბუნებრივად, უცხო გავლენის გარეშე წარმოიშვა, – დამოუკიდებელი, თავისთავადი.	დამოუკიდებლად, ოდენ საკუთარიძალით წარმოშობილი
თვითნება	ვინც თავის ნებაზე იქცევა, ვინც სხვას ანგარიშს არ უწევს, არაფერს უჯერებს, – თავნება.	თავის ნებაზე ყოფნა
თვითნებითი	წიგნ. იგივეა, რაც თვითნებური.	თავისი ნებით მოქმედი
თვითნებობა	თვითნებას თვისება; თვითნებად ყოფნა, – თავნებობა; ჯიუტობა.	თავისი ნებით ყოფნა
თვითნებური	თვითნებობაზე დამყარებული, თვითნებობის ხასიათისა. თვითნებურად ზმნს. როგორც თვითნებას შეეფერება.	ის, რაც ოდენ საკუთარი ნებით ხორციელდება
თვითრწმენა	წიგნ. საკუთარი ღირსების, საკუთარი ძალის რწმენა.	ოდენ საკუთარი ძალებიდან აღმოცენებული რწმენა
თვითრჯული, თვითსჯული	ჯიუტი; კერძი; თვითნება.	ოდენ საკუთარი ნებით აგებული ცხოვრების წესის გამტარებელი
თვითრჯულობა	იხ. რჯული თვითრჯულის თვისება, – ჯიუტობა. ფიგურ.	ოდენ საკუთარი ნებით აგებული ცხოვრების წესის გატარება
თვითსვლა	წიგნ. რაიმე მანქანის თავისით სვლა, მოძრაობა (შდრ. თვითმავალი).	ოდენ საკუთარი ძალით აგებული ცხოვრების წესის გამტარებელი

თვითქმედი	სპეც. რაც მექანიკურად, ავტომატურად მოქმედებს. თვითქმედი საკეტი.	ოდენ საკუთარი ძალით მოქმედი
თვითყვარება	წიგნ. იხ. თავმოყვარეობა.	
თვითჩასახვა	ბიოლ. ცოცხალი ორგანიზმის ჩასახვა თავისით.	ხელოვნურად ჩასახვა

წარმოდგენილ ახალი ქართული ენის მასალაში მართლაც ხაზ-გასმულად იჩენს თავს ხსენებული ურთიერთგამომრიცხველი **სემანტიკური ფუნქციით** დაპირისპირებული **თან-/თანა-** და **თავის-/თვის-/თვით** კომპონენტთან თხზულთა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდეები (იხ. ზემოთ და შდრ. სამსვეტიან ცხრილთა მე-3 სვეტები).

ამ მხრივ, მსგავსი ვითარებაა შესაბამის ძველქართულ მასალაშიც, რომელშიც ასევე იკვეთება ამ ორი სემანტიკური კომპონენტით განპირობებული დაპირისპირებულობა, რისი თვალსაჩინოების მიზნით, საგანგებოდ გამოვარჩევთ **თანა-კომპონენტთან** ძვ.ქართ. **თანა-ნადებს** და **თანა-მდებს**, და **თავის-კომპონენტთან** ძვ.ქართ. **თავის-უფალს**.

❖ **თანანადები და თანამდები:**

კაცობრიობისათვის დღემდე სანატრელია მაღალზნეობრიობით ნასაზრდოები ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება, რომლის ქვა-კუთხედაც ოცი საუკუნის წინ უფალი იესო ქრისტეს მიერ მცნებად ბოძებული შეგონება:

„მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ,
რამათა იყუარებოდით ურთიერთას,
ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ,
რამათა თქვენცა იყუარებოდით ურთიერთას“

(იოანე 13, 34; 15, 12).

წმიდა პავლე მოციქულმა ამ მცნების კონკრეტული შინაარსი გაგვიცხადა და ყოველ ჩვენგანს დაგვაკისრა, მივბამოთ ჩვენს უფალს, რომელმაც თავი დაიმდაბლა და: „**უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტვრთნა**“ (მათე 8, 17; ესაია 53, 4), რითაც მოგვცა მაგალითი „ურთიერთას თავს-დებისა“, ანუ ერთმანეთის ნაკლოვანებათა და მანკიერებათა მოთმენისა და ატანისა. სწორედ ამას გვევედრება წმიდა მოციქული პავლე:

**„ურთიერთას ტვრთი იტვრთეთ და
ესრეთ აღასრულეთ შჯული ქრისტესი“**

(გალატელთა მიმართ 6, 2).

წმიდა მამათა განმარტებით (სამოციქულო, 523-525; ლოპუხინი 3, 228-229), ამ შეგონების პირველ ნაწილში ხსენებული **ტვრთი** – მოყვასის ცოდვები, ბრალი და მანკიერებანია, რომლებიც სულგრძელობით უნდა მივუტევოთ მას; და არა მხოლოდ ცოდვები მივუტევოთ, არამედ მისი ყოველგვარი (ფიზიკური, ხორციელი, სულიერი თუ მატერიალური) სიმძიმე და ტანჯვა, რომლებსაც ის თავად ვერ უმკლავდება, ისევე განვიცადოთ და გადავატანინოთ, როგორც საკუთარს განვიცდით და ვუმკლავდებით ხოლმე. ამას კი მხოლოდ მოყვასისადმი მხურვალე სიყვარული შეგვაძლებინებს, რასაც, ჩვენდა სავალალოდ, ხშირად საკუთარი თავით პერობილება გადასმალავს ხოლმე.

სწორედ ამიტომ იხსენიება საგანგებოდ წმიდა მოციქულის შეგონების მეორე ნაწილში – **შჯული ქრისტესი**, ვითარცა მითითება ქრისტესმიერ საყოველთაო სიყვარულზე – უმთავრეს მცნებაზე:

„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თავსი“ (მარკოზი 12, 31).

წმიდა მოციქული იმასაც გვასწავლის, რომ მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, მშვიდობა იქნება ქვეყანაზე თუ შუღლი გაჩაღდება ძმათა შორის. შფოთის გამო პასუხისმგებლობაც იმას მოეთხოვება, ვინც თავს აარიდებს „ურთიერთას ტვრთის ტვრთვას“, ანუ განერიდება იმას, რასაც ყოველდღე ვევედრებით უფალს „მამაო ჩუენოს“ საუფლო ლოცვით:

„და მომიტევენ ჩუენ **თანა-ნადებნი ჩუენნი**, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ **თანა-მდებთა მათ ჩუენთა**“ (მათე 6, 12).

წმიდა იოანე ოქროპირი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მოყვასის ყველა ბრალისა და ცოდვის მიტევება საღმრთო საქმეა: „დიდად სათნო არს ღმრთისა – მიტევებად მოყუსისა ბრალთაჲ... რამეთუ **თანა-ნადებთა მიტევებად საქმე არს ღმრთისაჲ**“ (ოქროპირი, 22-23).

გავიხსენოთ, რომ ძვ. ქართ. **თანა-მდები** ნიშნავს „მოვალეს, ვალის გამცემს; დამნაშავეს“ და ასევე – „ღირსს“(!), ხოლო ძვ. ქართ. **თანა-ნადები** – „ვალს“. **თანა-მდებისა** და **თანა-ნადების** სემანტიკა და შინაარსი გვკარნახობს, რომ ყოველი ჩვენგანისთვის ქრისტეს მიერ დაკისრებული **თანა-მდებობა** (იხ. ზემოთ, I. ცხრილში: **თანამდები** და **თანამდებობა**) უწინარესად ღვთისა და მოყვასის წინაშე აღსასრულებელი ის უზენაესი მოვალეობაა, რომელიც ჩვენგან სიფხიზლეს მოითხოვს, კერძოდ:

როგორც კი დავაპირებთ ვინმეს – თუნდაც ჩვენ წინაშე დიდად დამნაშავის განკითხვას ან დასჯას, მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და ჯერ საკუთარი ცოდვების სიმძიმე განვიცადოთ, მოთმინებას მოვუხმოთ და, განკითხვის ნაცვლად, შევეწიოთ და შევუწოდოთ მას შეცოდებანი მისნი – თუკი გვსურს, რომ „მოვალედ“ და „დამნაშავედ“ კი არ წარვდგეთ ღვთის წინაშე, არამედ ჩვენც მოგვითმინონ, ჩვენც შეგვეწიონ, და იქნებ იმის „ღირსიც“ შევიქნათ, რომ უფალმა ჩვენც „შემინდვნეს თანა-ნადებნი ჩუენნი“!

ამგვარი, ქრისტესმიერი ურთიერთდამოკიდებულების შინაარსის გამომხატველი არაერთი სხვა მშვენიერი სიტყვა მოიპოვება ქართულში, მაგალითად, ერთი მხრივ:

1)ძვ.ქართ.**თანა-კომპონენტიანნი**:

თანა-არსი „მასთან მყოფი“ (შდრ.: **ერთ-არსი** „ერთად მყოფი“),

თანა-არსობა „მარადიულობა; არსებობა“,

თანა-მოთაული „მონაწილე; მოზიარე, თანაზიარი; თანასწორი“,

თანა-შეტყუება „თანასწორობა, თანაფარდობა; შესაბამისობა; შედარება“ (შდრ.: ძვ.ქართ. **მომატყუებელი** „მიმყოლი; საბაბი; შუამავა-

ლი; შემძენელი; მიზეზის მომცემი; მომასწავებელი“ და **მოტყუება** „შეძენა, მოგება, მიცემა; მოსწავება; ვარაუდი“);

თანა-ზიარი „მონაწილე“,

თანა-ზიარება „ერთობა; მონაწილეობა“,

თანა-მზრუნველი „ჭირისუფალი; მზრუნველი“,

თანა-მზრუნველობა „ზრუნვა; დახმარება“,

თანა-ღუაწა „ზრუნვა“,

თანა-მავალი „თანამგზავრი“,

თანა-შემწე „დამხმარე“,

თანა-შემწეობა „დახმარება“,

თანა-დადგომა „მხარში ამოდგომა“,

თანა-შეთქმულნი „ერთ პირზე, მდგომნი; შეერთებულნი“,

საკუთრივ **თანა-მდები** „მოვალე; ვალის გამცემი; დამნაშავე; ღირსი“,

თანა-მდებ-ყოფა „კისრება“ (მდრ.: **თავს-დება** „ტვირთვა“),

თანა-მდებობა „ზღვევა; დასჯა“, და სხვა მისთანანი.

2) მეორე მხრივ, **თან-/თანა-** კომპონენტთან ანტონიმურად შეწყვილებული **თავის-/თვს-/თვთ-** კომპონენტანნი:

თავის-წინა „მარტოკა, მარტო თავის თავად; ერთადერთი“,

თავისწინაობა „მარტოობა“,

თავ-ხედი „თვთ-რჯული; უგულისხმო; ბრიყვი“,

თვსად-თანად „მარტოდ; ცალკე; საკუთარ თავთან“,

თვს-თანა „მასთან/თავისთან მყოფი“,

თვს-თვსება „თვისება, განსაკუთრებულება“;

თვთ-ნება „ურჩი, თავნება“;

თავ-მოთნე „თავმომწონე; თავისნება; ამპარტავანი“;

თვთ-რჩულება „თვითნებობა“,

თვთ-რჯული „თავისნება; ახირებული; მიბრჯნილი (უდიერი)“,

თვთ-უფალი „კადნიერი“,

თვთ-უფლება „კადნიერება“, და სხვა მისთანანი (აბულაძე; სა-რჯველაძე; იმნაიშვილი; სულხან-საბა; დ. ჩუბინაშვილი; ნ. ჩუბინაშ-ვილი).

ამავე ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში მკვიდრობენ დიდებულ ქართული სიტყვები – თავის-უფალი „არავისი მონა; კეთილშობილი; აზნაური; აზატი; თარხანი“ და თავის-უფლება „განთავისუფლება; დაუმონებლობა; გაშვება“.

❖ თავის-უფალი და თვთ-უფალი:

ქართული თავისუფალ-ის(← თავის(ი)+უფალი) სემანტიკა დღეს უმთავრესად ადამიანის (ასევე საგნის ან მოვლენის) ფიზიკური, ხორციელი მდგომარეობისა თუ ვითარების ჭრილში განიხილება: თავისუფალია ის, ვინც ან რაც იძულებას, ძალდატანებას არ განიცდის; „დამოუკიდებელია“; „ვისაც ან რასაც არც არაფერი აფერხებს და არც ზღუდავს“; „რაც დაუბრკოლებლად, შეუფერხებლად ხდება“; „რაც დაკავებული არ არის“ და „ვინც საქმით არ არის დაკავებული“ [ქეგლ-ი].

ძველ ქართულში საკუთრივ თავისუფალს მრავალი მნიშვნელობა მოეპოვებოდა: „თავისუფალი“; „განთავისუფლებული“; „რაც ენებოს, ქნას“; „არავისი მონა“; „წარჩინებული“; „დიდგვაროვანი“; „აზნაური“; „კეთილშობილი“; „უპატრონო“ .

ყველა ეს მნიშვნელობა სამ განსხვავებულ ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართულებას შედგენს:

- 1) „საზოგადოდ თავისუფალი“;
- 2) „რაიმესგან ან ვინმესგან თავისუფალი, განთავისუფლებული“;
- 3) „საგანგებო (მაღალი) სოციალური სტატუსის მქონე“.

ამასთან ერთად, ძველ ქართულშივე „თავისუფალის“ და „თავისუფლების“ სემანტიკას შეიცავდა არაერთი ლექსემა: უუფლო, უმეუფო, ნებებითი, ნებიერი, თვთმფლობელი, თვთკელმწიფე, აზნაური, აზატი, თარხანი.

ჩვენს ყურადღებას ამჯერად იპყრობს ძვ.ქართ. უუფლო, რომელიც ნიშნავდა როგორც „უპატრონოს“, ისე „თავისუფალს“. უფალი ღმერთი იერემია წინასწარმეტყველის პირით გამოთქვამს თავის გაკვირვებას იმის გამო, რომ ისრაელიანებმა არ შეისმინეს უფლის ნა-

მცნები, მადლიერებით არ მიიღეს უფლის წყალობა და, რაც ყველაზე შემადრწუნებელია – აღარ ინდომეს უფალთან ყოფნა: „იტყვს უფალი: ნუ უდაბნო ვექმენ ისრაილსა, ანუ ქუეყანა განკორდებულ მით? რამეთუ თქუა ერმან ჩემმან: უუფლო ვიყვნეთ და შენდა არღარა მოვიდეთ მერმე?“ (იერემია 2, 31).

უფალი ისრაელ ერს ყველაზე მძიმე ცოდვაზე უთითებს: **უუფლო ვიყვნეთო**, ანუ უფლის გარეშე (უ-უფალ-ო-დ) ვიქნებითო. ისრაელიანებმა არჩიეს **უუფლოდ** ყოფნა, რითაც უფალზე, ზეციერ პატრონზე თქვეს უარი და თავის ნებაზე ყოფნა ამჯობინეს; შდრ. ამ მუხლის ძველი რუსული თარგმანი: „**мы сами себе господа**“, რაც იმას ნიშნავს, რომ ერმა საკუთარი თავის უფლად და პატრონად –**თავისივე თავი** განაგო და, მაშასადამე, უარყო და გამორიცხა ზეციერი უფლისა და პატრონის მფარველობითი მონაწილეობა საკუთარი ცხოვრების წარმართვაში!

აქედან გამომდინარე, იერემია წინასწარმეტყველის წიგნიდან მოხმობილ ამონარიდში ქართული სიტყვა **უუფლო** უაღრესად საგულისხმო, თავისებური ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციით წარმოდგება და ამას შეგვაგონებს: ვისთვისაც უფალი არ არის ზეციერი პატრონი, იგი **უუფლოა** – „უპატრონო“, ვინაიდან საკუთარი ნებით ითავისუფლებს თავს უფალი ღმერთისაგან და საკუთარი თავილა შერჩენია უფლად თუ პატრონად!

ძვ.ქართ. **თავისუფალის** ამგვარი სემანტიკური გააზრება ბიბლიაში კერძო ხასიათისაა.

თუმცა ძველ ქართულში, **უუფლოს** მსგავსი სემანტიკური ფუნქციით („უფალი ღმერთისგან განთავისუფლებული“) რამდენიმე **თვთ-კომპონენტ**იანი თხზული იმოსება:

* **თვთმფლობელობა** „თვითნებობა, თავის ნებაზე ყოფნა“ და **თვთკელმწიფება** „თავის ნებაზე ყოფნა“, ანუ → ღვთის ნების უგულებელყოფა;

* **თვთნება** „ურჩი, თავნება“ და **თვთნებობა** „თვითნებობა“, ანუ → ღვთის ნების გაუთვალისწინებლობა და მიუღებლობა;

* **თვთრჯული, თვთრჩული** „თავნება; თავისნება, ახირებული“ და **თვთრჩულება** „თავის ნებაზე მოქმედება; თვითნებობა“, ანუ → ღვთის რჯულის დარღვევა, უარყოფა, და მისი საკუთარი ნებითა და რჯულ-წესით ჩანაცვლება;

* **თვთუფალი** „კადნიერი“ და **თვთუფლება** „კადნიერება“, ანუ → უფალი ღმერთის საკუთარი თავით ჩანაცვლება!

როგორც ვრწმუნდებით, ყველა ეს ქართული სიტყვა გასაოცარი სიზუსტით გამოხატავს ქრისტიანი ერის უარყოფით დამოკიდებულებას უღმერთო, უუფლო, უფალზე მიუხეობელ მყოფობასა და ცხოვრების წესზე, იმგვარ ყოფაზე, როცა საკუთარ ნება-სურვილთა აყოლით ხარ გაჯერებული, როცა უარყოფ ყოვლადმოწყალებულ ზეციერ პატრონს – უფალ ღმერთს, ამპარტავნული სიჯიუტით „იჩემებ“ თვითმფლობელობას და, ღვთის რჯულის აღსრულების სანაცვლოდ, თვითრჯულობას ეწევი, რაც გაუგონარ კადნიერებად შეირაცხება ღვთის წინაშე.

ამგვარი უარყოფითი სემანტიკური კონოტაციის მქონე ძვ.ქართ. უუფლო სინონიმურად ეწყვილება ზემოთ წაარმოდგენილ **თვთ-უფალის** ტიპის თხზულფუძიანებს; და მათ რიგში, თითქოსდა, ასევე უნდა ვიგულოთ ქართული თხზულფუძიანი **თავის-უფალი**, სადაც **თვთ-კომპონენტის** მსგავსად, **კომპონენტი თავის-** მოგვინიშნავს ოდენ საკუთარი **თავის** (თვთ) **უფლებას**, ანუ საკუთარი ნება-სურვილიდან აღმოცენებულ ყოფასა და ყოფნას – უუფლოდ, უღმერთოდ.

მაგრამ სიბრძნიმეტყველებით წვრთნილმა ქართველმა სიტყვათშემოქმედმა სხვაგვარად განაგო: **თავის-უფალის** ორივე საანალიზო კომპონენტი მან საგანგებო სემანტიკური ფუნქციით აღჭურვა და დღეისათვის უკვე უსამართლოდ მივიწყებული იმ ქრისტიანული შინაარსით შემოსა, რომელიც საიდუმლოდაა დავანებული წმიდა წერილსა და ქრისტიანულ ეგზეგეზაში. საუკუნოვანი ქართული სიტყვა – **თავის-უფალი** – მონდომებულ და გულისხმიერ ქრისტიანს დღემდე სანუგეშოდ შეაგონებს და განსწავლის:

1) ჭეშმარიტ თავისუფლებას ის ეზიარება, ვისაც საკუთარი თავის უზენაეს პატრონად დასახული ჰყავს – უფალი (იესო ქრისტე), შდრ.:

→ „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“ (შესაქმე 20,2) – ამას შემოგვღალადებს წინასწარმეტყველი და რჯულმდებელი მოსეს მიერ ჩაწერილი პირველი მცნება;

→ „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება: არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოანე 14, 6) – ამ სახარებისეული უწყებით გვარწმუნებს უფალი იესო ქრისტე, რომ ჭეშმარიტება მას-შია-ქრისტეშია, მის ღვთაებრივ სიტყვასა და მოძღვრებაშია საძიებელი როგორც ღვთის მიერ კაცთათვის დაკისრებული ჭეშმარიტი მი-ზანი- ქრისტესმიერი ცხოვნება (მგ.ქართ. ცხოვრება „გადარჩენაა; ცხო-ვნება“), ისე ამ სანატრელი ცხოვნების მოსაპოვებლად არჩეული გზის ღირსეულად გადალახვის წესი;

2) ამასთან ერთად, ის ეზიარება ჭეშმარიტ თავისუფლებას, ვინც თავისი ნებით დამორჩილება უფალს, და არა – ცოდვას, რადგან მხოლოდ უფლის ნებას დამორჩილებულს ძალუძს ცოდვისგან გან-თავისუფლება:

→ „რამეთუ არა არს სასუფეველ ღმრთისად საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშჯდობა და სიხარულ სულითა წმიდითა. რამეთუ რომელ ამათ შინა ჰმონებდეს ქრისტესა, სათნო არს იგი ღმრთისა და რჩეულ კაცთა“ (რომაელთა მიმართ 14,18; შდრ. კოლა-სელთა მიმართ 3,24);

→ „ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვა, მონაა არს იგი ცოდვი-საჲ...“ (იოანე 8, 34);

→ „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფ-ლნეს თქუნ...“ (იოანე 8, 32);

→ „უკუეთუ ძემანგანგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუ-ფალ იყვნეთ...“ (იოანე 8, 36).

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოდ გვესახება ქართ. თავისუფალის და ქართ. თავისუფლების ლაკონიური სალექსიკონო განმარტებანი:

„თავისუფალი – არა ვისი მონა“ [სულხან-საბა; დ.ჩუბინაშვილი; ნ.ჩუბინაშვილი],

„თავისუფლება – დაუმონებლობა“ [ნ.ჩუბინაშვილი].

წინამდებარე ანალიზიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე სალექსიკონო განმარტება ნასაზრდოეობა წმიდა წერილით, რასაც ჩვენი დიდებული ლექსიკოგრაფები კეთილგონივრული ელიფსური მინიშნებით გვაწვდიან:

„[ჭემმარიტად] თავისუფალი [იგია]–[ვინც] არა ვისი მონაა [გარდა ქრისტე უფლისა]“;

„[ჭემმარიტი] თავისუფლება– დაუმონებლობაა [დაუმორჩილებლობაა ცოდვისა]“.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე: ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

ახალი აღთქმამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.

გაბრიელ ეპისკოპოსი: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I, ქუთაისი, 1913.

იმნაიშვილი: ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.

ლოპუხინი: Толквая Библия, А.П.Лопухина, Петербург, 1(1903-1907),3(1911-1913).

ოქროპირი: წმ. იოანე ოქროპირი,თარგმანებად მათეს სახარებისად, წიგნი II, 1996.

რამიშვილი: გურამ რამიშვილი, „ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით“, თბილისი, 1995.

სამოციქულო: სამოციქულოს განმარტება, II, თბილისი, 2006.

სულხან-საბა: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I (1991), II(1993).

სარჯველაძე: ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

ქეგლ-ი: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, 3, თბილისი, 2015.

ღლონტი: მედეა ღლონტი, ქართული სიტყვის ქადაგება, ჟურნალი „რელიგია“, # 2, 2013, გვ.15-22; #3, 2013, გვ. 5-11; #2, 2014, გვ. 10-20.

დ.ჩუბინაშვილი: დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

ნ.ჩუბინაშვილი: ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისად, გამოსლვათად, თბილისი, 1989.

Medea Ghlonti

The Structural-Semantic Function of the Old Georgian Componentstana-, tavis- and tvit- (On Old Geo. **tvit-ufali**“Conceited; Insolent” and **tavis-ufali** “Free”)

Summary

Everybody and everything teach something around us. The ancientpagan and Christian levels of our ethnos and the national psychologyand traditions that are typical to Georgians are imprinted by the Georgian Language or by the Georgian word.

In the present paper the Old Georgian words **tananadebi** “debt”,**tanamdebi** “debtor;criminal” and theOld Georgian words **tvit-ufali**“conceited; insolent”, **tavis-ufali** “free”are analyzed as the lexical-semantic units expressing the content of the Christian interdependence.Such definitions of the given words are confirmed by the theological material.

მერაბ ჩუხუა

ახალი მასალაეპიქაროული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის

ს.-ქართვ. ***ბარგ**- „ნათესავი“

ქართ.-ზან. (მეგრ.) **ბოგ**-ი „ნათესავი“, **ბოგ**-იმ-**ბოგ**-ი „შორეული ნათესავი; ყვავი-ჩხიკვის მამიდა“

სვან. **ბჰრგ**, **ბარგ** (ლშხ.) „ახლონათესავი“

ქართული შესატყვისი ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა. მის შედეგ-ნილობაზე ფიქრი სვანური ალომორფის მიხედვით შეიძლება, ვინა-იდან მეგრულში ძირეული **რ** ადრიდანვე ჩანს დაკარგული.

ს.-ქართვ. ***ბარ-ე** „ღვიძლი (ნაწილი), შიგანი, დვრიტა“

ქართ. (ინგილ.) **ბარ** „ღვიძლის ნაჭერი“

ზან. (მეგრ.) **ბორ**-/**მორ**-, **ო-ბორ**-ე//**ო-მორ**-ე „ღვიძლი“

სვან. **ბალე** (ზზ., ლშხ.), **ბჰლე** (ლნტ.) „კუჭი/კვება; დვრიტა, მაჭიკი“

ამოსავალი ვითარება ქართულს დაუცავს, ვინაიდან ზანურში **ბ/მ** შეიძინევა, ხოლო სვანურში პოვნიერია **რ**→**ლ** ვიბრანტთა ლატე-რალიზაციის დამახასიათებელი პროცესი წყვილბაგისმიერი ხშუ-ლის შემცველ ფუძე-ებში, შდრ. ქართ. **ბერ**-/სვან. **ბელ**- „ბერვა“, ქართ. **პირ**-ი/სვან. **პილ** „პირი“... სამაგიეროდ, ფუძის ისტორიული სუფიქ-საცია (-ე) სწორედ სვანურმა შემოგვინახა.

ს.-ქართვ. ***ბეგ**- „ოდნავ შემადლებული ადგილი“

ქართ. (მოხ.) **ბეგ**-ი „მინდორში ოდნავ შემადლებული ადგილი“

ზან. (მეგრ.) **ბაგ**-ე „სწორი ადგილი“;

ბეგ-ი/**ბაგ**-ეშეპირისპირებაში უცნაური ჩანს, ერთი შეხედვით, მეგრული -ე სახელობითის ი ნიშნის შესატყვისად; თუმცა, არ არის გამორიცხული მეორეული -ე ამ შემთხვევაში ლაზურისებურად სა-ხელობითის საკუთრივ-კოლხურ -ე მარკერს ასახავდეს.

ს.-ქართვ. ***ბეხჷ**- „კასრი; გეჯა“

ქართ. (ხევს.) **ბეხვ**-ი „კასრი (უვარგისი)“

სვან. ბეჰ „გეჯა“

ზანური ალომორფები არ ჩანს. სვანური შესატყვისიც მეტად შეწყვნილია ფონეტიკურად; აქ ფუძისეული უ დაკარგული ჩანს, ხოლო ისტორიული ხ კი, როგორც არაერთ სხვა სიტყვაში, ლარინგალიზაციით ჰ-ში გადასულა, შდრ. ქართ. კეხ-ი : სვან. (უმგ.) კეჰ „id“.

ს.-ქართვ. *ბიჯ- „ნაბიჯის კეთება, დაბიჯება“

ქართ. ბიჯ-, ნა-ბიჯ-ი, მი-ა-ბიჯ-ებ-ს

ზან. (მეგრ.) ბიჯგ-, ო-ბიჯგ-უ-ან-ს „აბიჯებს“, მი-ო-ბიჯგ-უ-ან-ს „მიაბიჯებს“

გ. კლიმოვი ქართულ ბიჯ-ს უკავშირებს მეგრულ ბიჯგ- „ბჯენი, საბჯენი“ ზმნას [კლიმოვი 1964 :52], რაც არ ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან მეგრ. ბიჯგ-ს სხვა შესატყვისი აქვს ქართულში [იხ. აქვე].

ს.-ქართვ. *ბიჯ- „ბიჯი; ბრჯენი“

ქართ. ბიჯ-, ბიჯ-აგ-ი „საკაცე“, გურ. ბიჯ-იკინ-ა „ბიჯგი“

ზან. (მეგრ.) ბიჯგ-ი „ბრჯენი“, ათო-ბიჯგ-აგ-ა „ქვემოდან ამო-ბრჯენა“

სვან. (ჩოლურ.) ბინჯგ „ბრჯენი“

კიდევ ერთ სიტყვაში გამოიყოფა უპრობლემოდ -აგ სუფიქსი, რაც მნიშვნელოვანია ქართული ძირის ისტორიული აფიქსაციის თვალსაზრისითაც (შდრ. წახნ-აგ-ი). როგორც ვხედავთ, ბგერათმესატყვისობათა ჩვენება ჯ : ჯგ დაცულია. ინლაუტური ნ ფონეტიკური ჩანართია სვანურში.

ს.-ქართვ. *ბოგ- „ძლივს/მარტო ყოფნა“, *ბოგ-ან- „მარტოსული, უქონელი“

ქართ. ბოგ-ინ-ი „დამკვიდრებასავით“ (საბა), „ძლივძლივობით არსებობა“ (ქეგლ-ი)

ზან. (მეგრ.) ბუგ-ინ-ი „ბოგინი; მარტო ყოფნა“, მილა-ბუგ-უ-ნ „მარტო არის, ძლივს სული უდგას“, ბუგ-ა „მარტოსული“

ორივე ენობრივ ერთეულში ძირითადია ძლივს/მარტო ყოფნის-სემანტიკა, რასაც მეგრული ბუგ-ა „მარტოსული“ სახელიც ეხმიანება. საყურადღებოდ გვეჩვენება ქართ. ბოგ-ან-ო „ღარიბი, უქონელი“ სიტყვასთან მიმართების საკითხი. ალბათ, საერთო ძირისაა.

ს.-ქართვ. *ბოგუერ- „ურო, ბოგვერა“ (მცენ.)

ქართ. **ბოგვერ-ი/ბოგვერ-ა/ბოგვერ-ო** „ურო“ (მცენ.)

ზან. (მეგრ.) **ბუგორ-ი** „ბოგვერო, ურო“ (მცენ.);

ბოგვერ-/ბუგორ- ფუძეთა ერთიანობა ცხადზე ცხადია. აქ ერთადერთი კითხვა იბადება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში **რ→ჯ** პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესის არქონასთან დაკავშირებით, მაგრამ **რ→ჯ** ყველა სახელის აუსლაუტში არ ფიქსირდება; რისი მექანიზმიც დღემდის დაუდგენელია.

ს.-ქართვ. ***ბუგ-** „გამოყრუება, უგრძნობლობა“, ***ბუგ-ე** „ყრუ, უგრძნობი, გიჟი“

ქართ. (იმერ.) **ბუგ-ე** „ყრუ“

ზან. (მეგრ.) **ბუგ-ა** „გამოყრუებული, გრძნობებმოჩლუნგებული, უგრძნობი“

სვან. **ბგ-გრ-**, **ლგ-ბგ-გრ-ე** „გიჟი“

სვანურში პოვნიერი ნაზმნარი სახელი შეიცავს **ბგ-გრ-** ფუძეს, რომლისთვისაც დამახასიათებელი ჩანს ქართულ-ზანურთან აბლომდგომი სემანტიკა. ამოსავალი ჩანს *უგრძნობელობის*ნიუანსი.

ს.-ქართვ. ***გამ-** „მკა“

ქართ. **გმ-**, **გმ-ერ-ვ-ა**, **სა-გმ-ერ-ი**

ზან. (მეგრ.) **გიმ-უ-ა** „მკა“, **ო-გიმ-ალ-ი** „სამკალი“, **გიმ-ა-თუთა** „კათათვე“, **ლაზ. ო-გუმ-უ//ო-გიმ-უ**, **გუმ-ა-მთუთა** „id“

მიუხედავად ფუძეთა სემანტიკური იგივეობისა, ასხსნას არ ექვემდებარება ქართულში **-ერ** (**გმ-ერ-**) სემენტის წარმომავლობა. ისლა დაგვრჩენია, **-ერ** ზმნურ სუფიქსად ვალიაროთ, თუმცა ფუნქცია მისი არ ჩანს.

ს.-ქართვ. ***გარგალ-** „გიზგიზი, დუღილი“

ქართ. (გურ.) **გარგალ-** „გუზგუზი ცეცხლისა“

ზან. (მეგრ.) **გორგოლ-ი//გვარვალ-ი** „დუღილი წყლისა“

ბერძენითი საერთოქართველური ფუძე ჩანს, რაზეც მეგრულში განხორციელებული **ო/ვა** მონაცვლეობაც მიგვითითებს.

ს.-ქართვ. ***გეგ-** „უსაქმოდ ყოფნა, ხეტიალი“

ქართ. (ლექს.) **გეგ-ილ-ა** „უქნარა, დოყლაპია“

ზან. (მეგრ.) **გაგ-ია** „მოხეტიალე, უსაქმოდ მავალი“, **გაგ-ინ-ი** „უსაქმოდ ყოფნა, ხეტიალი“

მეგრულში ბუნებრივი ჩანს როგორც სახელური, ისე ზმნური ფორმები; რასაც ვერ ვიტყვით ლეჩხუმურზე, სადაც -ილ-ა სუფიქსით გაფორმებული გეგ- გამოიყოფა.

ს.-ქართვ. *დაბალ- „დაბალი“

ქართ. დაბალ-ი, დაბლ-ა, დაბლ-ობ-ი

ზან. (ლაზ.) დობა, დობა-რჩალა „დაბალი“

იმთავითვე გამოსარიცხია ჩვენთვის ეტიმოლოგიური კავშირი საერთოქართველური წარმომავლობის დაბა სიტყვასთან.

ბოლოკიდური -რჩალა ლაზურში კნინობითობის სუფიქსი უნდა იყოს, შდრ. -ჩა / -ჩია მეგრულში – ბაბა-ჩია „მამიკო“. საინტერესოა, რომ ქართულიდან შესულმა დაბლა ფორმამ ქალის თავსაბურისმნიშვნელობა შეიძინა ლაზურში და ვიწურ-არქაბულში თაბლა სახით დამკვიდრდა.

ს.-ქართვ. *დი- „ჯერ“

ქართ. –

ზან. (მეგრ.) დი-ო „ჯერ“, დი-ო-რდე „ჯერჯერობით“, დი-ო-რდე-შა „ჯერ აქამდე, აქამომდე“, დი-ო-რდე-შე „ჯერაქიდან“, ლაზ. დი-ო „თავდაპირველად, ჯერ“, შდრ. დი-მე „id“: „სი დი მე, ქუტარე“ – შენ ჯერ პატარა ხარ.

სვან. დი-ნ „ჯერ“

ბოლოკიდური აფიქსები -ო->//-მეზანურში და-ნსვანურში მიცემით-ვითარებითის შინაარსს გახაზავს, როცა დი- ძირეულ ნაწილად გამოიყოფა. უფრო რთული ჩანს ქართულის ვითარება, ვინაიდან რუსთველისეული თუ მოხეურიდი-ა „ბევრი“ და დი-ა-მც „მყოფობის-საცილებელი“, დი-ა-ლ (საბა) სიტყვებში გამოყოფილი დი- ძირის აქ შემოტანა გარკვეულ სემანტიკურ წინააღმდეგობებს აწყდება.

ს.-ქართვ. *დონდლაბ-ე „ვაზის ჯიში“

ქართ. დონდლაბ-ა // დონდლაბ-ო „ვაზის ჯიში კახეთსა და იმერეთში“

ზან. (ლაზ.) დუნდლუბ-ა, მეგრ. დუნდლუბ-ა „ყურძნის ჯიშია ერთგვარი“.

ზანურ დიალექტებში სიტყვის შიგნით ღ-ს მომდევნო ლ გაუჩინარდა, მიზეზი – კონსონანტი + ლ სონორი თანმიმდევრობის არქონა, ანუ ფონოტაქტიკური შეზღუდვა.

სიტყვის ბოლოში ქართ. -ა/-ო : ზან. -ა შეფარდება ამოსავალში ე ხმოვნის პოვნირებაზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. ***დუყ**- „ყლორტი; ბოძი“

ქართ. **დუყ**-ი „ახლად გამოტანილი ყლორტი“

ზან. (ლაზ.) **დურყ**-ი // **დუყ**-ი „ყლორტი“, მეგრ. **დუყ**-ი „დუყი მაღალი ბალახეულისა“

ინლაუტური **რ** ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს განვითარებული ლაზურში, რაც ვერ განხორციელდებოდა მეგრულში **ქ**-ს წინა პოზიციამი, ისევე, როგორც ის არ გაჩენილა ლაზურის **ქ**-ვარიანტიან კილოკავებში; შდრ. ასევე ლაზ. **დუყ**-ი „ბოძი“, რომელიც სიტყვათა ამავე წრეში შემოდის.

ს.-ქართვ. ***ზეგ**- „ზეგანი, ბორცვი, ქედი“

ქართ. **ზეგ**-ან-ი

ზან. (მეგრ.) **ზაგ**-უ „შემადლება, იგივე ზურგა (=ბორცვი, ქედი)“

სვან. **ზაგ**-ჲრ, **ზაგ**-არ (ლშხ.) „ზეგანი, ქედი“

ქართულ-სვანურ უკვე ცნობილ შესატყვისობას უნდა დაემატოს მეგრული **ზაგ**-უ „ბორცვი, ქედი“ ფუძე. შეიძლება დაისვას საკითხი განსხვავებული სუფიქსაციის შესახებ, ვინაიდან ქართ. -ან : სვან. -არ კანონზომიერ შესატყვისობას ვერ შეეთანადება -უ სუფიქსაცია მეგრულში.

ს.-ქართვ. ***ზტაჲ**- „მედიდურობა; გახელება“

ძვ. ქართ. მ-**ზტა**-ობ-არ-ი, **ზტა**-ობ-ა, **ზტაგ**-ი „ამაყი, გოროზი“

სვან. **ჟრტ**-, ა-**ჟრტ**-ე „ახელებს, აცოფებს“

აქამდე სიტყვამხოლოდ ძველიქართულის კუთვნილებად მიიჩნეოდა: „სნეულხარზუაობითა“; „ზუავიგინაბუქოდონოსორ“ [აბულაძე 1973 : 169]. ვფიქრობთ, რომ სვანური **ჟრტ**- <- ***ჟტაჲ**- ძველქართული **ზტაგ**- ძირის კანონზომიერი შესატყვისია.

გარე ნათესაობიდან საინტერესო ჩანს ადილ. **ზავ**- // **ზავ**-გ, ყაზ. **ზავ**- „ომი“, უზბ. **ზაფ**-ა „ომი, ჩხუბი“ ფორმებთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. ***ზინ**- „ავადმყოფობა, სნეულება“

ქართ. **ზინ**-ე „ავადმყოფობა“, მთიულ., ქიზ. **ზინ**-ევ-ა „ვნება; წყენა“

ზან. (მეგრ.) **ჟინ**-აფ-ა „დასნეულება“

გვაკლია სვანური შესატყვისი. მეგრულშიც, განსხვავებით ქართულისაგან, მხოლოდ ზმნური ფორმებია ფიქსირებული. საინტერესოა, რომ ქართული **ზნე** სიტყვა მეგრულში ბნედის მნიშვნელობით იქნა ნასესხები.

ომონიმური **ზნე** (**ზნე**-ჩვეულება) სხვა ეტიმოლოგიისა ჩანს ქართულში.

ს.-ქართვ. ***ზინთ**- „ცხიმი; ცხიმით გასვრა, ზიმზიმი“

ქართ. **ზინთ**-, გა-**ზინთ**-ვ-ა, გა-**ზინთ**-ულ-ი „ცხიმით გასვრილი“ ზან. (მეგრ.) **ჟენტ**-ელ-ი „ზიმზიმი ცხიმით გასვრილისა, ღაჟღაჟი“

წესით, ქართვ. **ზინთ**- ძირს მეგრულში **ჟინთ**- უნდა მოეცა; ასეც იქნებოდა, მაგრამ ზანური -ელ სუფიქსის დამატებამ ასიმილაციით ძირისეული **იე**-ს დაამსგავსა – ***ჟინთ**-ელ- → **ჟენტ**-ელ-.

საცნაურია ისიც, რომ ფუძე-ენაში ***ზინთ**- სიტყვას *ერთგვარი ცხიმის მნიშვნელობა* ჰქონდა.

ს.-ქართვ. ***ზორ**- „ცემა, გვემა, გაბრუება“

ქართ. (გურ.) **ზორ**-, **ზორ**-ვ-ა, და-/მო-**ზორ**-ვ-ა „ცემა“

ზან. (მეგრ.) **ჟურ**-აფ-ა/**ჟურ**-უ-ა „გაბრუება“, **ჟურ**-აფ-ილ-ი „გაბრუებული“

სვან. **ჟრრ**-/**ჟორ**-, **ლგ-ჟრრ**-ე, **ლგ-ჟორ**-ე (ბქ., ლნტ.) „გაბრუებული, გონდაკარგული“;

ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც მივუთითებდით, იქვე მეგრულ ანალოგზე მითითებით განიმარტებოდა ქართ. ც ე მ ა ~ სვან. გ ა ბ რ უ ე ბ ა სემანტიკური მიმართებაც, როცა მეგრული **ლაზუა** „ცემა“ ზმნა მიმღეობაში ერთდროულად ორივე გაგებას შეითავსებდა, შდრ. მეგრ. *გოლახირი* „ნაცემი, ნაბეგვი, გაბრუებული“ და მეგრ. *ლეხი* „ავადმყოფი“ [ჩუხუა 2002-2003 : 184].

ს.-ქართვ. ***თე**- „სინათლე; შუქი; თვალი“

ქართ. –

ზან. (მეგრ.) **თე**-ულ-ი „ნათელი“, ვე-**თე** „სინათლიანი ადგილი ტყეში“, შდრ. ვე „ველი“, ლაზ. **თე** „შუქი, სინათლე“, **თე**-ონ-ი „სინათლიანი“, თუთაშ-**თე** // თუთას-**თე** „მთვარის შუქი“

სვან. **თე**, **თე**-რ-ალ (მრ. რ.) „თვალეზი“

ქართულში შესაბამისი ძირი არ ჩანს; სიტყვათა ამავე რიგში

ქართული თეთრ-ის მოხმობა მხოლოდ გაურკვევლობის შედეგია [ვენრიხი, სარჯველაძე 2000 : 234].

ს.-ქართვ. *თჷალ- „თვალი“

ძვ. ქართ. თჷალ-ი, ქართ. თვალ-ი

ზან. (ლაზ.) თოლ-ი „თვალი“

სვან. თჷელ, თელ (ლახამ.) „ტვინი; ჭკუა“

სტრუქტურულად სვანური ფორმა კანონზომიერად შეესატყვი-
სება ქართულ-ზანურ ალომორფებს. რაც შეეხება სიტყვათა სემანტი-
კურ მხარეს, აქაც სვანური ტვინი / ჭკუადიდად არ სხვაობს თვალის
გაგებას (შდრ. ქართ. გამოთქმა: თვალი / ტვინი / ჭკუასად გქონდა?).

ს.-ქართვ. *კაკ- „testicle“

ქართ. კაკ-ალ-ი, კაკ-ა „ყვერის კაკალი“ (საბა)

სვან. კაკ-იდ „testicle“

ქართულში -ალ და სვანურში -იდ დამოუკიდებელი სუფიქსე-
ბია, რომლებიც ხშირად საერთო ძირებშიცდაჩნდება- ქართ.
მგრგჷალ- : სვან. გირგჷედ // გირგედ „რკალი“, ტვილ- : სვან. ტბდ-
ი... ძირად ორივეგან კაკ- გამოიყოფა. ამ უკანასკნელს საყურადღებო
იზოგლოსები ეძებნება დაღესტნურ ენებში: ანდ. კეკე, ჭამ. კოკა
„penis“.

ს.-ქართვ. *კეკ-ო „მჭრელი იარაღი, თოხი“

ქართ. კეკო „ერთგვარი თოხი“, hand-hoe

ზან. (მეგრ.) კაკუ „ერთგვარი მოკლე ხმალი“

მეგრული კაკუ კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ კეკო
ფორმას – ე : ა, ო : უ. ასევებუნებრივი ჩანს სემანტიკური კორელაცია:
თოხი- ხმალი. თუმცა, თოხის სემანტიკა იკვეთება მეგრ. კაკუ ფუძის
შემცველ კომპოზიტშიც, შდრ. ბე-კაკუ-ტი <- *ბერგ-კაკუ-ტი „ლო-
მისყანისსამარგლავიპატარათოხი“, სადაც ბოლოკიდური -ტი კნი-
ნობითობის მოქმედი აფიქსია.

გასარკვევია მეგრულ კაკუ-სთან იმერული კაკუ-ბაშ-ი „ცუდი
ხმალის“ მიმართება (ალბათ, ნასესხებია მეგრულიდან (?)).

ს.-ქართვ. *კენკე-რა „კენკრა“

ქართ. კენკრა

ზან. (მეგრ.) **კაკარო** „კენკრა“, **კაკარო** (ტოპ. მარტვილში)

ქართულ **კენკრა**-ში მცენარეულ სუფიქსად გამოყოფენ **-რა** სეგმენტს, რომელიც მოქმედი აფიქსია სვანურში: წიფ-**რა** „წიფელი“, ზესხ-**რა** „ცაცხვი“, ჯიჰ-**რა** „მუხა“, ჰებ-**რა** „ბალი“ და სხვ. [ფენრიხი-სარჯველაძე 2000 : 376]. თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ ქართულ-სვანური **-რა** სუფიქსის კანონზომიერი შესატყვისი ხდება **ზანური -რო** სიტყვაში **კაკა-რო** „კენკრა“. ამ უკანასკნელში **ნ** დაკარგული ჩანს – ***კანკარო**→**კაკარო**, რაც დამახასიათებელი მოვლენაა სენაკურ-მარტვილურისათვის.

ს.-ქართვ. ***კეფ-ა** „თავის უკანა ნაწილი“

ქართ. **კეფა** „თავის უკანა ნაწილი“

ზან. (ლაზ.) **კაფა** „ფრინველის თავის ქალის ძვალი“

სვან. **კჷფ** „კეფა“

სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილი ჩანს, მაგრამ კვალი მისი არსებობისა ეტყობა ძირეული **ე** ხმოვნის ტრანსფორმაციას –**ე**→**ჰ**; ანუ კიდევ ერთი ნიმუშია პროფ. მაქსიმე ქალდანის უკუუმლაუტის სასარგებლოდ.

ს.-ქართვ. ***კეხ-** „მაღალი (ადგილი), კეხი“

ქართ. **კეხი**– „მაღალი ადგილი ადამიანის ცხვირის ზურგისა“

ზან. (მეგრ.) **კახ-უ** „მაღალი, შიშველი ფერდობი ადგილები“

სვან. **კეხ, კეჰ** (უშგ.) „კეხი“

ქართ. **კეხი**-**ი**/ზან. **კახ-უ**ფუძეთააუსლაუტი იმეორებს უკვე ცნობილ შეფარდებას – ქართ. **ნეკი** : ზან. (მეგრ.) **ნაკ-უ** „ნეკი“ [კლიმოვი 1985 : 172]. სხვა მხრივ, ფუძეთა ერთიანობა უპრობლემოა. აქვე საცნაურია **მაღალი ადგილის**სემა სამივე ქართველური ენისათვის.

ს.-ქართვ. ***კუბატ-** „პატარა“

ქართ. –

ზან. (მეგრ.) **კუბეტ-ე** „პატარა, მცირე ზომის“

სვან. **კოტ**-ოლ „პატარა“

ქართველურ ძირ-ფუძეთა მატერიალური და სემანტიკური ერთობა ეჭვს არ იწვევს. თუმცა, გარკვეულწილად მოულოდნელი ჩანს სვან. **ო** : ზან. **ვე** ხმოვნური ბგერათფარდობა, რაც უნდა აიხსნას **უა** >**ო** რეგრესული ასიმილაციით სვანურში – **კოტ**-ოლ<- ***კუბატ**-ოლ,

ანუ ზანური შეფარდება აქ იმეორებს ქართ. მ-წვან-ე : ზან. ჭვენ- „ამ-წვანება“ ტიპის ოპოზიციას [ჩუხუა 2017 : 541], შდრ. მარღვ-/ჯერღვ-.

საერთოქართველურ *კუატ-„პატარა“ სიტყვის განმოვანებას ეთანადება დაღესტნური ინფორმაციაც, შდრ. ბაგვალ. კუატ-ა-ბ,პა-ტარა; წვრილი, мелкий“.

ს.-ქართვ. *კუაწ- „პატარა თიხის ქოთან“

ქართ. კვაწ-ია „პატარა ქოთან“

ზან. (ლაზ.) კუჭ-უ „თიხის ჭურჭელი“

ქართული -ია და ლაზური -უ დამოუკიდებელი (არაძირეული) სემენტებია, ხოლო ძირეული მასალა კვაწ-/კუჭ- კანონზომიერ მიმართულებას აჩვენებს. გასარკვევია, როგორ უკავშირდება (თუ უკავშირდება საერთოდ) ამ ძირებს მეგრული კოჭ-ობ-ი.

ს.-ქართვ. *კუაწ-ილ- „პატარა, ჩვილი; ღლაპი“

ქართ. (რაჭ.) კვაწილ-ა „ჩვილი, პატარა“

ზან. (მეგრ.) კუჭუ „პატარა ბიჭი; ღლაპი“

ძირის სუფიქსაციის თვალსაზრისით, ქართულ-ზანურ ფუძეებს შორის ისეთსავე მიმართებას ვხედავთ, რაც ჩვეულებრივი ჩანს ქართველური ზედსართავებისათვის, შდრ. ქართ. სხვილ- : ზან. შხუ „მსხვილი“...

ს.-ქართვ. *კუ „თავი (მუხლის)“

ქართ. კვერ-ი სიტყვაში მუხლის-კვერ-ი

ზან. (მეგრ.) კვარ-ბირგული „მუხლისთავი“

როგორც ეტყობა, საერთოქართველურ ფუძე-ენაში არსებობდა ორი ომონიმური *კუტერ- სახელი: 1. „კვერი“, 2. „თავი (მუხლი).“

ს.-ქართვ. *კუიმატ- „კვიმატი, კირკიტა“

ქართ. კვიმატ-ი, ენა-კვიმატ-ი,კვიმატ-ი „ბოროტი ჟამი, გინა ბოროტი ვარსკვლავი, კუდიანი და მისთანანი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) კიუტ-ი-„კირკიტა, პედანტი“, კიუტ-ი (ანთროპ.)

ქართ. კვიმატ- : ზან. კიუტ- მიმართება ასახავს ზანურში განხორციელებულ ტრანსფორმაციას, როცა ფაკულტატურად ინტერვოკალურ პოზიციაში მ სონორი იკარგება, ამის ნათელი ნიმუშია

ქართ. ცემინ- და მეგრ. ჩიონ- „დაცემინება“, მეგრ. ო-ჭუმ-არე „დილა“ და მეგრ. ამ-ჭუ-ან-ი „ამ დილით“. ცხადია, მ მეგრულის ნიადაგზე იკარგება და ამიტომაც ძველ კოლხურ ვარიანტად **კვიმუტ-ი** უნდა ვივარაუდოთ. ამ დაკავშირებით გამოირიცხება ნებისმიერი კავშირი ქართულ **კვიმატისა** ბერძნული წარმომავლობის **კომეტა**-სთან.

ს.-ქართვ. ***კობალ**- „კომბალი, მრგვლად გათლილი ხის ხელსაწყო“
ქართ. **კომბალ-ი**

ზან. (მეგრ.) **კობულ-ი** „მრგვლად გათლილი ხის ხელსაწყო, რითაც ყურძენს ჭყლეტენ საწნახელში“

მეგრული **კობულ**- ფუძე მეორდება გურულში, მაგრამ აქ მისგან ზმნაც არის ფიქსირებული ჩა-**კობულ-ვ**-ა „ყურძნის ჩატენა, ჩაჭყლეტა“. ზანური **კობულ**- ღირებულია ქართული სიტყვის ისტორიის თვალსაზრისითაც, ირკვევა, რომ **მზ** თანმიმდევრობა **კომბალ**-ში ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩნდა – **კომბალ**- ← ***კობალ**-.

ს.-ქართვ. ***კორინ**- „შეუსმენლობა; არაფრად ჩაგდება“

ქართ. (გურ.) **კორინ**-„შე-**კორინ**-ებ-ა„შეუსმენლობა“

სვან. **კორინ**-, ლი-**კორინ**-ე „შეუსმენლობა“

ძირის იგივეობრივი შედგენილობიდან გამომდინარე, აქვე გაგვახსენდება მეგრული **კორინ**-ი „სურვება“, ი-**კორინ**-უ „ისურვა“; თუმცა სიტყვის საპირისპირო (ანტონიმური) შინაარსის გამო დაბეჯითებით მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ, შდრ. ლაზ. უ-**კორ**-ემ-ს „სჭირდება; უნდება“.

ს.-ქართვ. ***კოს**- „შვეულად აღმართული; წოწოლა“

ქართ. (ზ.-იმერ.) **კოს**-ორ-ი „ძირიდანვე შვეულად აღმართული კლდე“, ქვ. აჭარ. **კოს**-ოლა-ა „წოწოლა“

ზან. (მეგრ.) **კორს**-უ-ა „აღმართვა“, **კორს**-ილ-ი „ამართული“

ქართულში **კოს**- ძირად გამოიყოფა, რომლის კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს მეგრულ **კორს**- ფორმაში. ცხადია რ-ს ფონეტიკური დართვა/განვითარება მეგრულში (ქართ. ადგილ-ი → მეგრ. არდგილ-ი...). ამასთან, კითხვებს აჩენს ქიზიყური და გურული **კოსრ**-ო „წოწოლა“ სახლი (სხვა ძირია?).

ს.-ქართვ. ***კოწოლ**- „კენწერო“

ქართ. **კოწოლ**-, ქიზ. **კოწოლ**-ა „კენწეროსავით ამართული“

ზან. (მეგრ.) **კოჭორ**-, **კოჭორ**-ია „კენწერო“

ქართ. **კოწოლ**-/ზან. **კოჭორ**- ბუნებრივი მიმართება ჩანს. მართალია, დღეს მეგრულში სადა [**კოჭორ**-ი] სახეობა არ დასტურდება, მაგრამ მისი არსებობა უეჭველია, ვინაიდან სწორედ ამ პოზიციებში [**ლ + ი**] უნდა მომხდარიყო **ლ→რ** ვიზრანტიზაცია-როტაციზმი ზანურში.

ს.-ქართვ. ***კუმს**- „ვაზის სახეობა“

ქართ. **კუმს**-, **კუმს**-ი „თეთრი, შავი, ყვითელი ვაზის ჯიშებია კახეთში“

ზან. {**კომშ**-}, **კომშ**-ი

ვარაუდი, რომ ქართ. **კომშ**- „კომში, ბია“ ზანიზმია, ეფუძნება მხოლოდ ბგერათშესატყვისო-ბათა ჩვენებას ქართ. **ს** : ზან. **შ**, თუმცა ისიც გაცნობიერებული გვაქვს, რომ მხოლოდ ეს ვერ იქნება შეუვალელი არგუმენტი დასახელებულ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობის სამტკიცებლად.

საკუთრივ ქართული **კუმს**- სიტყვის ფუძეენურ წარმომავლობას თუნდაც ის ამტკიცებს, რომ მას კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება დაღესტნურ ენებში, შდრ. ხინალულური **კინაზ** „ყურძენი“.

ს.-ქართვ. ***კუს**-(ინ-) „კვენესა, ტრფიალი“

ქართ. **კრუს**-უნ-ი

ზან. (მეგრ.) **კუმ**-ინ-ი „სუსტი უღონო კვენესა“

თუ **კრუს**-ში რ-ს მეორეულობა დამტკიცდება, რასაც, თითქოს, ზანური **კუმ**- შესატყვისიც მხარს უჭერს, აქვე შემოვიდოდა გურული **კუს**-უნ-ი „კვენესა“ და **კუს**-ვ-ა „ერთგვარი ტრფიალი“ (შდრ. ხევს. **კუს**-**კუს**-ობა), **კუს**-ი „აღრევა“ (საბა).

ს.-ქართვ. ***კუწუბ**- „წვერი, წვეტი“

ქართ. **კუწუბ**-ი // **კუწუბ**-ო „წვერი რაიმე დაკბილული ნივთისა“

ზან. (მეგრ.) **კუჭუბ**-ი „წვეტი“

სვან. **კუჭუბ** „კუწუბი“

ზემოთ აღწერილ ქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს; ოღონდ, გასარკვევია მათი მიმართება ლაზურ **კუჭ-ან-ი** „კენწერო“ ფუძესთან.

ს.-ქართველურ. ***ლარტყე**- „ყვითელი დუმფარა (მცენ.)“

ქართ. **ვერტყე**- „მცენარე“, შდრ. ტოპ.: **ვერტყე**-ილ-ა, **ვერტყე**-ი-ქალა

ზან. (მეგრ.) **ლორტყე**-ი „ყვითელი დუმფარა (მცენ.)“

სვანური შესატყვისი არ ჩანს. თვით ქართულშიც **ვერტყე**- დენდრონიმი მხოლოდ ადგილების სახელებად შემოგვრჩა იმერეთში. ქართულ-ზანური ფონემური მიმართება **ვ : ლ** აშკარად მეტყველებს **ლ – >ვ** პროცესის საკმაო ინტენსიურობაზე ქართულში, შდრ. ქართ. **ტევე**- : ზან. **ტალ**- „დატოვება“...

ს.-ქართველურ. ***მადლ**- „მადლი“

ქართ. **მადლ**-ი, **მადლ**-ობ-ა, **მადლ**-იერ-ი

ზან. (მეგრ.) **მორდ**-ია „ნათლია“

მეგრული **მორდ**-ია „ნათლია“ არ უკავშირდება **რდ**-უ-ალ-ა „ზრდა“ ზმნას, ამ უკანასკნელისგან ნაწარმოები მიმღეობა გვაქვს **მორდუ** „გამზრდელ“ სიტყვაში. და თუ **ნათლ**-ია ქართულში დაკავშირებულია ნათელ-/**ნათლ**-(ავ-ს) ფორმებთან, მეგრულში ნათლიის მცნება **მდლი**სგაგებასთან უნდა იყოს კავშირში.

ჩვენეული ეტიმოლოგია, ცხადია, გამორიცხავს ქართულში **მადლ**- ძირის ნასესხობის თეორიას (მზ. ანდრონიკაშვილი).

ს.-ქართველურ. ***მახალ**- „პურის სახეობა“

ქართ. **მახალ**-ი „იმერეთში ერთს რიგს პურსა ქვიან“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **მოხა** „პურის ერთგვარი სახეობა“

სვან. **მახარ** „ქერი“

სხვა ლაზურ **მოხა**ძირთან (რომელიც ქართ. **მახა** „ხორბლის ჯი-ში“ სიტყვას უკავშირდება) ომონიმია გამოიწვია ფუძის ბოლოში **ლ** სონორის გაუჩინარების საერთო ფონეტიკურმა პროცესმა მეგრულ-ლაზურში.

სვანურში დამოწმებული **ლ ->რ** საკმაოდ ვრცელ ქართველურ მასალაში დაჩნდება: **ცხელ**- / **მგ-ნჩხრ**-ი „ცხელი“, **კამლ**- / **კამირ**, **ზღველ**-ა / **ჟღერ** „კოკისპირული წვიმა“, **მაჭტელ** -/ **ჟაჭტერ** „მახველი“...

ს.-ქართვ. ***მოლ**-ე „მოლი, ახალი ბალახი“

ქართ. **მოლ**-ი „მოლი, ახალი ბალახი“

ზან. (ლაზ.) **მულ**-ა „მოლი“

სვან. **მელუ** // **მუელ** // **მელ** „მოლი, ბალახი“

სპეციალურ ლიტერატურაში ქართულ-სვანური ძირების ერთიანი წარმომავლობა ცნობილია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 334]. ვფიქრობთ, ამავე რიგისაა ლაზური **მულა**-ც; ეს უკანასკნელი საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის საყურადღებო სეგმენტს წარმოაჩენს სიტყვის აუსლაუტში, შდრ. ქართ. ე : ზან. ა ბგერათშესატყვისობა.

ს.-ქართვ. ***მულალ**- „მკბენარი; ჭიალუა; მწერი“

ქართ. (ზ.-იმერ.) **მულალ**-ი „მკბენარი“

ზან. (მეგრ.) **მურღულ**-ია „ხარაბუზა“

სვან. **მულულ** „ჭიალუა; მწერი“

ინლაუტური რ ფონეტიკური ჩანართია მეგრულში. ამ კონტექსტში დიალექტური ფორმის შემოტანა უპრიანი ჩანს ქართულისთვის, ვინაიდან იგივეობრივი შინაარსის **მლილ**-ი [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 338] სახელი აჩენს ლოგიკურ კითხვებს და ამიტომაც იგი აქ ვერ შემოვა, სხვა ეტიმოლოგიის ძირია.

ს.-ქართვ. ***მძარ**- „გაყინვა“

ქართ. **მძრ**-, და-**მძრ**-ალ-ი

სვან. **მჯარ**-, ლგ-**მჯარ**-ე „გაყინული“, **вымерзший**

სვანური მონაცემები აჩვენებს, რომ ადრე ქართულშიც გახმოვანებული ფუძე ფუნქციონირებდა –**მძარ**- →**მძრ**-. ზანურში შესაბამისი ვარიანტი არ ჩანს.

ს.-ქართვ. ***მჰად**- „დარტყმა“

ძვ. ქართ. სა-**მჰად**-ურ-ი // სა-**მჰედ**-ურ-ი „ესე არს ყოველივე კავი თევზთა შესაპყრობელი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) ე-**ჰკიდ**-ინ-უ ‘დარტყმა’, ე-ბ-ო-**ჰკიდ**-ამ „ვარტყამ“, გო-**ჰკიდ**-უ „მათრახის დარტყმა“

ძველ ქართულში **მჰად**-/**მჰედ**- მიმართება იმეორებს **ჰარ**-/**ჰერ**- „დაჭერა“ ალტერნაციის შემთხვევას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამოსავა-

ლია **მჭად-**, **ჭარ-**..., ანუა- გახმოვანების ფორმები, რომლებსაც კანონ-
ზომიერად შეესატყვისება **ო**→//ი გახმოვანება ზანურში: **ჭარ-** : **ჭკორ-**
/ჭკირ- „ჭრა“ ისევე, როგორც **მჭად-/მჭედ-** : **ჭკოდ**→**/ჭკიდ-** „დარტყმა“.

ლაზურის მიხედვით, გამოდის, რომ **სა-მჭად-ურ-**ი / **სა-მჭედ-**
ურ-ი ყოფილა დასარტყამი ინსტრუმენტი.

ს.-ქართვ. ***ნესტ-** „ნესვი, ნაყოფი მისი“

ქართ. **ნესვ-**ი // **ნესვ** (საბა), **ნესუ-**პუმპულა (საბა), **ნესოვან-**ი
„ნესვის ბოსტანი“

ზან. (მეგრ.) **ნაშ-**ი, „ნესვის/გოგრის ნაყოფი“

სვან. **ნესგ-**, კუბახ-**ნესგ**, კნინ. კუბახ-**ნესგ-**ილ „გოგრა, კვახი“

ფუძეენური ***ნესტ-** არქეტიპის შესატყვისი სვანური ეკვივალენ-
ტი შემონახული ჩანს რთული შედგენილობის კუბახ-**ნესგ** სიტყვაში;
აუსლაუტური ს : სგ (← *სქ) შესატყვისობა კანონზომიერებას ექვემ-
დებარება [ჩუხუა 2000-2003 : 30]. ხოლო ზანური შესატყვისი, ვფიქ-
რობთ, შემოგვინახა **ნესვ-/კვახ-**ის **ნაყოფის** აღმნიშვნელმა სიტყვამ
მეგრულში – **ნაშ-**ი <- ***ნაშგ-**ი, რომლის აუსლაუტმა ისევე განიცადა
დელაბიალიზაცია, როგორც ქართ. ფეტვ-ის ზანურმა შესატყვისმა –
ფატ-ი <- ***ფატვ-**ი „ფეტვი“. ქართ. სისინა [ს] : ზან. შიშინა [შ] : სვან.
კომპლექსი [სგ] იმეორებს ცნობილ შეფარდებას ქართ. ჯცე : ზან. ქჩე :
სვან. ჯასგ<- ***ჯანცქ** „ჭადარა“.

სავსებით სამართლიანად, სპეციალურ ლიტერატურაში აქვე
შემოაქვთ: აბაზ. **ნაშა**, აფხაზ. ა-**ნაშა** „კიტრი“, ადიღ. **ნაშ** „ნესვი“, ნახუ-
რი **ნარს** „კიტრი“, ანდიური **უნსო-**ზინვ, ლაკური **ნისგ-**ართი „კიტ-
რი“, ოსური **ნასჯ** „კვახი, გოგრა“ [შაგიროვი 1977, I; აბაევი 1973, II : 161;
სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 858].

ს.-ქართვ. ***ო-ქსინ-ო** „დიდი კოპე, ხრიკა“

ქართ. (გურ.) **ოქსილო//ოქსინო** „დიდი კოპე“

ზან. (მეგრ.) **ორშიმო** „ხრიკა, ქვევრიდან ღვინის ამოსაღები
ჭურჭელი“

ქართულ **ქს** აქცესიურ თანმიმდევრობას კანონზომიერად ასა-
ხავს მეგრული **რშ**, რასაც (**ქშ**→**რშ**) საფუძვლად დაედო ფონეტიკური
შეზღუდვა: აღმავალი ღიაობის აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის

აუცილებლობა მეგრულში. ყურადღებას მიიქცევს **ლ/ნ/მ** სონორული სუბსტიტუცია ხმოვნის წინა პოზიციაში, რაც ამოსავალი **ნ**-ს სასარგებლოდ წყდება. ცხადია, იმერული **ორშიმო** ზანიზმია და მას არაფერი აქვს საერთო გურულ **ო-შუმ-ე//ო-შუმ-ი** „დიდი კოპე“ ალომორფთან, ვინაიდან ისინი ზანური **შუმ- „სმა“** ფუძიდან ნაწარმოები მიმღობებია.

ს.-ქართვ. ***პენტ**- „უაზრო ქმედება“

ქართ. **პენტელ**- სიტყვაში ცრუ-**პენტელ**-ა „მატყუარა“

ზან. (მეგრ.) **პანტალ**-ი „ბოდიალი, უაზრო თქმა/ქცევა“, **პანტალ**-ა „ცრუპენტელა“, ლაზ. გო-**პანტ**-აფ-ა „გაგიჟება“, შდრ. მეგრ. დო-**პანტ**-აფ-ა „უაზროდ თქმა, რაიმეს დადება“.

ლაზურ-მეგრულში **პანტ**- ძირის არსებობა ქართლისთვისაც **პენტ-ელ**-ა ში-**ელ** სუფიქსს გამოგვაცოფინებს, შდრ. მეგრ. **პანტ-ალ**-ი.

სვანურ დიალექტებში შესაბამისი ფუძე არ ჩანს.

ს.-ქართვ. ***პუტ**-ა „კვერის, ნამცხვრის სახეობა“

ქართ. (რაჭ.) **პუნტა** „ნამცხვარი, კვერი“

ზან. (ლაზ.) **პიტა** „შუაში ერბოწასმული შეჭამანდი“

სვან. **პიტ** „კვერი“, **პიტ**-ილდ, **პიტ**-ილ „კვერუკა“, უშგ. **პიტ** „ლუკმა-პური“

სიტყვის შიგნით ზედმეტი **ნ** ფონეტიკური ჩანართია, საკუთრივ რაჭულის ნიადაგზე გაჩენილი; სამაგიეროდ, ამოსავალი ხმოვანი **უ** ქართველური ქვესისტემებიდან მხოლოდ აქ არის უცვლელად შემონახული.

ს.-ქართვ. ***რბ**- „ცხოვა, წვა“

ქართ. -**რბ**-, ე-**რბ**-ო

ზან. (ლაზ.) **ბ**- „ცხოვა“, ნო-**ბ**-უნ „ცხვება“

სვან. **რბ**-, ი-**რბ**-იელ „აცხოვს“, მგ-**რბ**-იელ „მცხოველი“, ლი-**რბ**-იელ „ცხოვა, ხაბაზობა“;

ქართულ-სვანურ ძირ-ფუძეთა შესაძლო კავშირზე ადრეც მივუთითეთ [ჩუხუა 2000-2003 : 189]; ვფიქრობთ, აქვე შემოდის ლაზური ნო-**ბ**-უნ „ცხვება“ ზმნაც, რომლის -**ბ**- ძირიც ფონეტიკურად გამარტივებული ჩანს -**რბ**- →**ბ**-.

ს.-ქართვ. *სეფე-ე „დიდებული, სამეფო“

ქართ. სეფე-, სეფე-ქალ-ი, სეფე-წულ-ი, სეფე „დიდებული“ (საბა)
ზან. (მეგრ.) შაფე „მეფე“, შაფე-წყარ-ი (ტოპ.)

სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში ხშირია მეფე/ნეფე ფორ-
მათა შესატყვისი მათა/ნათა ვარიანტების გამოყენება: მათა-წყუ, მათე-
ერ-ი//მაფ-ურ-ი/ნათ-ერ-ი//ნათ-ურ-ი „მეფისეული, მეფური“. ამავ
რიგისა ჩანს შაფე-წყარ-ი(=სეფე-წყალ-ი), რაც საზოგადოდ წყლის
გამორჩეულ თვისებებზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. *სორგ- „ხისა და შეშის სახეობა“

ქართ. სორგ-ა „წეროს სიჯიმის ხე CD“ (საბა)

ზან. (მეგრ.) სორგ-ი „ნედლი შეშა“

სვან. სუგ-ჷ „ნაფოტები; ბზე; ჩელხი“

აქ წარმოდგენილი ქართველური ლექსიკა აჩენს ეჭვებს სხვა
ქართულ სიტყვასთან (სორგო) ეტიმოლოგიური კავშირის შესახებაც,
განსაკუთრებით ეს ეხება სვანურ მნიშვნელობებს.

სვანურის „ნაფოტების“ მსგავსი შინაარსი ასევე შეიძლება დავი-
ნახოთ მეგრ. სორგ-უ-ნ „უხვად ყრია“ ზმნაში. ბოლოვიდური ა
(სორგ-ა) სვანურში რედუცირებულ ალომორფად წარმოგვიდგება –
სუგ-ჷ<-სურგ-ჷ<- *სორგ-ა, რაც ბუნებრივია, ანუჷ<- ა სვანურში,
შდრ.: ქართ. ყბა : სვან. ყაბჷ, კაბა : კაბჷ...

ს.-ქართვ. *სხენაკჷ- „მწარე, გესლიანი“

ქართ. (ხევს.) სხნაკვ-ი „ძალიან მჟავე, მწარე“

ზან. (მეგრ.) შხანუკ-ი „გესლიანი, მწარე“

სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა ადვილი საცნობია. მე-
გრული ეკვივალენტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ხევსურულში ის-
ტორიული ე რედუცირებულია – სხენაკვ→სხნაკვ-.

ს.-ქართვ. *ტაბელ- „ჩადუნასავით მცენარე; ვაზის ჯიში“

ქართ. ტაბელ-, ტაბელ-ა „ერთგვარი მცენარე, ბალახი“, „ჩადუნა-
სავით არის“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ტობა „ყურძნის ჯიში“

ქართ. ტაბელ- : ზან. (მეგრ.) ტობა იმეორებს წითელ- / ჭითა მი-
მართებას, ვინაიდან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ლ-ს გაუჩინა-
რება ბუნებრივია ზანურ დიალექტებში, შდრ.: ძელ-/ჯა, ცხელ-/ჩხე,
გრძელ-/გუნძე/გინძე/გირძე...

კითხვები ჩნდება სემანტიკური კორელაციიდან (*ჩადუნა ~ვა-ზი*) გამომდინარე.

ს.-ქართვ. ***ტის-** „მკბენარის, ტილის მოშორება“

ქართ. **ტის-ნ-ა** „მკბენარის მოშორება“

ზან. **ტიშ-ონ-ი/ტიშ-ონ-უ** „გაწმენდა კბენარებისაგან თავისა“

სვან. **ტშ-**, ა-**ტშ-ულ-ე** „ტილებს აცლის“, ი-**ტშ-ულ-ალ** „ტილებს იცილებს“

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ადრევე იქნა შენიშნული [კლიმოვი 1964 : 181]. სვანური **ტშ-** რედუცირებული ძირი აქვე შემოვა. რა თქმა უნდა, ქართ. **ტილ-ი** : სვან **ტიშ** „ტილი“ სხვა ძირები და ასახავს ქართ. **ლ** : სვან. **შ** ბგერათშესატყვისობას, მაშინ, როდესაც აქ წარმოდგენილი ძირები განსხვავებულ **ს** : **შ** ოპოზიციას აჩვენებენ.

ს.-ქართვ. ***ტლეზ-** „რადაცის ერთმანეთში არევა“

ქართ. (გურ.) **ტლეზ-**, მო-**ტლეზ-ა** „ცუდად მოზელა, არევა ერთმანეთში“

ზან. (მეგრ.) **ტარჟ-**, **ტარჟ-უ-ა** „ფერთა არევა“, **ტარჟ-ილ-ი** „ერთმანეთში არეული (ფერები)“

ორივე ენობრივ ქვესისტემაში ძირითადი ჩანს *არევის* სემანტიკა. საინტერესოდ გვეჩვენება ფორმალური მიმართებაც, როცა **ტლ** თანხმოვნური ჯგუფი, როგორც არაკანონიკური, მეგრულში დამღეულიქნა **ლ-ს** მეტათეზისით, რასაც **ლ→რ** პროცესი ერთვის თან, შდრ. ქართ. **ტლეზ-** : ზან. **ტარჟ-** და ქართ. **ხლეჩ-** : ზან. **ხარცქ-**.

ს.-ქართვ. ***ტაუც-** „ერთმანეთზე მჭიდროდ მიბმა, მიდება, მიდგმა“

ქართ. **ტაუც-**, შე-/მი-**ტაუც-**ებ-ა „ერთმანეთზე მჭიდროდ მიბმა, მიდება, მიდგმა“

ზან. (მეგრ.) **ტაუჩ-**ი „გაუვალი ერთმანეთს შეზრდილ ეკალბარდებზე ითქმის“

როგორც ვხედავთ, ქართული ზმნური **ტაუც-** ძირი მეგრულში მხოლოდ სახელურ ფუძეს შეისატყვისებს. მნიშვნელობის მხრივ, ორივე ენობრივი ერთეულისთვის ბუნებრივი ჩანს *მიბმა/მიდება/მიდგმა* სემათა ერთიანობა.

ს.-ქართვ. ***ტუბ**- „მორევი; ღრმა ღელე“
ქართ. (ხევს.) **ტუმბ-ო** „მორევი“, შდრ. წყალ-**ტუბ-ო**
ზან. (მეგრ.) **ტვიბ-**,**ტვიბ**-ია ღალუ „ღრმა ღელე“
სვან. **ტუბიბ**-რა „ღელე“

ჩვენი დაკვირვებით, ტოპონიმ წყალ-**ტუბო**-ში დამოწმებული **ტუბო** არ უნდა იყოს წარმომავლობით კავშირში მეგრულ-ლაზურ **ტიბუ/ტუბუ** „თბილი“ ზედსართავთან; პირიქით, იგი ასახავს ამოსავალ **ტუბო**-ს ქართულისათვის, საიდანაც განვითარდა ხევსურული **ტუმბო** – **ტუბო** ->**ტუმბო**. **უ** ->**ვი** სვანურ-მეგრულში გვიანდელი კომბინატორული პროცესებია: სვანურში უძლიაუტი განხორციელდა დაკარგული **ი**ს ზეგავლენით, ხოლო მეგრული **უ** ->**ვი**-ია სუფიქსთან ასიმილაციით.

ს.-ქართვ. ***უკუ**- „უკან, უკუ“
ქართ. **უკუ**-, **უკუ**-იქცა, **უკუ**-ტყორცნა
ზან. (ლაზ.) **ოკო**- „უკუ“, **ოკო**-ნახთუ „უკუიქცა“, **ოკო**-ნატყორცუ „უკუტყორცნა“, მეგრ. **ოკო**-ხ//**ოკო**„უკან, უკუ“

ადვილი დასანახია შინაარსობრივი ერთიანობა განხილულ ფუძეებში. ფონეტიკურად კი კიდევ ერთი მაგალითი დაემატება ქართ. **უ** : ზან. **ო** (**უწყის/ოწყენ**) ბგერათმესატყვისობის ცნობილ ნიმუშებს.

ს.-ქართვ. ***ფაკელ**- „თავსახვევი; კაბა“
ქართ. **ფაკელ**-ი „თავსახვევი“ (საბა)
ზან. (ლაზ.) **ფორკა**→//**ჭორკა**„ერთგვარი კაბა“
სვან. **ლგ-ფკჷლ**, **ლგ-ფკელ** (ბქ., ლენტ.) „ქალბატონი, დიდგვაროვანი“

სვანურში *ქალბატონის* გაგება განვითარდა *თავსახვევიანისაგან*, რომელიც გამოარჩევდა მას სხვა ქალბატონებისაგან. ლაზური **ფორკა**, თუ გვიზიარებს რ-ს ფონეტიკურად ჩართვას, ისევე მიემართება ქართულ **ფაკელ**-ს, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ქართ. **წითელ**- : ზან. **ჭითაურ**თიერთს. ე.ი. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში **ლ** სონორიადაკარგული.

ს.-ქართვ. ***ფაშარ**- „ხმელი, გამომშრალი“
ქართ. **ფაშარ**-ი„ხმელი“, **ფაშრ**-დ-ებ-ა „ხმება“
ზან. (ლაზ.) **ფუშკურ**-ი „გამომშრალი“

ქართული ფაშარ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზურ-
რი ფუშკურ-ი „გამომშრალი“ – ა : უ (ფ-სგავლენით ო→უ), შ : შკ. აჭა-
რული ფუშკურ-ი „გამომშრალი, ხმელი ყველი“ ლაზურ წყაროს გუ-
ლისხმობს.

ს.-ქართვ. *ფირცუ- „კანი, ბეწვი“

ქართ. –

ზან. (მეგრ.) ფერჩ-ი „კანი, ნაფრცქენი“, ფერჩ-ელ-უ-ა /
ფერჩ-ელ-ი „გაფრცქენა, კანის გადაყვლევა“

სვან. ფინჩ „ბეწვი“

მეგრ. ფერჩ/სვან. ფინჩ ფუძე-ენისთვის *ფირცუ არქეტიპს გვა-
ვარაუდებინებს, თუ გავითვალისწინებთ რ→ნ (შდრ. ქართ. წარ-ი :
სვან. კწნ „ხარი“) ნაზალიზაციის პროცესს სვანურში. სემანტიკური
კორელაცია სვან. ბეწვი~ზან. კანიზუნებრივი ჩანს.

საინტერესო ჩანს დაღ.: ხუნძ. ბაჩა „ფარი; საფარი“, ლაკ. ბურჩუ
„კანი“ სახელებთან მიმართების საკითხიც.

ს.-ქართვ. *ფუშ- „თიაქარი; სიმსივნე; ბებერა“

ქართ. ფუშ-ი „თიაქარი, ვერდის სიმსივნე“

ზან. (მეგრ.) ფუშქ-ი „ბებერა“

სალიტერატურო ფუშ-ის პარალელურად დიალექტებში (ხევ-
სურულში) ფუშე-ი ლაზიალიზირებული ვარიანტიც დასტურდება,
რაც მეორეულია, შდრ. ხევს. ბუქე-ი, სალიტ. ბუქ-ი...

ს.-ქართვ. *ქარდ- „ეკალი; ჩირგვი“

ქართ. ქარდ-ი „ეკალი“, გურ. „მსხვილი ეკალი“

ზან. (მეგრ.) ქურდ-ია „ერთგვარი ეკლიანი მცენარე“, ქურდ-ი-
ონ-ი(მიკროტოპ. ხობში)

სვან. ქარდ „ეკალი; ჩირგვი“

ქართველურ ძირ-ფუძეთა მატერიალური და სემანტიკური ერ-
თობა ეჭვს არ იწვევს. თუმცა, გარკვეულწილად მოულოდნელი ჩანს
ქართ.-სვან. ა : ზან უ ხმოვნური ბგერათფარდობა.

ადილ. ქანდ „ბუჩქი“ სიტყვაც აქვე შემოდის, როგორც გენეტიკუ-
რად საერთო ძირი.

ს.-ქართვ. *ქუალ- „კოჭლობა“

ქართ. ქვან-ქვალ-ი „კოჭლობით სიარული“

ზან (მეგრ.) ნქველ-აფ-ი/ნქველ-უ-ა „კოჭლობა“;

ქართულში მხოლოდ ქვალ- „კოჭლობა“ ძირის გაორკვეებული სახეობა დასტურდება. ქართულისთვის ამოსავალ ქვალ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ნქველ-, რომელიც *ნქულ-ის უმლაუტიანი ვარიანტი უნდა იყოდ, შდრ. მეგრ. ქულ-ა „კოჭლი“.

დადესტნურიდან საინტერესო ჩანს კარატ. ქერ-ა-, ახვახ. ქირ-ორუ- „კოჭლობა“ ზმნები, შდრ.: კარატ. ქერ-ე-და, ახვახ. ქირ-ე-და „კოჭლი“.

ს.-ქართვ. *ქოლ- „პატარა რქა“

ქართ. (მესხ.) ქოლ-ო „პატარა რქა (მსხვილფეხა საქონლის)“

ზან. (ლაზ.) ქორ-იტ-ი „ურქო (თხა...)“

ივარაუდება -იტ- სუფიქსის უარყოფითობის გამოხატვის ფუნქცია ლაზურში, რითაც იგი სვანურის დე- პრეფიქსს უტოლდება.

საერთოქართველური *ქოლ- „პატარა რქა“ არქექტივის კანონზომიერი შესატყვისი გამოჩნდება ნახურ ენათა ქურ „რქა“ სიტყვაში [შდრ. ჩუხუა 2008 : 461].

ს.-ქართვ. *ქოც- „ქვევრი; ჭური; გოდორი“

ქართ. ქოც-ო „მცირე ჭური“ (საბა), გურ., ფშ., ქართლ., ქიზ., ქსნ. „პატარა ქვევრი; ქილა“

სვან. ქუნენჩ, წნელის გოდორი“

სვანურში ივარაუდება ჩ'ს წინა პოზიციაში ნაზალური ნ'ს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარება, ხოლო რ- >ტე ტრანსფორმაცია შუალედური უმლაუტიანი საფეხურის გავლით განხორციელდა, რაც მიეწერება ისტორიული (ქართულის -ო სუფიქსის შესატყვისი) – იბოლოსართის მოქმედებას სვანურში.

დადესტნურიდან საინტერესო ჩანს ბუდუხ. ქუჩარ „კოკა; თუნგი“, ლეზგ. ჩუქტა „ქვაბი“ ფორმებთან მიმართების პრობლემა.

ს.-ქართვ. *ქსტინ- „სისინი, სტვენა“

ქართ. (ქართლ.) ქსვინ-ვ-ა „ქოშინი, სისინი“, მ-ქსვინ-ავ-ი „სისინა, გადატ. „გველი“

ზან. (მეგრ.) რშვინ-უ-ა „სტვენა“, ტყამ-ამ-რშვინ-ე „უსაქმური“ (= ტყის მსტვენი)

ქსვინ-/რშვინ- ბუნებრივი მიმართება ჩანს, ვინაიდან ქს/ქშ ტიპის აღმავალი ღიაობის აქცესიური კომპლექსს ზანური (მით უფრო

მეგრული) ვერ ჰგუობს. ამიტომაც ხდება მათი სუპერაცია-დაძლევა დამავალი ღიაობის აქცესიური ჯგუფით, რისთვისაც გამოყენებული იქნა **ქც→რც** შესაძლო ტრანსფორმაცია.

ს.-ქართვ. ***ქუც-ურ**- „ძალდი, ლეკვი მოფერებით“
ქართ. (იმერ., სალიტ.) **ქუცურ-ა** „ძალდი მოფერებით“
ზან. (ლაზ.) **ქუჭუ** „ძალდი მოფერებით“

სვან. **ქუჭირ-ილ//ქუჭირ-ი** (ლაშხ., ლენტ.) „ძალდის, ლეკვის მოფერებითი სახელი; ლეკვუნა“

სვანური ეკვივალენტი ნამდვილად ავლენს მეორე მარცვალში დეუმლაუტიზაციის ისტორიული პროცესის კვალს, ანუ სვანურ დიალექტებში ძველი სახეობა **ქუჭურ//ქუჭირ** ტიპისა უნდა ყოფილიყო.

დადესტნური ენებიდან ამავე ძირთა მონათესავე ჩანს ლეზგიურში **ქურცულ** „ძუნაძალდი; ნეც“სიტყვა.

ს.-ქართვ. ***ღადარ**- „ნაკვერჩხლიანი ღადარი“
ქართ. **ღადარი-ი** „ნაკვერჩხლიანი ნაცარი“

ზან. (მეგრ.) **ღოდორ-ი** „ღადარი“, **ღოდორ-ო//ღოდორ-ია** „დაღარივით თბილი“

ქართულ-ზანურ სიტყვა ფორმათა ერთობა ექვემდებარება ვრცელ მასალაზე აპრობირებულ ჩვენებას – ქართ. **ა** : ზან. **ო**, რასაც გვერდს უმაგრებს წარმოდგენილ ძირთა სემანტიკური იდენტურობა.

ს.-ქართვ. ***ღენჯ**- „ლითონთა ჟანგი (ამომჭამელი)“

ქართ. **ხენჯ-ი** „სპილენძის/რკინის ჟანგი ჭედვა/წრთობის დროს“, „ილეკროს ნაწური“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ღანჯგ-ი** „ლითონის ამომჭამელი ჟანგი“

ამ შეპირისპირებაში უჩვეულო ჩანს ანლაუტური ქართ. **ხ** : ზან. **ღ** ოპოზიცია, რასაც ვერ ავხსნით **ხ→ღ** გამჟღერების დაშვებით მეგრულში, ვინაიდან აქ პირიქით **ღ→ხ** ანლაუტური დაყრუების შემთხვევები სჭარბობს: ქართ. **ღრტილ-ი/მეგრ. ხინტკირ-ი**, ძვ. ქართ. **პაღჷ-ი/მეგრ. პუხუ** „კუხი“... ამიტომაც, ვფიქრობთ, უპრიანია **ღ → ხ** ვივარაუდოთ ქართულისათვის.

ს.-ქართვ. ***ღერძ-ო** „ღრძო, გაბრაზებული“

ქართ. **ღრძო**, გულ-**ღრძო**

ზან. (მეგრ.) **ღანჯა** „ღვარძლი“

სვან. **ღიჯუ** (ბქ., ლაშხ.) „გაბრაზებული, დაღრეჯილი“

მეგრულში, სიტყვის ბოლოს, ასიმილაციური **ო**→**ა** (*ღარჯო→ღანჯა) ფონეტიკური პროცესი განხორციელდა. ქართულში რედუცირებული ჩანს მეგრული **ა**-ს შესატყვისი **ე** ხმოვანი, ხოლო სვანურში ფუძის შიგნით **რ** დაიკარგა.

ს.-ქართვ. ***ღუარ**- „ღვარი“

ქართ. **ღვარ**-ი, **ღვარ**-ნაშ-ი „ნიაღვარი“, **ღვარ**-ცოფ-ი

ზან. (მეგრ.) **ღორ**-, **ღორ**-თოლ-ი „ღვარის, ღელის თვალი“, **ღორ**-თოლ-ძგა (ადგილის სახელი სოფ. ტყირში, სენაკი.)

ქართული **ღვარ**- სახელის კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს მეგრული **ღორ**-თოლ- კომპოზიტში, რომელიც *ღელის* სახეობად ივარაუდება მეგრულში.

ს.-ქართვ. ***ღიმ**- „ღიმილი“

ქართ. **ღიმ**-ილ-ი, მო-**ღიმ**-არ-ი, ი-**ღიმ**-ი-ს

ზან. (მეგრ.) **რღიმ**-ინ-ი „დიდპირას ღიმილი“, **რღიმ**-ა//**რღიმ**-ალ-ი „მომღიმარი დიდპირა“

ფუძეთა საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. მეგრულში სახეზეა ნიუანსური სემანტიკური სხვაობა, რასაც თან ერთვის **რ** ვიზრანტის ფონეტიკური დართვა.

ს.-ქართვ. ***ღიჯილ**- „ღრძილი, ეშვი“

ქართ. **ღჯილ**-ი „ეშვი“

ზან. (ლაზ.) **ღენჯგილ**-ი „ღრძილი“, მეგრ. **ღინჯგილ**-ი „id“

ქართული **ღრძილ**-ი აქ ვერ შემოვა, ის სხვა სიტყვა ჩანს და ამას ბგერათმესატყვისობათა ჩვენებაც ადასტურებს, ქართ. ძ : ზან. ჯგმი-მართებას ქართველური მასალა მხარს ვერ დაუჭერს [შდრ. კლიმოვი 1964 : 207, ფენრიხი-სარჯველაძე 2000 : 522]. ამიტომაც უპრიანია დიალექტებში ფიქსირებული **ღჯილ**-ი სიტყვა შევუდართო ზანურ ალომორფებს და ფუძეენისათვის აღვადგინოთ გახმოვანებული ***ღიჯილ**- არქექტიპი.

ს.-ქართვ. ***ღლაჟ**- „ბავშვი“

ქართ. (ქიზიყ.) **ღლაგ**-ი „პატარა ბავშვი“

სვან. **ყლაჟ** „ბავშვი, ბიჭი“

ანლაუტური **ღ** : ყ ფონემური ოპოზიცია მეორდება საყოველთაოდ გაზიარებულ ქართულ-სვანურ შეპირისპირებაში ღვიძ-ლ- / ყჭიყ-ე „ღვიძლი“, შდრ. მეგრ. ღვინჯ- „გაბრაზება“ : ქართ. ღვიძ- „გაღვიძება“ [როგავა 1979]. ამიტომაც ვერ გავიზიარებთ სვან. ყლაჭ „ბავშვი, ბიჭი“ სიტყვის გ. კლიმოვისეულ ეტიმოლოგიას [კლიმოვი 1964 : 212].

ს.-ქართვ. *ღოჯ- „ემვი“

ქართ. ღოჯ-ი „ემვი“

ზან. (მეგრ.) ღენჯგ-ი//ღინჯგ-ი „ემვი“

ლექსიკონებში მეგრ. ღენჯგ-ი//ღინჯგ-ი ზოგჯერ ღრძილად განიმარტება, რაც გამოწვეულია ღენჯგ-ილ-ი//ღინჯგ-ილ-ი „ღრძილი“ სიტყვასთან კონტამინაციით (ა. ქობალია). ვფიქრობთ, მეგრ. ღენჯგ-ი//ღინჯგ-ი „ემვი“ დავაკავშიროთ ქართ. ღოჯ-ი „ემვი“ სიტყვასთან და ხმოვნურ ნაწილში თავჩენილი ო : ი/ე ჩავსვათ შეფარდებათა იმ რიგში, რომელიც დიდი ხანია აპრობირებულია ლინგვისტურ ქართველოლოგიაში – ქართ. ცოლ-ი : ზან. ჩილ-ი ან ქართ. ღორ-ი : ზან. ღეჯ-ი. ყველა შეთხვევაში ო→ე (თუ ო→ი) ზანურში ოდესღაც მოქმედი უმლაუტის ნაშთად უნდა ვალიაროთ [შმიდტი 1962 : 48].

ს.-ქართვ. *ღრძილ- „ღრძილი“

ქართ. ღრძილ-ი „ღრძილი“

სვან. ღჯილ- „ღრძილი“, მრ. რ. ღჯილ-პრ „ღრძილები“

ქართულ დიალექტებში ფიქსირებული ღჯილ-ი სიტყვა სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს (იხ. აქვე), ხოლო სალიტერატურო ღრძილ- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ღჯილ- „ღრძილი“ სახელი, სადაც ინლაუტური რ დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. *ღურ- „კვლა, მოკვდინება“

ქართ. –

ზან. ღურ-ა „კვდომა“, ლაზ. ო-ღურ-ინ-უ „კვლა, მოკვდინება“

სვან. (ჩოლურ.)ღგრ- „კვლა“, ღურ-ე „კვლავ“, ღგრ-ე „კვლავ, კლავს“

პრობლემას, გარდა იმისა, რომ შესაბამისი ზმნური ფუძე უცნობია ქართულისთვის, ქმნის ზმნათა სხვაობა გვარის კატეგორიის მი-

ხედვით, – ზანურში **ღურ-** მხოლოდ პასიური შინაარსისაა; ლაზურში მისი გააქტიურება მხოლოდ **-ინ-** სუფიქსის მოქმედებით აიხსნება.

ს.-ქართვ. ***ყელ-** „სითხის ღვრა, წვიმა, ჭარბსითხიანობა“

ქართ. **ყელ-**, **ყელ-ობ-**ა „წვიმა-ჴშირობა“ ZA, „წვიმ(რ)იანობა“ BC (საბა)

ზან. (ლაზ.) **ყალ-**, მო-**ყალ-**აფ-ა „სითხით ჴურჴლის ძალზე გავსება“, მეგრ. **ყალ-**, გო-**ყალ-**აფ-ა „დიდწვიმიანობის დროს ღელეთა ადიდება“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

როგორც ეტყობა, უფრო ადრე **ყელ-** ძირს გავრცელების მეტი არე ახასიათებდა, რაზეც ნათლად მეტყველებს ერთი კომპოზიციური შედგენილობის სიტყვა ქართულში – ჴია-**ყელ-**ა, რაც ეტიმოლოგიითაც *წვიმის ჴიას* უნდა ნიშნავდეს.

ს.-ქართვ. ***ყენ-** „შე-/და-ყენება, შეჩერება“

ქართ. **ყენ-**, და-/შე-**ყენ-**ებ-ა, შე-/და-ა-**ყენ-**ე

ზან. (მეგრ.) **ყან-**/**ყან-**, გო-**ყან-**აფ-ა//გო-**ყან-**აფ-ა „შეჩერება, შეყენება“

მეგრულ ძირებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა **ყ/ყურთიერთმონაცვლეობა**, რასაც ეს ფუძეც ამტკიცებს, ანუ, პროცესი **ყ** → **ყჯერაც** არ დამთავრებულა.

ს.-ქართვ. ***ყტენ-/ყტინ-** „პარსვა, ჴრა“

ძვ. ქართ. **ყტენ-/ყტინ-**, და-**ყტენ-**ა /და-**ყტენ-**ა „თმის მოცილება, პარსვა“

სვან. **ყტინ-**, **ყტინ-**ა „ფრჩხილების დაჴრა“

ადრინდელ ნაშრომში [ჩუხუა 2000-2003 : 285] ვფიქრობდით ქართული ალომორფების სვან. **ყტელ-/ყტილ-** „დაშორება, მოცილება“ ფორმებთან შესაძლო კავშირის შესახებ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, როცა ქართ. **ყ** : სვან. ჴფონემური ოპოზიციასულ უფრო მეტ მასალაში იჩენს თავს, უპრიანად გვესახება წარმოდგენილი შეპირისპირების შემოტანა.

ს.-ქართვ. ***ყტეც-** „სიყვითლე ფარისებრი ჯირკვლის გადიდება-საგან“

ქართ. ყვიც-, ყვიც-იან-ი, ციებ-ცხელებისაგან გაყვითლებული“, „ყვითელფეროვანი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ცვანჩ-ი „ყანყრატოგამობერილი“

სვან. ყუთიჩ, ჩიჩახვისეზური გადიდება“

მნიშვნელობის მხრივ, სვანურ-მეგრული უფრო ახლოს დგას, თუმცა ავადმყოფისგაგება სამივე ერთეულში ფიქსირდება. დამაფიქრებელია ა- ხმოვნის პოზიციურება ზანურში, რაც საერთოქართველურსათვის *ყუთიეც- პროტოტიპის არსებობას გვაფიქრებინებს.

ს.-ქართვ. *ყუთირწ- „ძლიერ მწიფე; გადამწიფებული“

ქართ. (ლექზ.) ყვინწ-, ყვინწ-ლ-ი „ძლიერ მწიფე“

ზან. (მეგრ.) ყურჷ-ე // სურჷ-ე „გადამწიფებული ნაყოფი“

სვანურ შესატყვისს ვერ ვხედავთ; ლექზუმური ალომორფიც, როგორც ირკვევა, ფონეტიკურად შერყენილია – ყვინწ-ლ- <- *ყვირწ-ლ- (დიალექტური ტრანსფორმაცია). პირიქით პროცესს, ანუ ნჷ -> რჷ გადასვლას მეგრულში ვერ დავუშვებთ, ვინაიდან მსგავსი გარდაქმნა აქ არ დასტურდება, უფრო საპირისპირო პროცესია გაცრცელებული.

ს.-ქართვ. *შუარ- „შარდი“

ქართ. შარ-დ-ი „ფსელი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) სქერ-ი, შარდი“, სიტყვაში პაპა-სქერ-ი „პატარა შარდი; შარდის ხუთვა“

სვანური შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ლა-სგარ „საპირფარემო“ სიტყვაში (ვ. ჰ. შმიდტი), რაც საკამათოა. მეგრული ფორმა კი იმას ამტკიცებს, რომ -დ- ქართულში სუფიქსურია და იმავე რიგისაა, რაც მშვილ-დ-ი, წალ-დ-ი სიტყვებში, შდრ. ანალოგიით დიალექტებში გაჩენილი ცულ-დ-ი, ბოძალ-დ-ი...

ს.-ქართვ. *შუელ- „შველა, შვება“

ქართ. შველ-ა, უ-შველ-ი-ს, ე-შველ-ებ-ა, სა-შველ-ი

ზან. (ლაზ.) მშველ-ა „შვება, სიმშვიდე“

ქართულ შველ- ძირს ზანურში შქველ/შკველ- უნდა მოეცა, მაგრამ ლაზურში მოქმედი ვ-ს გაუჩინარების ზოგადი ფონეტიკური პროცესის ზეგავლენით (შდრ. შვიდ-ი/შქით-ი, ღვინ-ი/ღინ-ი, წვიმა/მქიმა...) დამკვიდრდა მშველ-ა სახეობა. ვ-ს დაკარგვაში გარვეული როლი მიუძღვის თავკიდურ მ-ს.

ს.-ქართვ. *ცად-ენ-/*ცად-ინ- „ცდენა; მოტყუება“

ქართ. ცდენ-ა, ა-ცდინ-ა, ნა-ცდენ-ი

ზან. (ლაზ.) ჩედინ-, ო-ჩედინ-უ „მოტყუება“

როგორც საზოგადოდ ხდება ხოლმე, ლაზურმა აქაც ე/ი ალტერ-ნაციისას ი ვარიანტს დაუჭირამხარი. სხვა მხრივ, სემანტიკური კო-რელაცია ც დ ე ნ ა / მ ო ტ ყ უ ე ბ ა ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *ცად- „ცდა, ყურება“

ქართ. ცად-/ცდ-, ცდ-ი-ს, გამო-ს-ცად-ა

ზან. (ლაზ.) ცოდ-, ო-ცოდ-უ „ყურება“, ცოდ-ომ-ან „უყურებენ“

ქართ. ცად- ზმნას კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. ცოდ-, სემანტიკური ოპოზიცია ცდა-ყურება დასაშვებია.

ს.-ქართვ. *ცინ- „დაცინვა, სიცილი“

ქართ. ცინ-, ი-ცინ-ი-ს

ზან. (ლაზ.) ო-ჩინ-უ „სიცილი, მ-ჩინ-ი „დასცინა“

სვან. ხ-ა-ჩ-ა „ეცინება“, მაგრამ ხ-ა-ჩონ-დ-ა „გაეცინა“

რადაც კვალი ოდესღაც ჩონ- ფუძის არსებობისა სვანურშიც შე-იმჩნევა, მაგრამ აქ ძირითადად მაინც ცალმორფემიანი -ჩ- ძირია გა-ბატონებული.

ს.-ქართვ. *ცოც- „ცოცვა; coire“

ქართ. (ქართლ.) ცოც-არ-ი „penis“, ცოც-ვ-ა

ზან. ჩოჩ-უ-ა / ო-ჩოჩ-უ „ცოცვა; coire“

სვან. ჩომ-იალ,ლი-ჩომ-იელ „coire“

როგორც ეტყობა, coire-ს მნიშვნელობა, რომელიც ერთადერთია სვანურში და ხელშესახებია ზანურში, ქართული ზმნისთვისაც და-მახასიათებელი ყოფილა, რაც ქართულ დიალექტში ცოც-არ- „penis“ ნაზმნარი სახელის არსებობით მტკიცდება. ჩვენეული ანალი-ზი გამორიცხავს გ. კლიმოვის მიერ ადრე შემოთავაზებულ და სუს-ტად არგუმენტირებულ დეკავშირებას – ქართ. ცოლ- „ცოლი“ : სვან. ჩომ- „coire“ [კლიმოვი 1964 : 230], რაც ლ : შ ბგერათმესატყვისობას ეფუძნება; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანური ლ -> შ სახელური ტრანსფორმაციაა, იგი ზმნურ ფუძეებში არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ცუნცურ- „vulva“

ქართ. ცუცურ-ა „ჩვილთ ჭუჭუა“ (საბა)

სვან. ჩუნჩურ „vulva“

ქართ. ცურ- „ცური“: ზან. ჩურ- „vulva“ (შდრ. დაღ., ჭამალ. ცორ-ა “penis”) სხვა ძირი ჩანს და გამოვრცხავთ მათთან ზემოთ აღწერილი სიტყვების შესაძლო კავშირს.

ს.-ქართვ. *ცხერ- „რცხილის სახეობა“

ქართ. (გურ., იმერ.) ცხერ-ი „რცხილა“

ზან. (მეგრ.) ჩხარ-ი „შეთხელებული ტყე“

ფორმალური თვალსაზრისით, ცხერ-/ჩხარ- შეპირისპირება უნაკლოა – ცხ : ჩხ, ე : ა. რაც შეეხება სემანტიკურ კორელაციას, ალბათ, მეგრული ჩხარ-ი გულისხმობს რცხილის ტყეს; აქვე შემოსატანი ჩანს მეგრ. ჩხარ-ი „ვაზის ჯიში“, რაც იმეორებს ქართ. ტახელ-ა „ჩადუნა“ ~ ზან. ტობა „ყურძნის ჯიში“ (იხ. აქვე) მიმართებას, როცა ვაზის ჯიშობამოყვანილია მცენარის ველური სახეობიდან, ან მასთან ამჟღავნებს მსგავსებას და ამიტომაც ერქმევა მისი სახელი.

ს.-ქართვ. *ძგიბ- „გაცივება, შეყინვა“

ქართ. (მესხ.) ძგიბ-, გა-ძგიბ-ვა „გაცივება“

ზან. (ლაზ.) ო-ძგიფ-უ „მოყინვა“, ძგიფ-ერ-ი „მოყინული“

სვან. ბიძგ-, ა-ბძგ-ე „ოდნავ ყინავს“

ქართულ-სვანური ძგიბ-/ბიძგ- სუბსტიტუცია დამახასიათებელია ამ ტიპის (აგებულების) სიტყვათათვის, შდრ. სვან. ლუ-ბუჯ-ე (ლნტ.)/ლუ-ჯუბ-ე (ბქ.) „გამობერილი“. ამოსავალი ჩანს ქართ. ძგიბ-სახეობა, რომელიც ფუძეენურ მდგომარეობას ეხება.

ს.-ქართვ. *ძენძ- „ძენძი“, *ძენძ-ო „ძენძო“

ქართ. ძენძ-ი „სელის, კანაფის და მისთ. დამუშავებისას მიღებული მსხვილბოჭკოვანი ნარჩენი“, ძენძ-ო „ლობიოს გაცეხვის შემდეგად დარჩენილი ძირი და ღერო ფოთლებითურთ“

ზან. (მეგრ.) ჯანჯ-ი „ძენძი, წვრილ-წვრილი ფესვაკები ხისა“

მეგრულში მოშლილია ქართულისებური ძენძ-ი/ძენძ-ო სახის ოპოზიცია, ვინაიდან სიტყვის ბოლოში თითქმის ყველა -ო, აფიქსური წარმომავლობისა, ი-ში ჩანს გადასული (შდრ. ღვინ-ო//ღვინ-ი ტიპი). საყურადღებოა, რომ იგივე ძენძ-/ჯანჯ მეორდება ზანურ ფორმებშიც: ძენძ-ავ-ს/ჯანჯ-უნ-ს, რაც ზმნათა სახელურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. ***ძიც-** „სიცილი“

ქართ. (მოხ.) და-**სიც-ილ-ი** „დაცინვა“

ზან. (მეგრ.) **ძიც-ა/ძიც-ინ-ი**, ლაზ. **ძიც-ინ-ი//დიც-ინ-ი**, **ძიც-ა//დიც-ა** „სიცილი“

მოხეური ფორმა გამოირჩევა არქაულობით, ვინაიდან აქ არ განხორციელდა მეტაანალიზი ძირეული **სი-** სეგმენტისა აბსტრაქტულობის **სი-** პრეფიქსთან –**სიც-ილ-ი** →**სი-ც-ილ-ი**.

ქართ. **სიც-** : ზან. **ძიც-** ეთანადება ქართ. **სახელ-** : ზან. **ჯოხო** „სახელი“ მიმართებას. ცხადია, ორივეგან დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია (**ძ** → **ს**) ქართულში განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***ძიძგ-** „ძიძგილაობა“

ქართ. **ძიძგ-**, **ძიძგილ-ი**, **ძიძგილ-ა-ობ-ა** „ჩხუბი“

ზან. (ლაზ.) **ჯიჯგ-**, **ო-ჯიჯგ-ილ-უ** „სიტყვებით ურთიერთშეპასუხება“

კანონზომიერი მიმართება ქართ. **ძიძგ-ილ-** : ზან. (ლაზ.) **ჯიჯგ-ილ-** სვამს საკითხს ქართ. **ძიძგ-ნ-ა** : ზან. (მეგრ.) **ჯიჯგ-ონ-ი//ჯგიჯგ-ონ-ი** ფუძეებთან მიმართების შესახებაც.

ს.-ქართვ. ***ძოლ-ო** „მცირე ხალიჩა“

ქართ. **ძოლო** „ხალიჩა“, „მცირე ორხოვა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ნჯოლო/ჯოლო** „პატარა ხალიჩის სახეობა“

ქართულ **ძოლო-ს**, რომელიც საბას ლექსიკონშია ფიქსირებული, მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება **ჯოლო/ნჯოლო** ფონეტიკური ვარიანტები. ამოსავალი მნიშვნელობა, ეტიმონი, *მცირე ხალიჩისა* უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***წამ-** „დამოწმება; მიყოლა, მიდევნება“

ქართ. **წამ-**, **ს-წამ-ა**, **მო-წამ-ე//მო-წმ-ე**

სვან. **ჰემ-**, ლი-**ჰემ** „დევნა“, ლე-**ჰემ** „დასადევნებელი გასაყოლი“, მე-**ჰემ** „გამყოლი“

ქართულ **წამ-** ზმნურ ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ჰემ-** ალომორფი. ორივეგან ხელშესახებია *მიდევნება/მიყოლა/წამება* სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. ***წარ-** „ტევრი, ხშირი ტყე“

ქართ. **წარ-**, **წარ-ავ-ი** „მოგრძე ტყე“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ჰვერ-ი** „ტევრი“

ქართ. წარ-აფ-ში -აფ სახელური სუფიქსი ჩანს, ისევე, როგორც სწრ-აფ-ში გამოიყოფა. წარ-/ჭვერ- მიმართება იმაზე მიუთითებს, რომ ო→ვე ზანურში (resp. მეგრულში) გვიან განხორციელდა.

ს.-ქართვ. *წაწან- „გორგოლაჭებიანი სადგომი; აკვანი“

ქართ. (მოხ.) წაწან-ა-ი „გორგოლაჭებიანი სადგომი ბავშვის ჩა-საყენებლად და სიარულის მისაჩვევად“

ზან. (მეგრ.) ჭოჭენ-ა// ჭოჭინ-ა // წოწინ-ა „ერთგვარი აკვანი; მო-წყობილობა ახალფეხადგმული ბავშვის სიარულის სასწავლებლად; ოწინარი“

სალიტერატურო ქართულში ჭოჭინა იმერული დიალექტიდან შემოვიდა და დამკვიდრდა. ამ უკანასკნელში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ჭოჭინ-ა-ე // ჭოჭინ-ე „ოწინარი, აკვანი“ ალომორფების სა-ხით არის დამოწმებული. ცხადია, იმერული ზანურ წყაროს ვარაუ-დობს, რაზეც მოხეური სისინა სახეობა მიუთითებს.

ს.-ქართვ. *წეს- „გემოს გასინჯვა; პირის შეხება“

ქართ. (მოხ.) წეს-, და-ე-წეს-ებ-ა „პირს შეახებს; შეეხება, მიეკა-რება“

ზან. (მეგრ.) წის-, წის-აფ-ა „დაგემოვნება“, ი-წის-უ-ან-ს „აგე-მოვნებს; სინჯავს“

სემანტიკური კორელაცია დაგემოვნება / პირის შეხებაწინააღ-მდეგობრივი არ უნდა იყოს.

სვანური ლი-წს-ი „დაპატყება“ ფორმასთან მიმართების შესა-ხებაც ადვილად დაისმის საკითხი, ვინაიდან წეს- ზმნას მოხეურში წვევის (დაეწვევა) შინაარსიც ახასიათებს.

ს.-ქართვ. *წაწ- „წვდომა; coire“

ქართ. (მოხ.) წაწ-, წაწ-ებ-ა „წვდომა; შეხება“

სვან. ჭაჭ-, ი-ჭაჭ-იელ „coire“

ბუნებრივად დგება საკითხი ქართ. წაწ-ალ- სიტყვასთან გენე-ტიკური მიმართებისა; ალბათ, საერთო წარმომავლობის ფორმებია.

ს.-ქართვ. *წუად- „ცისთვალა, ოლენა“

ქართ. (რაჭ.) მ-წვად-ინ-ელ-ა „ცისთვალა, ოლენა“ (მცენ.)“

ზან. ჭოდ-ი „ვაზის ჯიში“

გურულ დიალექტში ფიქსირებული **ჰოდ**-ი „ვაზის ჯიში“ ლაზურ წყაროს ვარაუდობს ისევე, როგორც აფხაზური **ა-ჰად** „ყურძნის ჯიში“ არის მეგრულიდან შესული“.

ქართ. **წვად**-/ზან. **ჰოდ**- ბუნებრივი შეფარდებაა –**წ** : **ჰ**, ვა: **ო**. ცისტვალის [scilla] დომესტიკაცია/ვაზად მოშინაურება გვიანი, საკუთრივ ზანურ მოვლენა ჩანს.

ს.-ქართვ. ***წიდ**-ალ- „მშრალი, უჭაობო ადგილი“; „сыша“

ქართ. (იმერ.) **წდალ**-ი „მშრალი, უჭაობო ადგილი“

ზან. (მეგრ.) **წგრდ-ე** / **წგრდ-უ** / **წირდ-ე** / **წირდ-უ** „მშრალი ადგილი, ხმელეთი“

ზანურში დამოწმებული **-ე**/**-უ** სუბსტიტუციის საფუძველი მდგომარეობს ძირ-ფუძის ადიექტური წარმომავლობაში, როცა სქირ-**ე** // სქირ-**უ**, წულ-**ე** // წულ-**უ** ფორმები თავისუფლად მონაცვლეობენ. ცხადია, ფინალური **-ალ** : **-უ** მეტ სიძველეს აჩვენებს, იგი ქართ. წყალ- : ზან. წყუ „წყარო“ მიმართებას ეხმიანება.

ს.-ქართვ. ***წიმ**- „პირთამდე სავსე; პირთამდე გავსება“

ქართ. (მოხ.) **წიმ-ი-წიმ-ა** // **წიმ-ი-წიმ** „პირთამდე სავსე“

ზან. (მეგრ.) **წიწინ-**, მო-**წიწინ-აფ-ა** „პირთამდე გავსება“

მოხეური მეტ სიძველეს აჩვენებს, აქ უფრო სრულად იკითხება ამოსავალი **წიმ**- ძირის მარტივი ბუნება; მეგრულში, პირიქით, განხორციელდა ***წიმ-წიმ**-< ***წიმ**- რედუპლიკაცია, რასაც თან ახლავს **მ** -> **ნ** ნაზალიზაციის გვიანდელი ფონეტიკური პროცესი.

ს.-ქართვ. ***წინწყ**- „სისველე, სინესტე“

ქართ. (გურ.) **წინწყ**-ი „უსიამოვნო სისველე, სინესტე“

ზან. (მეგრ.) **წყიწყ**-ინ-აფ-ა „რაიმეს დაწყლიანება, დანოტივება“, შდრ. **წყიწყ**-ოლ- / **წყიწყ**-ონ-ი „ტიტყნა“

შეიძლება ამავე რიგისა იყოს შიშინა გახმოვანების სხვა სიტყვაც მეგრულში – **ჰყენჰყ**-ი „მინდორშიჩამდგარიუჭინარი წყალი, რომელიცგვხსასველებს“. ეს უკანასკნელი ინლაუტურ **ნ**-საც გამოაჩენს, რაც **წყიწყ**-ინ-აფა-ში არ ჩანს (დაკარგულია?).

ს.-ქართვ. ***წიწინ**- „მცირე რამ, პატარა“

ქართ. (ჩვენებ.) **წიწნ**-ა „მცირე რამ, უმცირესი“

ზან. (მეგრ.) **ჰიჰინ**-ა „პატარა“, შდრ. **ჰიჰინ**-ა-ვა (ანთროპ.)

წიწინ-/ჭიჭინ- შეფარდება ბუნებრივი ჩანს, ამავედროულად, იგი იმაზეც მიუთითებს, რომ ქართულ ვარიანტში ისტორიულად ი ხმოვანია რედუცირებული. როგორც ეტყობა, რაჭული გვარ-სახელი **ჭიჭინ-ა-ძე** მეგრულ ძირს იყენებს.

ს.-ქართვ. *წურ- „თხევა, წვეთა“

ქართ. -

ზან. (ლაზ.) წურ-, გო-წურ-ულ-უ „წვეთება, წვეთა“

სვან. წურ-//წურ-, ხ-ო-წურ-ე „უდენს, ადენს სითხეს (გრემლს, ოფლს, სისხლს...)“, მე-წურ-ე „მდენი, თხევადი“, ხ-ო-წურ „სდის (სითხე)“;

ადრე სვან. წურ- ფორმა ქართულ წურ-ვ-ა სთან იყო დაკავშირებული [ფენრიხი-სარჯველაძე 2000 : 653], ჩვენც ვცდილობდით მის შედარებას ქართ. წურწურ-/ ზან. ჭურჭურ- ფორმასთან [ჩუხუა 2000-2003 : 369], მაგრამ ახალი მასალებით ლაზურში ასევე მარტივი ზმნური ფუძე აღმოჩნდა, რაც მხოლოდ -ულ სუფიქსით არის გართულებული. ამდენად, ლაზ. წურ- : სვან. წურ-/წურ-ფუძე-ენაში დამოუკიდებელ ძირად *წურ- პროტოტიპს აღგვადგენინებს.

ს.-ქართვ. *წუწულ- „წიწილი“

ქართ. (ქსნ.) წუწულ-ა „თაგვის ბარტყი, ან გველის წიწილი“

ზან. (ლაზ.) ჭუჭულ-ი, მეგრ. ჭუჭულ-ი // ჭუჭუ „წიწილა“

სვანური შესატყვისი არ ფიქსირდება. ქართულ-ზანური ფონემური და სემანტიკური მიმართებები კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *წუხ- „წუხება, შეცოდება“

ქართ. წუხ-, წუხ-ილ-ი, წუხ-ს, ა-წუხ-ებ-ს, და-მ-წუხ-რ-ებ-ა

ზან. (ლაზ.) ჭუხ-არ-, ო-ჭუხ-არ-უ „შეცოდება“

ქართულ წუხ- ზმნას ლაზურში ჭუხ- შეეფარდება, ოღონდ, ზანურ შესატყვისში იგი -არ საკუთრივ – ლაზური სუფიქსით არის გართულებული. რაც, ცხადია, სხვა წარმომავლობისაა და არაფერი აქვს საერთო ქართ. და-მ-წუხ-რ-ებ-ა-ში გამოვლენილ -რ-ს თან.

ს.-ქართვ. *ჭამ- „ჭამა“

ქართ. ჭამ-ა, სა-ჭმ-ელ-ი, ჭამ-ებ-ულ-ი, მ-ჭამ-ელ-ი

ზან. (ლაზ.) **ჭკომ**- →// **შკომ**- „ჭამა“, **ო-ჭკომ**-ალ-ე „საჭმელი“, **ჭკომ**-ურ-ა „ღორმუცელა“, მეგრ. **ჭკომ**-/**ჭკუმ**- „ჭამა“, **ო-ჭკომ**-ალ-ი „საჭმელი“, **ჭკომ**-ურ-ი „კიბო (დაავადება)“

სვან. **ჭკემ**-ა-**ჭკემ**-ე „საჭმელს უცებ ჭამს, ხრავს“

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა შენიშნული ჯერ კიდევ მარი ბროსეს მიერ საყოველთაოდ არის გაზიარებული (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი; საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 681). ვფიქრობთ, სვანური (ჩოლურული) **ჭკემ**- ზმნაც აქე უნდა შემოვიდეს, ამ უკანასკნელს ოდნავ განსხვავებული *ჩქარი ჭამის (ხრავს)* შინაარსი უდასტურდება.

ს.-ქართვ. ***ჭერ**-ელ- „ჭრელი“

ქართ. **ჭრელ**-ი, **ჭრელ**-ა-**ჭრ**-ულ-ა

ზან. (მეგრ.) **ჭკარ**-ე „ჭრელი“, **ჭკარ**-**ჭკ**-უნტ-ია „ჭრელა-ჭრულა“, **ჭკარუ**-**ჭკარუ** „ჭრელ-ჭრელი“

ქართულ **ჭრელ**- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჭკარუ**, ეს უკანასკნელი ქართულისთვის ორმარცვლიან ფორმას გვაგარაუდებინებს. ისტორიული ფუძის რედუქციკაცია ორივე ენობრივ ერთეულშია სავარაუდო.

ს.-ქართვ. ***ჭიდ**- „ამოჭრა/ამოკვეთა, ჭრა“

ქართ. **ჭდ**-ევ-ა „ხეზე ამოჭრა, ამოკვეთა“, **ჭდ**-ე „ხეზე ამოჭრილი ნიშანი“, ნა-**ჭდ**-ევ-ი

ზან. (ლაზ.) **ო-ჭკიდ**-უ „დაჭრა“, **პ-ჭკიდ**-ომ „ვჭრი“

აქამდე ცალკე მდგომი ქართულ **ჭდ**- ძირს კანონზომიერ შესატყვისის ვუძებნით ლაზური **ჭკიდ**- ზმნური ძირის სახით – ქართ. **ჭ** : ზან. **ჭკ**- ლაზურში უცვლელად შემონახული ი გახმოვანება საერთო-ქართველურისთვისაც ივარაუდება.

ს.-ქართვ. ***ხაპ**- „სითხის მთლიანი ამოღვრა“

ქართ. **ხაპ**-ვ-ა „მთლიანად ამოღვრა სითხისა“, სა-**ხაპ**-ი

ზან. (მეგრ.) **ო-ხოპ**-ალ-ი//**ო-ხოპ**-ე „სახაპი“

მეგრულში მხოლოდ მიმდებარე წარმომავლობის სახელებია ფიქსირებული, ზმნური ფუძეები არ ჩანს, მაგრამ მისი არსებობა ივარაუდება. სხვა მხრივ, **ხაპ**-**ხოპ**- კანონზომიერ მიმართებებს აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ხეჲ- „გახვეება, ნაღვლობა“

ქართ. ხევ-, გა-ხევ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) ხარ-, გო-ხარ-უ-ა „ნაღვლობა“

ხევ- ძირს ქართულში *გაშეშების, გამაგრების* მნიშვნელობები უდასტურდება, რასაც თან ახლავს ნიუანსური ელფერი შინაგანი სულიერი მდგომარეობისა, როცა ზმნა ადამიანებს მიემართება. სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი არის ხაზგასმული მეგრულ *ნაღვლობაში*.

ფორმალურად **ხევ-/ხარ-** ზმნურ ოპოზიციას წინააღმდეგობა არ ახლავს, რაზეც ომონიმური **ხევ-ა/ხარ-უ-ა** „გამოფატვრა“ სიტყვაც მეტყველებს.

ს.-ქართვ. *ხუართელ- „ხვართელა“

ქართ. ხვართელ-ა//ხუართელ-ა (საბა), „მრავალწლოვანი სარეველა ბალახი“

ზან. (მეგრ.) ხურთქ-ი →// ხურთ-ი „ხვართელა“

ფორმალურ მიმართებათა კანონზომიერება და სემანტიკური იდენტურობა აქ ეჭვს არ იწვევს, თუმცა ახსნას ითხოვს ბოლოკიდური **ლ** სონორის გაუჩინარება მეგრულში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში **ლ-ს** დაკარგვა ეფუძნება კონსონანტი + სონანტი თანხმოვნური ჯგუფების არაკანონიკურობას ზანურში, რაც ჩვენს შემთხვევაში რეალიზებულია **ქლ** ჯგუფის გამარტივებით – *ხურთქლ-ი → ხურთქ-ი.

ს.-ქართვ. *ხიმ- „სარი; პალო“

ქართ. ხიმ-ი „მორების ჯებირი“, ა-ხიმ-ვ-ა „მორებით შემოღობვა“, დიალ. ხიმ-ე „მოკლე სარი“

ზან. ხიმ-ინჯ-ი „მოკლე სარი“

ცხადია, ქართული **ხიმინჯ-**ი ზანიზმად უნდა იქნეს კვალიფიცირებული. რაც შეეხება ფუძეთა სუფიქსაციას, აქ ქართ. (დიალ.) -ე : ზან. -ინჯ მიმართება მხოლოდ ფუნქციური ჩანს.

ს.-ქართვ. *ხორ- „გროვა; შეკრული; კრებული“

ქართ. ხორ-, ხორ-ა „გროვა“

ზან. (ლაზ.) ხურ-, ხურ-ელ-ი „შეკრული, შეგროვილი“

სვან. ხორ-, ხორ-ეჲ (ზს.), ხორ-აჲ, ხორ-აჲ (უშგ., ლენტ.) „გროვა; კრებული“

მეგრულ დიალექტში სათანადო ძირის სიტყვა დაკარგული ჩანს, ხოლო ლაზური **ხურ-ელ-ი**, რომელიც სავარაუდოდ **ო-ხურ-უ** ზმნის მიმღობაა, კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ-სვანურ **ხორ-** ფორმას.

ს.-ქართვ. ***ხოსთ-ელ-** „რანდა, გარანდვა“

ქართ. **ხოსტელ-ი** „რანდა“

ზან. (მეგრ.) **ხუმთარ-ი//ხვიშთარ-ი** „რანდა, დურგლის ხელსაწყო“, **ხუმთარ-უ-ა** „გარანდვა“, **ხუმთარ-ელ-ი** „გარანდული“

როგორც ზანური მონაცემები აჩვენებს, **სთ→სტ** ქართულში განხორციელდა, თორემ ნებისმიერი **სტ/შტ** მეგრულში გამარტივდებოდა, შდრ. **შტერ-ი** → **შერ-ი**, **პალიასტომ-ი** → **პალიასონ-ი...**

ს.-ქართვ. ***ხუზ-ალ-** „მსხვილმარცვლიანი უფხო პური“

ქართ. (რაჭ.) **ხუზალ-ა** „უფხო პური“

ზან. (მეგრ.) **ხოზო** „მსხვილმარცვლიანი უფხო პური“

მეგრულ-რაჭულ ფუძეთა ფორმალური ანალიზი ამოწმებს, რომ ფუძე-ენაში **ხუზ-ალ-** სახეობის არქექტიპი იყო პოვნიერი. ქვემოთმეორული **ხოზო** კი ზანიზმად გვესახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაევი 1973, II – Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. II, Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.).

თანდილავა 2013–თანდილავაა., ლაზურილექსიკონი (ლაზურინენაფუნა), თბილისი.

კლიმოვი 1964 – Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964

კლიმოვი 1985 – Климов Г. А., Дополнения к этимологическому словарю картвельских языков. II. – "Этимология-1983".

სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 – Starostin S. A., Nikolaev S. I., A North Caucasian Etymological Dictionary, Moscow.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ფენრიხიძე., სარჯველაძეზ., ქართველურენათაეტიმოლოგიურილექსიკონი (II შევს. დაგადამ. გამოცემა), თბილისი.

ქობალია 2010 – ქობალია., მეგრულილექსიკონი, თბილისი.

შაგიროვი 1977, I – Шаги́ров А. К., Этимологический словарь адыгских (черкесских) языков (А-Н); М., "Наука" (АН СССР ИЯ).

შმიდტი 1962– Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.

ჩიქობავა 1938 – ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი

ჩუხუა 2000-2003 – ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2008 – ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

Merab Chukhua
New Materials for the Georgian
Historical-Etymological Dictionary

Summary

The author continues to find more stems and roots in closely related Kartvelian languages and dialects. That is why the paper deals with reconstructing the archetypes having the Proto Kartvelian origin and presents such units from the basic lexical fund of the protolanguage as natesavi “relative”; γvizli “liver”, šigani “entrails”, dvriṭa “rennet”; ḳasri “barrel” geḟa “gawn”; biḟi “pitch”, brḟeni “console”; marḟosuli “lonely”, ukoneli “lack-all”; qru “deaf”, ugrḟnobi “numb”, giḟi “mad”; mḳa “mowing”; vazis ḟiḟi “the variety of grape”; zegani “plateau”, borcvi “hill”, kedi “mountain chain”; mediduroba “haughtiness”, gaxeleba “conniption”; ḳeḳra “berry”; ḳvimaṭi “evil”, ḳirḳiṭa “carper”, etc.

წინეული ჟონეწილიქი

ზოგო ომონიმიწი ისტორიქი

(1. ლელი; 2. მრეწეწილი; 3. ნარი; 4. ნარი; 5. ნარდი;
6. ნუში; 7. სანდელი)

ქართულ ენაში ომონიმიწი გაცენა სინქრონიულად ნაკლებად დამახასიათებელია. მას ძირითადად განაპირობებს სხვადასხვა პერიოდის ლექსიკური ერთეულები, ანდა დიალექტური მასალა. ომონიმიური ცალები გამოყენების სიხშირით ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთი უფრო აქტიურია და მეორე – პასიური, რაც ნათლად ჩანს სამწერლო ძეგლების მიხედვითაც. ამჯერად შევეცდებით წარმოვადგინოთ შემდეგი ომონიმიწი ისტორიქი:

ლელი-ი:

ძვ., ახ. ქართ., დიალექტ. **I. ლელი** შავფაფარა 2. წვრილი შავი ლერწამი ფართო და გრძელი ფურცლოვანი – დ. ჩუბ. მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარე (მარცვლოვანთა ოჯახისა). რომელსაც მაღალი წვრილი ღერო და წვერზე მსხვილი საგველა აქვს, გავრცელებულია მეტწილად ჭაობისა და მდინარის პირებზე – ქველ.

ლელი juncus, pratum, carectum: „ქუეშე თითოფერთა ხეთა დაწვს ჭილსა თანა, ლერწამსა და ლელსა“ (M, იობ. 40, 16).

მოლამ ღორის ქაშანზე დიდი ორმო ჩათხარა და ლელი წაჰბურა – საბა. ჭყანტობი დაფენილია ლელით, ბუერით, ჯორისკუდათი (ვ. ბარნ.). შენთვის ვასუქე ირმები, ვამოვე ლელი, ქუჩია (ვაჟა). წალდიც ლელში ჩაიკარგა (გ. ლეონ.).

ლელი ბოსტნის სარეველა მცენარე ერთგვარი. ხახვსა ან თუ სხვა რამ ბოძტნელსა წმინდა ბალახი რო შეერევა და დაიტანს, იმასაც ლელს ეძახიან (წილკ). ნეტა რა გაუბედურებულეებია, ქაა, ხახვები, მუხლამდინ ლელში იდგა, აღარც კი ეტყობა, რო იქა ხახვი მდგარა (წილკ., ქართლ. ლექსიკ.). ლელი წვრილი ლერწამი (მისგან სტვირს აკეთებენ) (ჯავახ. მარტირ.).

*ლელ- ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდის ფუძეა. ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა გ. როგავამ (როგავა 1945,231).

გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღად-

გინა*ლელ- და *ლელ-წემ- არქექტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ. ქართ. II. **ლელი** სწორი, არა-ხუჭუჭი (თმა): „უკუეთუ მართლ განვიდის (ორთქლი), არნ თმაჲ იგი მწუჭჳ და ლელ“ (გრ. ნოს. კაც. აგებ. 229, 2).

და უკუეთუ ქცეულთა ორთქლთა აღიყვანებდეს გულარძნილთა და მიმოდრევილთა ნესტუთაგან თავისა მიმართ, გრუზთა და ლულარჭნილთა თმათა აღმოაცენებს, ხოლო უკუეთუ თმათა აღმომაცენებელნი იგი ორთქლნი მართლ და წრფელად აღვიდოდინან – *ლელოთა* და განმარტებელთა თმათა წარმოაჩენენ (საქართ. მუზ. ხელნაწ. A-55, 2400).

ჰშვენის აკრვა *ლელსა* (ვეფხ. 1420, 30).

ი. აბულაძეს კონტექსტის შესწავლის შედეგად დადგენილი აქვს *ლელი* რომ მიემართება თმას და აღნიშნავს ისეთს, რომელიც ხუჭუჭი კი არაა, არამედ სწორი და ვარაუდობს, რომ იგი შესაძლებელი მომდინარეობდეს სომხური სწორი, კარგი თმის აღმნიშვნელი სიტყვისაგან. განსხვავებას ქმნის უ, რომელიც დაკარგულია ე. ი. ძვ. (სომხ.) ულილი // ულელ ქართ. ლელი. ეტიმოლოგია უცნობია (აბულაძე II, 318).

მროწეულ-ი:

ძველ ქართულში *malum punikum*-ის და *punika granatum*-ის აღსანიშნავად გვხვდება ფონეტიკური ვარიანტები: მრეწეული, მროწეული, ბროწეული.

ძვ. ქართ. I. **მროწეული** ბროწეული: *მროწეული* და დანაკის-კუდი და ვაშლი და ყოველი ხჭ ველისაჲ განჯმა (იოვ. 1, 12). ჯდა... ხესა ქუეშე *მროწეულსა* (I მფ. 14, 2). ვითარცა ნაქურცენი *ბროწეულისაჲ* (*მროწეულისაჲ*) საკეთენი შენნი (M, ქებ. 6, 6). უჩუენეს ნაყოფი მისი *მრეწეული* და ტევანი იყო ყურძნისაჲ (შატბ. 127v, 2-3). გამოართუა ბერსა მალაკი, რომელსა შინა იდვა ჩამიჩი და ბროწეული, არცა წყალი არს სასუმლად (რიცხ. 20, 5).

მროწეულოვანი ბროწეულიანი. ქუეყანაჲ ლელოვანი და ვენაჯო-ანი და *მროწეულოანი*, ქუეყანაჲ ზეთისხილოანი (კალ. ლექც. 24,4-7b). **მროწეულაკი** ბროწეული მცირე: „ქმნა *მროწეულაკები* ასი და მოასხა გარდამოკიდებულთა მათ“ (M, II, ნშტ. 3, 16). **ბროწეულოვანი:** ქუეყანასა... ვენაჯოვანსა და ლელოვანსა და *ბროწეულოვანსა* (M, II, შჯ. 8, 8).

სამეცნიერო ლიტერატურაში ბროწეული საერთო ქართველურ ფუძედაა მიჩნეული (ჩიქობავა 1938, 125).

ირ. ქერქაძე საბაზე დაყრდნობით შემდეგს აღნიშნავს: **მროწე-ულ-** ფუძე ძველ ტექსტებში ზოგჯერ ბროწეულის მნიშვნელობით იხმარება. ეს, ცხადია, შეცდომაა. ამის თაობაზე საბასთან ვკითხულობთ: „ვიეთთა ბროწეული მროწეულად აღუწერიათ, არამედ ხილსა არა ეწოდების მროწეული, არამედ ბროწეული: მაგ., და იყო ყოველი *მროწეულე*ბი ას კანკელსა მას ზედა (იერ. 52, 33). და საულ ჯდა ბორცუსა მას ზედა ხესა ქუეშე *მროწეულსა მაგდოს* (მფ. I, 14, 2).

ირ. ქერქაძეს ეს ადგილები შეუდარებია ბერძნულ ბიბლიასთან და ასკვნის, რომ ეს არის სწორედ ბროწეული მნიშვნელობით: 1. ხეხილი; 2. ამავე ხეხილის ნაყოფი (ქერქაძე 1974, 13).

საფიქრებელია, რომ **მროწეული** // **მრეწეულ** სიტყვები ძველ ქართულში დიალექტიზმებია. იმის გამო, რომ არ მოგვეპოვება ქართული ენის დიალექტთა ადრეული ჩანაწერები, დღეს თითქმის შეუძლებელია მტკიცება, თუ რომელი დიალექტის (თუ დიალექტთა წრის) კუთვნილება უნდა იყოს სალიტერატურო ენის ძეგლებში გამოვლენილი ესა თუ ის ფორმა (სარჯველაძე 1984, 110).

ძვ. ქართ. **II. მროწეული, მროწლე** ნახირი. „კურთხეულ იყვნენ... *მროწეულნი* ზროხათა შენთანი და სამწყსონი ცხოვართა შენთანი (M, II, შჯ. 28, 4). „წარმოსტყუენვიდეს ცხოვარსა და *მროწეულსა* მათსა“ (O, I, მფ. 27, 9). „ტიროდეს *მროწეულნი* ზროხათანი, რამეთუ არა იყო სამოვარი მათა“ (O, იოვ. 1, 18). რამეთუ არღარა ქუეყანისა მოცემად აღგვთქუა, გამომცენარისა სძისა და თაფლისაჲ, არცა... სამწყსონი ცხოვართანი და *მროწეულე*ბაჲ ზროხათაჲ, ანუ-არვებ თხათაჲ (Ler = 12 218v, 8-10). *მროწლად* მირბიოდა იგი და მოიბნა მ`რ ორნი ზუარაკნი (ტობია, 7, 5).

გვხვდება **მროწლე** სიტყვიდან ნაწარმოები ახალი ლექსემებიც. **სამროწლე** „სამწყსო ვარი“, «მროწეული». „ვერძნი უბიწონი *სამროწლისაგან* და ცხოვართაგან და თხათაგან“ G – „უბიწოდ ვერძი სამწყსოდაჯართა ცხოვართაგან და თხათაგან“ (pb., ლევიტ. 22, 19). „აკურთხეს... ზროხანი *სამროწლისა* შენისანი და არვები ცხოვართა შენთა“ (M, II შჯ. 7, 13).

საშ. ქართ. **მროწლე**: წარავლინნა სპანი მცირენი, რათა წარმოი-

ღონ *მროწლენი* ტფილისისანი (ქ. ცხ. IV, 413, 15).

როგორც ირ. ქერქაძე შენიშნავს ძველ ქართულში **მროწლედან** ნაწარმოები **მემროწლე** სიტყვაც გვხვდება მენახირის, მწყემსის მნიშვნელობით (ქერქაძე 1974). ყრმანი *მემროწლენი*, განპებასა შინა ორნატოსა, თამარის ქებასა მელექსეობდიან (ქ. ცხ. II, 354, 22).

ყრმანი *მემროწლენი*, განპებასა შინა ორნატოსა გაუსია მეფემან სვმონ მცირე ჯარი და დაატაცებინა *მროწელენი*, და რა იხილნეს *მემროწლეთ*, ივლტოდენ (ქ. ცხ. IV, 373, 24).

სამროწლე ნახირის ბინა. დაიპყრეს და ყვეს წმინდანი მონასტერნი *სამროწლედ* და ცხოვართა სადგურად (ქ. ცხ. II, 427, 20).

აღნიშნული სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: **მროწელ/მროწლე** ფუძეთა არსებობა უფლებას გვაძლევს გამოვყოთ -ეულ – ევულ სუფიქსი (ჩიქობავა 1942, 45).

მროწელ და **მროწლე** სიტყვათა წარმომავლობის შესახებ ჩვენი ვარაუდი შემდეგში მდგომარეობს. ამ სიტყვებისათვის ამოსავალი უნდა იყოს „სიმდიდრის, მოგების, შეძენის“ მნიშვნელობის **რეწ-** ფუძე. რეწ- ფუძისაგან ნაწარმოები ლექსემები ფართოდაა გავრცელებული როგორც ძველ ისე ახალ ქართულში. მაგ. **მორეწე**, **მორეწული**, **მროწელი**.

ძვ. ქართ. **მორეწე** ძველ ქართულში „მუშაკის, დაქირავებულის, „მოქმედის“, „სასყიდლით დადგინებულის“, შოვნის შინაარსით იხმარება.

შემრაცხე მე ვითარცა ერთი *მორეწეთა* შენთაგანი C – მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი (DE, ლ. 15,19). რავდენტა *მორეწეთა* მამისა ჩემისათა გარდაერევის პური და, მე აქა სიყმილითა წარვწყმდები C – რაოდენტა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური და მე აქა სიყმილითა წავრწყმდები (DE, ლ. 15, 17).

ძვ. ქართ. მორეწეს სინონიმად ძველ ქართულში იხმარება **მროწელი** «მორეწე».

მორეწენი (**მროწელენი** O) მისნი, ვითარცა ზუარაკნი, მართებულნი მუნ შინა (I იერემ. 46, 21).

მორეწე და **მროწელი** სხვადასხვა დიალექტური წრის მიხედვით გარჩეული მიმღეობური ფორმებია. ე // ო მონაცვლეობა ცნობილია მაგ. ტკეჩი // ტკოჩი.

მროწელის „სასყიდლით დადგინებულის“, „მოქმედის“ მნიშვნელობის ცვლით უნდა მიგველო „ნახირის“ შინაარსი. **მროწლე** მიმდებარე უნდა იყოს. *მროწლე* „მსხვილფეხა საქონელი ერთიდან სამ წლამდის, ნახირი“ დადასტურებულია ქართულურში (ალ. ლ.). იგი შესაძლებელია რედუქციით მომდინარეობდეს **მროწელი** ფორმისაგან. ამ უკანასკნელზე მიგვითითა ალ. ჭინჭარაულმა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ს.-ქართვ. *მ-როწლ-ე „ნახირი, საქონელი“ > ქართ. მროწლ-ე: სვან. ბრუჟ „ბერწი“ < ბროჟ < *მროჟლ- (ჩუხუა 2000-2003).

ნარ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნარი** ქართული ანბანის მეცამეტე ასოს სახელწოდება.

ნარი აღიღვეთ ცოდნიდან და ვინი დართევით (ი. ბაგრ. 601, ქვ. 4).

საშ. ქართ. **II. ნარი** (სპარ.) მამალი, მამრი. სცემდეს ბუკსა და ტაბლასკა, ყვიროდეს, ვითა *ნარები* (შჰნ. I, 477, 4). კარს მიუღვენეთ აქლემი, ტანად მოდიდო *ნარიო* (ს. თან. 138).

გადატ. აღნიშნავს მამაც, უშიშარ ადამიანს. „ერთი მათგანი წინ მოვა უშიშრად, მსგავსად *ნარისად* (ს. თან. 138).

როგორც გამოკვლეულია: „სპარსული ნარი – ზოგადად „მამალი, ხვადი აზერბაიჯანულში აღმნიშნავს მამალ აქლემს, მისი ჯიშის დამოუკიდებლად“ ... ზემოდასახელებულ ძეგლებში გამოვლენილი ნარი მამალი აქლემის მნიშვნელობით, საჩინოს ხდის ქართულის ერთ ნაკადში აზერბაიჯანულის ნასესხობას. ხოლო ნარა უცილობლად მომდინარეობს სპარსულიდან, რადგან ამ ძეგლებში ნახმარია ხვადის, მამალი ცხოველის მნიშვნელობით (დარსაველიძე 1984, 80.)

საშ. ქართ. **III. ნარი** ერთი გვარი ეკალი არის (თ. ბაგრატი.). „მი-თხრა: «ვაჰად ამოგიღე, არ გასვია გულსა *ნარი* (ვეფხ. 393, 3). ვარდი, ზამბახი, ნარგისი, სურნელად მასთან *ნარია* ნ.ციც.1672, 4). თქვეს: „ჟამად გვაქვს ვარდთა კრეფა, რად ვამოყვსოთ ხელი ნართა! (თეიმ. I, 55, 57, 2).

დიალექტ. ფუტკარს უყვარს *ნარი* ეკლისა (ზ. ქართლ. მრეწ. IV, II, 22).**ნარი: ნარი ძოვას** თავში ქვა იხალოს. ვისაც ეწყინოს მართალი, იჯავრას, ძოვას ნარია (ხევს. ჭინჭ.).

დიალექტ. **IV. ნარი** შიგნით, ოთახის კედელზე მიმაგრებული რამდენიმე ადგილიანი ფიცრის საწოლი (მოხ. ლუდ.). ყიზლარჩი, სუყელას ბინაჩი, *ნარები* იყო თანითანა და იმაზე ვიწვითვე მწყემსები კალმახებივით ჩაწყობილები (მოხ. ლუდ.). **ნარი** ფიცრის საწოლი „გრძელი ტახტი (სინ. პანდარი). „როცა დევი იწვა, *ნარის* ძირჩი შაძრო და ძირით სადგისი შაშჩხირა“ (მოხ. ქავთ.).

V. ნარი (თურქ.-სპარს. ნარ) იხ. ბერწეული ზან. (ლაზ. თანდ.).

ძვ. ქართ. **VI. ნარი**: ვიეთნიმე თვნიერ *ნარისა* აღმოიკითხვენ, ვითარმედ: „აწ ვცან“ და იტყვან, ვითარმედ უფალი იტყვს: „აწ ვცანო მე“, გარნა არა აქუს ამას სიტყუად, რამეთუ *ნარისა* თანა ჯერ-არს აღმოკითხვად: „აწ ცნესო მოწაფეთა ჩემთა“ (A-52 125r-125v).

ნარა:

საშ. ქართ. **I. ნარა**. იხ. II. ნარი. ერთ *ნარა* დევს უბრძანა (შჰნ. III, 349, 20). მხეცნი დაფრთხეს და მიმართეს, მუნ იყვნეს მისვე არისა, მაჯნული ფეხზე წამოდგა, ყივილი ესმა *ნარისა* (თეიმ. I, 59, 76, 3).

საშ. ქართ. **II. ნარა** ყიჟინა. ხმა, მეომართა გამოწვევისა – დ. ჩუბ. სპილომ რა ამ *ნარის* ხმა გაიგონა, დიდათ განცვიფრებული აქეთ-იქით ყურება დაიწყო (შჰნ. III, 311, 33).

ნარ-ხვადი, მამალი ცხოველი, ნარა – ყვირილი, ღრიალი, ტირილი წარმოადგენენ ჰეტეროგენულ ომონიმებს. ისინი სხვადასხვა წარმოშობისა არიან. პირველი მათგანი სპარსული სიტყვაა, იგი ქართულში უცვლელად გადმოვიდა. ერთის მხრივ, სპარსული და, მეორეს მხრივ, აზერბაიჯანული ენებიდან, ხოლო მეორე არაბული წარმოშობის ლექსემაა, მაგრამ ქართულში სპარსულის მეშვეობით დამკვიდრდა (დარსაველიძე 1984, 88).

საშ. ქართ. დიალექტ. **III. ნარა** იხ. III. ნარი. ეკალნი დამხვდეს მუნ, ნარა (თეიმ. I, 149, 9, 4). **მთის-ნარა** მცენარეა ერთგვარი – (ხევს. ჭინჭ.). **ნარაი** მცენარის ძირკვი (მოხ. ქავთ.).

ნარდ-ი:

საშ., ახ. ქართ. **I. ნარდი**[*Nardostaxhus Jatamasi*] ბოტან. სურნელოვანიმცენარეკატაბალახასებრთაოჯახისა. ნასრანისპირსნარდითმობს, მასთანშრომანიდაიზრო (ქილ. 483, 3).

ნარგიზო, შრომანო, *ნარდო*, სუმბულო... რატომარირხევითსურნელისრხევით? (კ. მაყ.).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. ნარდიონი**, «ნარდი», «ლარდიონი»: *nardus*,

oleum nardeum: სუნნელიზეთინარდისაგან. აქუნდაშიშითანელსაცხებელინარდიონაბატიოსანი“ C – აქუნდაალაბასტრითანელსაცხებელინარდისა სარწმუნოდა (DE, მრ. 14, 3).

შენიმტურისაცხებლადთუალთამქონდაჩემდანარდად (ქილ. 247, 30).

საშ., ახ. ქართ. **ნარდიონი** // **ნარდოვანი**: მისსანარდიონთაცხებლისაგანდაჭნობაგამოაჩნდა (ქილ. 755, 10). ყრჩისცა-რაზარინ-ნარდიონ-ალოდ (ბეს. 51, 4).

ნარდოვანიძვ. ნარდისსურნელოვანიზეთი – ქეგლ.

1. **ნარდი**, **ნარდიონის**პარს. სურნელიყვავილი; თათარ. სუმბული, ლათ. ნარდუსსპიცა – დ. ჩუბ.

2. **ნარდი** მომდინარეობს ძვ. ბერძნ. ნარდოს νάρσις-იდან (მ. ივანიშვილი).

3. ს.-ქართვ. *ვარდ- „ყვავილი; სუმბული“ >ქართ.ნარდი, ვარდი: ზან. ნორდი (ჩუხუა 2000-2003).

ძვ., საშ. ქართ. **III. ნარდი** (სპარს.) სამორინო სამღერელი კამათლებით – დ. ჩუბ. საწუთრო და შენ ბრუნავ, ვითა *ნარდისა* მღერისა ჟამსა კაბათენი (ვისრ. 9, 10). ვითა მღერა *ნარდისა* (ვეფხ. 82, 1). იყოს... *ნარდისა* და ჭადრაკის მომღერალი (ეტლ. 8, 45). „*ნარდზედ* ზმეები,... რომელ არი ესენი: *ნარდი*, ფიცარი, კარი, კაცი, კამათელი, ხასილი, ბაღლუ, დავი“ (ბეს. 113). ამაზე ხელმწიფემ ნარდი ბძანა. დაიწყეს *ნარდისა* მღერა (რუსუდ. 250, 10). ერისთავი... ნარდს შეეცქეოდა (ქ. ცხ. II, 439, 3).

აზიური თამაშობის გვარი და ჩვენც რომ ვთამაშობთ ქალაღდს, თუ სხვას რასმე სათამაშოს, არიან შემდგომნი ესე:... ხოლო კამათლით სათამაშოთ: 1. **პატარა ნარდი**; 2) **დიდი ნარდი**; 3) **უკვდავი ნარდი** ანუ შარსი... (კალმას. 214, 14).

მენარდეი კამათლით მოთამაშე. ნებეირობასა მისცემს ეპისკოპოსთა მხედველთა სინანულსა მოყუასთა *მენარდეთასა*, ანუ სახედველთათვს მისრულთასა (დ. სჯ. 184, 33). **მენარდეობა**კამათლით თამაში. შუებად აქა *მენარდეობა*, მეჭადრაგეობა და *მენარდებათა* ბრძანებენ წმიდათა მოციქულთა კანონნი (დ. სჯ. 221).

ახ. ქართ. **ნარდი** ერთგვარი სათამაშო – შედგება ბრტყელი და მოგრძო გადასახსნელი ყუთისაგან, წყვილი კამათლისა დ 30 კოჭისაგან (ქვისაგან). ერთხელ ხელმწიფემ დაიბარა სოვდაგარი თავისთან,

ნარდი უნდა მეთამაშო (ზღაპ.). ყავის შემდეგ მოგვიტანეს ნარდი და ზანქო (ეკ. გაბ.).

ზან. **ნარდი** ნარდი. ქიპაფათ აკა ნარდი „ვითამაშოთ ერთი ნარდი“ (მეგრ. ელ.).

სპარს., არაბ. **ნარდ** – „სათამაშო ქვები, ნარდი“ (ანდრონიკაშვილი II, 1996).

საშ., ახ. ქართ. **III. ნარდი: ნარდად:** იგი... იღებდა ქუეყანათა ნარდად და ამით მოირჭვაცა ფრიად (ქ. ცხ. IV, 508, 13).

ნარდი აღებული სამუშაო, რომლის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით (და არა ამ სამუშაოს შესასრულებლად დახარჯული დროის მიხედვით). სანამ ხვავს არ აიღებენ, კალოს მოშორება როგორ შეიძლება, კალო ნარდას (თ. რა-ზიკ.). **ნარდად** ზმნს. **ნარდი** სამუშაოს წესით. აბა, ბიჭო, დატრიალდი, გააცურე ხელი მარდად. გავათაოთ ეს გაზეთი, აგვიღია სქემ ნარდად! (ი. ევდ.). || ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად. ნათლად მოაგონდა [გოგიელას], რომ ეზოში ჩამოიყვანა ნახშირის ნარდად მყიდველი (ნ. ლორთქ.).

დიალექტ. **ნარდი** ზედმეტი. ეს ცხენი სხვა სოფლის კაც გაუცვალა და ზედ ნარდი წაართვა (ჯავახ. მარტირ).

ნარდბაზრობა ნარდბაზრობა – „ამ სიტყვას ხმარობენ ვაჭრები. თუ მყიდველმა უნიხროდ მოითხოვა საქონელი ან ცოტა შეამლია ვაჭარს და ვერ მორიგდნენ ვაჭრობაში, მაშინ ვაჭარი ეუბნება: მაგ ფასად მოგცე, რა ნარდბაზრობა ხომ არ არისო“ (ი. გრიშ.). ჩვენი აზრით, ნარდი ბ ა ზ რ ო ბ ი ს ნაცვლად უნდა იყოს ნარდი ბ ა - ზ ო ბ ა, აი, რატომ: სპარსულ ენაში არის რთული სიტყვა – [nardbâzi] მნიშვნელობით – ნარდის თამაში, რომელიც შედგება სამი ელემენტისგან – [nard] – ნარდი, [bâz] – bâxtan] – „თამაში“, „წაგება“ ზმნის აწმყო დროის 4I – აბსტრაქტულობის მაწარმოებელი სუფიქსი. ეტყობა, კომპოზიტის მეორე ელემენტის – [bâz]-ის ბგერობრივმა სი-ახლოვემ ბაზარ-თან გამოიწვია თხზული სიტყვის სემანტიკური გადააზრება და nardbâzi] – ნარდბაზობა (ნარდის თამაში) ნარდბაზრობად (ნარდის ბაზრობა) იქცა (ბართაია 2010).

დიალექტ. **V. ნარდი** ქორი ან მიმინო ერთ წლამდე (გურ. შარამ.). ნარდი < მარდი. ?

ნუში:

ძვ., სამ. ქართ. I. **ნუში** amygdalum: ყუაოდის *ნუში* (ეკლ. 12, 5). მისთვის გაამზევენ ბროლ-ლალს შორის ფრცქვნილნი *ნუშნი* (ნ. ციცი. 652, 1352, 3). *ნუშნი* გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრის წნელითა (ვეფხ. 1280, 2). იმავე დღეს რომე ესე შეასვა ერთი უკია ნუშის ზეთი შესვი (ქანან. 7, 38). აიღე... უსხური და უფხაური *ნუშის* გული და მური (ქანან. 296, 36). სიმრავლემან ზეთის ხილის ხეთა ბროწეულთა, *ნუშთა*... მიიმსჭვალა სახედველნი ჩვენნი (გ. ავალ. 773, ქვ. 8).

ნუშის ზეთი: შირლიდინის ზეთი, ანუ *ნუშის* ზეთი, და თუ იყოს ზეთის ხილის ზეთი ყუელასა სჯობს (იადიგ. 121, 1).

ახ. ქართ. ნუში [Amgdalus communis] 1. საშუალო ტანის ხე ვარდისებრთა ოჯახისა; იხსამს ლენჯო გადაკრულ ნაჭუჭიან ნაყოფს; ნაყოფი (თესლი) მოტკბოა და გემრიელი; იხმარება საკონდიტრო წარმოებასა და მედიცინაში. ბალი, ვაშლი, მსხალი, *ნუში*, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილითა (ი. გოგებ.). 2. ამ ხის ნაყოფი. ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის (ილია).

ნუში გვხვდება, როგორც ტერმინი ქარგვასა და ქსოვამი. მაგ.:

ნუშის გული ნუშისნაირი ჭრელის სახეა: ხშირად რომბის ან კვერცხის სახეს იღებს (ქიზ. მენთ.). საბნების შეკერვა ვიცოდით *ნუშისგულათა* (სად.). გოზინაყს გავაკეთებდით ხომე; *ნუშისგულათა* დავეჭრიდით (არად.) (ქართლ. მესხ.). მე კაბა მქონდა ქიშმირისა, *ნუშის გული* ეხატა ზედა (არად.) (ქართლ. ლექსიკ.).

ნუშის გული: დაშჭრი ცომსა *ნუშის გულათა*, რმეში თუ მოხარშამ, აღარაფერი უნდა (ძეგ.) (ქართლ. ლექსიკ.).

ნუშის დაბატვა „ნუში იბატებაო“, ამბობენ გაზაფხულობით, როცა *ნუშის კვირტი* სკდება და კვირტიდან სიმინდის დახალულ ბატილასავით მოთეთრო-მოვარდისფრო ყვავილის ნისკარტი გამოხედავს (თვალად. შატბ.).

ივარაუდება, რომ ნუში სომხური წარმომავლობის სიტყვაა შდრ. (სომხ.) նուշ ნუში.

ძვ. ქართ. II. **ნუში** «ყველი», კვერეული; ახალი ყველი ან გაწურული მაწონი. „ათი ესე *ნუში* მიუპყარ ერისთავს ამას“ O, – „ათი ყველი სძისა ამისგან და მიართუ ათასის-თავსა“ (pb., მფ. 17, 18).

აღდგენილია ს.-ქართვ. *ნუმ-ა „ხაჰო, ყველი“. ძვ. ქართ ნუმ-ი/ნუმ-ა. პოვნეირია მხოლოდ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში. ახალი ქართული და მისი მრავალრიცხოვანი დიალექტები, ქართველური ენა-კილოები ამ ძირის შესაბამის ფორმებს არ იცნობს. სხვა მხრივ, ძირი თითქმის ყველა იბ.-კავკ. ენაშია გავრცელებული, განსაკუთრებით, დადესტნურ ჯგუფში (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. ნუმი**: თავის სმელობის *ნუმა-ნუმი* იყო (ხოსრ. 65, 26).

დიალექტ. დასტურდება ინგილოურში: ნუმ (აზ. ნუმ= სიამოვნება, სიტკბო; სასიამოვნო, ტკბილი]: თქონზე ნუმ იქნეს! შეგერგოთ, გაამოთ! დალივით, თქონზე ნუმ იქნეს! (ინგ. ღამბ.)

შდრ. (თურქ.) ნუმ ტკბილეულობა, ელექსირი.

საშ. ქართ. **IV. ნუმა (ნუმი)** ნავთ უმცირესი – საბა. და შემდგომ ღუზათა ზედა ნავის დაყენებისა მისცურვეს *ნუმათი* ჩანახ-კალას რეიზმან კონსტანტინე და თათარმან მაჰმად (კალმას. 650, 2). ამავე ფუძის წარმოება ჩანს სინტაგმა **ნუმურა ფიცარი** ტივის ხიდან ჩამონახერხი გვერდის ხორკლიანი ფიცარი (ი. გრიშ.).

ნუმას ლექსიკურ-ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყოს მეგრული ნიში || ნუმ „ნავი“, როგორც ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოული ნეში მიღებულია ნუმ-ისაგან, სენავ. ნიმ-ი < ნუმ-ი < ნუმ(ა) (როგავა 1962, 56). ნუმ-ა-ს ბოლოკიდური -ა ქართულის დიალექტებში უნდა ჰქონდეს დართული, ალბათ კნინობითობის გასახაზავად, საბას, მიხედვით ნუმა არის ნავების სახეობებში ყველაზე მცირე. ზან. ნუმა || ნუმი და ქართ ნავი ერთი და იმავე წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს, ოღონდ ნუმა ბერძნული (ναυα „ნავი“) ზეპირი გზით ზანურში შესული სიტყვა ჩანს (როგავა 1988, 58-61).

თ. ბერამის მოსაზრებით, ნიში მეგრულში თავდაპირველად მხოლოდ ერთ ხეში ამოთლილ ნავს აღნიშნავდა, შემდეგ კი მან ყოველგვარი ნავის მნიშვნელობა მიიღო. ერთი ხისაგან გამზადებულ ნავს კი ეშათოლირ ნიში „ამოთლილ ნავი“ ეწოდა. მეგრულშივეა გვხვდება ნავის აღმნიშვნელი ჭალადიდური ნიში. ნიმ- ფუძე დაცულია შემდეგ ფორმებში: ონიშე „ნავისათვის მოსახერხებელი საცურაო

ადგილი“, ნიშონი „ნავსაყუდელი, სანავე ადგილი (ბერაძე 1981, 62).

ნუში დღესაც იხმარება ლაზურში. ივარაუდება, რომ ეს სახელწოდება ლაზურში უნდა მომდინარეობდეს მეგრული ნისორიდან, რაც გობს ნიშნავს (ნარაკიძე 1986, 85; სალია 2003, 31).

სანდალ-ი:

სანდალი მომცრო ნავი – დ. ჩუბ.

ძვ. ქართ. **I. სანდალი** ნავი. უკუეთუ მცირე იგი *სანდალი* დაჰვარდეს, დაღაცათუ ჭირსა შეჰვარდების, გარნა ჯერეთცა ვალს (მ. ცხ. 153v). გარდააგდეს ზღუად მცირე ჭუამალდი, რომელ არს მეორე *სანდალი* (ler=165 198r, 19-22 a).

საშ. ქართ. მას შიგან დადგეს *სანდალი*, მურასა თლილის ქვებითა(ნ. ციგ. 433, 152, 2). ნავები ჳმელად გაიღეს *სანდლისა*, ულპოლველია (შჰნ. II, 4879, 4).

ახ. ქართ. **სანდალი** ძვ. (თურქ. sandal) სანდალ მომცრო ნავი (საბა) (ჰანებს) თავისი საკუთარი ნავები და *სანდლები* აქვთ(ი.გოგებ.). *სანდლებსა* და კანჯოებს ვაჰ,თუ გზა გაუცუდდესა (რ. ერისთ.).

სანდალი ზან. (მეგრ.-ლაზ.) ერთ-ერთ მნიშვნელობით საზღვაო ნავია. სანდალი ნავი. ხვამარდი თეში ვეჩოლუნია, სანდალიშ ხარგახ ვეგმართასიენია: თ. სახოკ. 244 – ხომალდი ისე არ დაიცლებაო, ნავის ტვირთი არ გამოვიდესო (მეგრ. ქაჯ.).

ძვ., საშ., ახ. ქართ. **II. სანდალი** ფეხსაცმელი „შეირტყ სარტყელი და შეისხენ *სანდალნი* შენნი (საქ. მოც. 12, 8). „*სანდალნი* მათნი დაძულებულ და დაბეზულ იყვნეს ფერტთა ზედა მათთა“ (M, ისუ ნ. 9, 5). *სანდალნი* შენნი წარიჰადენ ფერტთაგან შენთა (I, ეს. 20, 2). ძველსავე ქართულში ამავე შინაარსით იხმარება **ცანდალიც**.

საზარელად სახილავი მისსა *სანდლისა* მსგავსა ფერტთა შემოგვღვლაჰნა (ქილ. 880, 31).

სანდალი [ბერძ. sandalion] 1. მსუბუქი საზაფხულო ფეხსაცმელი. 2. ძველს საბერძნეთსა და რომში ხმარებული ფეხსაცმელი; წარმოადგენდა ხის, კორპის ან ტყავის საძირეს, რომელსაც ფეხზე თასმებით იმაგრებდნენ. ქვა მომაწოდეთ, გნებავეთ ჩაქუჩი, სანდალში ლურსმანმა. ამოჰყო თავი (ვ. კანდელ.). [კალენიკეს] ... ეცვა ... იაპონური თასმიანი *სანდლები* (რ. მიშვ.). ეს იყო ცხვირდაჩხვეტილი *სანდლები* (რ. ინან.).

დიალექტ. ქალებმა იცოდენ ასეთივე უქუსლო ფოსტლები „სანდალს“ ვეტყოდით (ლექს. მრეწ. III, I, 235). *სანდალი* – გამოვჭირდით ერთ მთლიან პირს, იმასაც სარჩული უნდა, შემოვაკერებდით გარშემო ქუბას, გაუკეთებდით წინა ენას, ერთნაირი სილამაზე და სიმაგრე ჰქონდა (ქვ.-იმერ. მრეწ. III, 221). „ზავოდში ვკერავდი *სანდალს* და ქეჩის ყელიან წულას“ (გ.-კახ. მრეწ. III,1, 58). [კაცის და ქალის] *სანდალი* ახლაც იციან, ფეხსაცმელს ჰქვია (ზ. სამეგრ. მრეწ. III,1, 244).

საშ. ქართ. **III. სანდალი** სკამი. აგრე ოქროსა *სანდალნი* მოიხუენეს (შჰნ. III, 245, 43).

დიალექტ. **სანდალი** სკამი (სპ. *sändali* სკამი). „ჩონ ეგრე *სანდლები* არა გოჯ რო დაქედითა“ (ფერეიდ. უთურგ., ჩხუბ.).

სანდალიე (თ. სანდალდე) 1. დიდი სკამი, ძელსკამი. „დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვით“ (ბაზგ., შავშ.). გადატ. თანამდებობა. „მაგასა შენზე დიდი *სანდალიე* არ ექნება“ (ინ., ჩვენ. ფუტკ.).

2. **სანდალიე** (თურქ.) სანდალდე მისაწოლი სკამი, ზურგიანი სკამი ზან. (ლაზ. თანდ.).

ძვ., საშ. ქართ. **IV. სანდალი** (არაბ. *sandal*) სურნელი ხე ინდოურ-რი. უკუეთუ ინებოს კაცმან შემზადებდა საკუმეველისა სულნელისა და გუნდრუკითა წმიდითა და *სანდლითა* და ფრჩხილითა (H-622,20r). უდსა, *სანდალსა*, ფუფალსა, ვაშლსა, ბიასა და რასაცა კაი სული უდიოდეს იმას უსუნებდენ (იად. 119, 23). გარე ფანჯრები *სანდლისა* (ნ. ციც. 729, 3). (სახლი) სულ ხითარის *სანდლით* იყო აშენებული (რუსუდ. 209, 23). კუბო შეუკრეს მას ზესა, საკაცე – *სანდალუდისა*, არ გიკვირს მისი სურნელი გლახ სული აღარ უდისა? (თე-იმ. I, 87, 208, 1). მეფეს ეცვნეს მას დღესა რაცა, იყო ყველა სანდლის ფერი (ნ. ციც. 1154, 1).

სანდალი ანალოგიური სემანტიკური დატვირთვის მქონე არაბულ-სპარსული ლექსემა – [სანდალ] (ბართაია 2010, 179).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება // **სანდალოზი** ყვითელი გუმფისის ერთ-ერთი სახეობა; პირი უგავს *სანდაროზსა* როადამის გონებითა (შჰნ. I, 1621, 2).

სანდაროზი // **სანდალოზის ფერი**: ჯავრითა პირი *სანდაროზის ფერად* გაუხდა (შჰნ. II, 373, 14). პირი *სანდალოზის ფერად* გაუხდათ (რუსუდ. 517, 28)

შიდლება ამ სიტყვაში კონტამინირებულია ბერძ. **სანდარაზე** და სპარს. **სანდაროს** (ქაზემი 2008).

საშ. ქართ. **V. სანდალი** საპყრობილე (სპ. ზენდან). ბორკილითა დაჭედეს და იგი *სანდალშიგან* ჩააგდეს (შჰნ. III, 447, 9).

VI. სანდალი (თურან. არაბ.) მაყალი (ადგილობრივი გასათბობი) შუა აზიაში და ახლო აღმოსავლეთში: იდგმებოდა ტაბურეტის ან პატარა მაგიდის ქვეშ; სითბოს შესანარჩუნებლად სანდალის გარშემო ან მის ზემოთ მჯდომარეები ფეხებზე საბნებს იფარებდნენ.

VII. სანდალი სასანთლე (ა. სიხ.). შდრ. შანდალი.

წყარო:

ი. აბულ. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

გ. ავალ. – გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსლიმამდე, გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.

აჭარ. ნოლ. – ნ. ნოლაიძელი, ფეიქრობის დარგობრივი ლექსიკონი (აჭარული მასალა), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა X, ბათუმი, 2008.

აჭარ. ნიჟ. – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

აჭარ. სურმ. – ნ. სურმავა მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბილისი, 1979.

თ. ბაგრატი. – თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960.

ი. ბაგრატი. – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნანა კვიციანი, თბილისი, 1986.

ბეს. – ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1962.

ი. გრიშ. – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

დ. გურამ. – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბილისი, 1980.

გურ. შარამ. – გ. შარამიძე, გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

კ. დან. – კ. დანელია, საქმე მოციქულთა, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) ტ. I, ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა, და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი აურთო კ. დანელიამ, თბილისი, 1997

დ. სჯ. – დიდისჯულის კანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი, თბილისი, 1975.

ეტლ. – ეტლთა და შჯდთა მნათობთათჳს, გამოსცა შანიძემ, თბილისი, 1975.

ვახტ. VI – ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1975.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისადა ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.

ვისრ. – ვისრამიანი, გამოსცეს ალ. გვახარია და მაგ. თოდუამ, თბილისი, 1962

იად. – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1985.

ს. თან. – ს. თანიაშვილი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1941

თეიმ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1934.

თვალად. შატბ. – გ. შატბერაშვილი, თვალადურიქართულისჭაშნიკი, ტ. IV, თბილისი, 1975.

მრეწ. – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის 1976–1989 წწ. ტ. I, 1976; ტ. III, ნაწ. II, 1986.

ინგ. როსტ. – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.

ინგ.ლამბ. – რ. ლამბაშიძე, ქართული ენის ინგილური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

კალმას. – იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ. 8, შემდგენ. ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე თბილისი, 1990, ტ. I, თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.

ლაზ. თანდ. – ა. თანდილაძე, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნ), თბილისი, 2013.

ლაზ. ნარაკ. – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. 5, ბათუმი, 1986.

მეგრ. ყიფშ. – ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка схрестоматиею и словарем, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი, 1994.

მეგრ. ელ. – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალე-ბი), მარტვილი – თბილისი, 1997.

მეგრ. ქაჯ. – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001; ტ. II, 2002; ტ. III, 2000, ტ. IV, (დამატებანი), თბილისი, 2009.

მეგრ. ქობ. – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მოხ. ლუდ. – ი. ლუდუშაური, მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2011

მოხ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

რუსუდ. – რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი,

სამ. – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ თბილისი, Bტ. I, 1963; ტ. II, 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1972; ტ. VII, 1981; ტ. VIII, 1985.

ზ. სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

ფანასკ. – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, გამოსცა ი. შენგელიამ, თბილისი, 1978.

ფერეიდ. უთურგ. დასხვ. – თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნულიტექსტები, იკე, XXIII, თბილისი, 1985.

ფეშ. – ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1935.

ქ. ცხ. – ქართლისცხოვრება, გამოსცას. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები)შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 2006.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქეგლ. ახ. რედ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, II, III. მთავარი რედაქტორი, ავთანდილ არაბული, თბილისი, 2008, 2010, 2015.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

ქილ. – მ. თოდუა, ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბილისი, 1975.

შავშ. – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი შ. მამულაძე და სხვ. რედაქტორი მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

შატბ. – შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979

შჰნ. – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1916; შაჰნამე ტ. II, ისტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ., 1934; აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბილისი, 1974.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ნ. ჩუბ. – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

ნ. ციცი. – ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული მწერლობა, 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

ხევს. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

ხოსრ. – ხოსროვ-ამირ ხოსრო დეჰლევი, ხოსროვ შირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. გიგაშვილმა, თბილისი, 1979

ჯავახ. მარტ. – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე 1976 – ი. აბულაძე, შრომები, II, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966 – მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1996 – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ტ. II, ნაწ. I თბილისი.

ბართაია 2010 – ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის მიხედვით) თბილისი.

ბერაძე 1981 – თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში თბ.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

დარსაველიძე 1984 – ნ. დარსაველიძე, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ომონიმის რამდენიმე შემთხვევა ქართულში. – საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

ივანიშვილი 2014 – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, თბილისი.

კახაძე 1987 – ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბილისი.

მაყაშვილი 1996 – ზ. მაყაშვილი, მცენარეთა სახელდება, თბილისი.

ნადირაძე 2011 – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ე. ნადირაძე; რედ. რ. მეტრეველი; ავტ.-შემდგ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.]. – თბილისი.

ნარაკიძე 1986 – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ისტორიიდან ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.

როგავა 1988 – გ. როგავა, ზოგ ქართველურ დ აინდოევროპულ ფუძეთა ურთიერთობის საკითხისათვის (ნუშა „ნავი“), იკე, XXVII, თბილისი.

სალია 2003 – მ. სალია, ნაოსნობის ლექსიკიდან მეგრულ-ლაზურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის LXII სამეცნიერო სესია, თბ.

სარჯველაძე 1984 – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

სიხარულიძე 2010 – ა. სიხარულიძე, ქართული ენის ომონიმთა ლექსკონი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბილისი.

ქაზემი 2008 – იჰაბ ქაზემი, სპარსულ-არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები ლექსიკის დონეზე «შაჰ-ნამეს» «ზაჰაქის ამბავის» სპარსული და ქართული ტექსტების შეპირისპირების საფუძველზე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის (P3D) ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. თეო ჩხეიძე, პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი (ელექტრონული ვერსია), თბილისი.

ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ- ქართული შე-

დარებითი ლექსიკონი , თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

Nineli Chokhonelidze

On the History of Some Homonyms

1. leli “Phragmites Commusis”; 2. mroḇeuli “Pomegranate”;
3. nari “the Denomination of the Letter N”; 4. nara “Cirsium”;
5. nardi “Backgammon”; 6. nuṣi “Almond”; 7. sandali “Sandal”

Summary

The paper deals with the history of some homonyms based on old, middle and new Georgian and its dialects. They are as follows:

lel-i: I. **leli** “Phragmites commusis” II. **leli** “straight hair”.

mroḇeul-i: Old Geo. I. **mroḇeuli**/**broḇeuli** “pomegranate”. Old Geo. II. **mroḇeuli**, **mroḇle** “cattle”.

nar-i: I. **nari** “the denomination of the letter N”. II. **nari** Pers. “male”. III. **nari** “Cirsium”. IV. **nari** “a wooden bed”.

nara: Middle Geo. I. **narasee** III. **nari**. II. **nara** “male”. III. **nara** “hoots”.

nard-i: I. **nardi** “Hyacinthus”. II. **nardi**– “backgammon”. III. **nardi** “contractor work”. VI. **nardi** “hawk”.

nuṣ-i: I. **nuṣi** “almond”. II. **nuṣi** “cheese”, “flawn”. III. **nuṣi** “sweets”. IV. **nuṣa** (**nuṣi**) “a small boat”.

sandal-i: I. **sandali** “boat”. II. **sandali** [Gr. sandalion] “shoes”. III. **sandali** “chair”. IV. **sandali** (Gr. sandalion) “musk-tree”. V. **sandali** “prison”. VII. **sandali** “grill”.

The paper discusses the points of view about the said terms in the scientific literature and our interpretations on their origins and etymologies.

6060 ხანიაშვილი

პარგან- // არღან- // ორგან- // ორღან- // ორღანო სიტყვების
შროტიპროტიპარტიპისათვის

ვარგანი აზიელ მომთაბარეთა უძველესი მუსიკალური საკრავია, ხომუსის სახელითაცაა ცნობილი ციმბირის ხალხებში, იაკუტი-აში (შამანების ტრადიციული ატრიბუტი). ეს ინსტრუმენტი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში არსებობდა უხსოვარი დროიდან, მას თავდაპირველად ამზადებდნენ ბამბუკისა, ხისა და ძვლისაგან; მოგვიანებით – მეტალისაგან. სხვადასხვა ხალხში მას განსხვავებული ფორმა, ჟღერადობა და სახელებიც სხვადასხვა აქვს: იაპონური „კოუკინი“, აფრიკული „ბამბორო“, ჩინური „კუჩინი“, ინგლისური, ამერიკული Jew's harp, გერმანული, ავსტრიული Maultrommel, რუსული Баран... (იხ. ენციკლ. 2006; ალექსეევი 1988).

„ვარგანი (ლათ. organum, ბერძნ. organon იარაღი, მუსიკალური საკრავი) ენაკიანი თვითმჟღერი მუსიკალური საკრავი. წარმოადგენს ხის, ძელის ან ლითონის ფირფიტას, ანდა ლითონის რკალს, რომელსაც შუაში ენაკი აქვს. დაკვრისას ვარგანს კბილებზე მიიბჯენენ, ენაკს გამოსწევენ თითით, ძაფით ან ჯოხით. პირი მოძრავი რეზონატორის როლს ასრულებს. პირის ღრუს ფორმისა და მოცულობის ცვლა წარმოქმნის მელოდიის შესრულებისათვის აუცილებელ ობერტონული რიგის ტონებს. რადგანაც ვარგანს ჩუმი ჟღერადობა და მცირე კვარტული ან კვინტური დიაპაზონი აქვს, მისი რეპერტუარიც მოკლე საცეკვაო მელოდიებითა და ტრადიციული მისამღერებით ამოიწურება. ვარგანი გავრცელებულია შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ხალხებში. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ევროპაში პოპულარული იყო გაუმჯობესებული **ვარგანი – აურა...**“ (ქსე IV, 1979).¹

მსგავსი წარმოშობისაა, ასევე მუსიკალური საკრავის (მართალია, სრულიად განსხვავებული ტიპის) აღმნიშვნელი, ქართულში

¹არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც: **ვარგანი** < პოლონ. warga „პირი, ბაგე [ტუჩი]“... (იხ. ლავრიენკო 1995, შდრ. დალი 1880).

დამკვიდრებული სიტყვა **ორღანი(ორგანი)**, შდრ. მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

„**ორღან-ი** (უმართებ.) იხ.**ორგანი**... **ორგან-ი** [< ბერძნ. organon მუსიკალური საკრავი] – კლავიშებიანი დიდი და რთული სასულე მუსიკალური საკრავი; აქვს მილების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერვლით იჭირხნება“ (ჭაბაშვილი 1989).

შდრ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: „**ორგან-ი** (ლათ. organum < ბერძნ. ὄργανον) კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი. შედგება ერთ-ერთ კორპუსში მოთავსებული სხვადასხვა ზომის ხისა და ლითონის მილებისა და პნევმატური სისტემისაგან. საკრავს მიდგმული აქვს სამართავი ანუ საშემსრულებლო კათედრა, რომლის პულტზედაც ხელისა (მანუალი) და ფეხის (პედალი) კლავიატურებთან ერთად თავმოყრილია ყველა რეგისტრის სახელურები, ეს სახელურები ამოდრავებს სათანადო ბერკეტებს, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და დამატებითი მილების ჩართვა-გამორთვასა და ხმოვანების გაძლიერება-შესუსტებას ემსახურება... **ორგან-ს** შეიძლება ჰქონდეს სამი სახის გადაცემათა სისტემა (ტრაქტურა): მექანიკური, პნევმატური და ელექტრული ტრაქტურების შეთანხმება. **ორგანის** წინამორბედებია: სოლინკა, ძვ. ჩინური შენი, ევროპული პანის ფლეიტა; ძვ. წ. III ს-ში საბერძნეთში გამოიგონეს **წყლის ორგანი** – ჰიდრავლოსი... გიგანტური **ორგანები** დგას მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, რიგის, კიევის, თბილისის, ტალინის, ტამპენტის საკონცერტო დარბაზებში“ (ქსე VII 1984, 561).

შდრ. მოკლე მუსიკალური ლექსიკონი: „**ორღანი** (ლათ. იარაღი, ხელსაწყო) კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი, შედგება ერთ კორპუსში მოთავსებული სხვადასხვა ზომის ხისა და ლითონის მილებისა და პნევმატური სისტემისაგან. ხმოვანების სიძლიერით და ტემბრული სიმდიდრით **ორღანი** სიმფონიურ ორკესტრს უტოლდება“ (მუსიკალური ლექსიკ. 1999).

ორღანი ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონში **ორღანო** ფორმითაა დამოწმებული: „**ორღანო** I. ზო-

გადად მუსიკალური ინსტრუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. 2. საბერვლიანი საკრავი ...“ (ქმკელ 2011).¹

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით:
„**ორღანო** (ორღანოსი) ძვ. 1. იხ. ორგანო. 2. იხ. ორგანო?²“

„**ორგანო**[ბერძნ. organon-იდან იარაღი] 1. ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის ნაწილი, რომელსაც აქვს განსაზღვრული აგებულება და ფუნქციები. მეტყველების ორგანოები. – თვალი არის მხედველობის ორგანო... 2. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება. – მმართველობის ორგანოები... 3. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი)...“ (ქეგლ VI, 1960).²

„**ორგან-ი**² [ბერძნ. organon-იდან იარაღი] კლავიშებიანი დიდი და რთული მუსიკალური ინსტრუმენტი, აქვს მიღების სისტემა, რომელშიც ჰაერი საბერვლებით იჭირხნება“... **ორგანისტ-ი** ორგანის დამკვრელი“... (ქეგლ VI, 1960).³

სულხან-საბას ლექსიკონშიც დასტურდება **ორღანო**:

„**ორღანო** (150,4 ფსალმ.) საკრავია საბერვლიანი Z. საკრავია საბერვლითა [ქართულად ნესტემრავალი Aa]...“⁴

სულხან-საბას ლექსიკონში **ორღანოს** მეორე მნიშვნელობაცაა: „**ორღანო** ჭურჭელი(ა). იარაღი ZABCD“ (სულხან-საბა I, 1991); უცხო შესიტყვებანში კი სულხან-საბა მიუთითებს მის ლათინურ წარმომავლობაზე: „**ორღანო L** ორღანო ...“ (სულხან-საბა II, 1993).

¹„**ორღანო** 1. ზოგადად მუსიკალური ინსტრუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი.[ლიტ.: მ. შილაკაძე, დავით აღმაშენებლის იტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გაგებისათვის. – ანალები, 1999, N2, გვ. 23-25. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები, თბ. 1938].2. საბერვლიანი საკრავი.[ლიტ.: მ. შილაკაძე, დავით აღმაშენებლის იტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გაგებისათვის. – ანალები, 1999, N2, გვ. 23-25. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები, თბ. 1938]“ (ქმკელ 2011).

²როგორც ცნობილია, სიტყვა **ორგანო** // **ორღანო**, რომელიც ძველი ბერძნულიდან შემოდის ძველ ქართულში, მრავალმნიშვნელოვანია, და, შესაბამისად, ქართულშიც ინარჩუნებს ამ მრავალმნიშვნელოვნებას.

³მდრ.: „**ორგან-ი** ორმაგი განის მქონე (ქსოვილი). ორგანი ჩითი...“ (ქეგლ VI, 1960). ამ შემთხვევაში ომონიმურ წყვილთან გვაქვს საქმე.

⁴მდრ.: „ქართული ფსალმუნის სიმფონია“: „**ორღანო-ი** აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა, აქებდით მას მნობითა და ორღანოფთა 150,4G.“ (მ. შანიძე 2010, 194). აქაც ფსალმუნის ეს ადგილია დამოწმებული.

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონიც ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობას ადასტურებს: „**ორღანო** 1. სხეულის ნაწილი, ორგანო *τὸ ὄργανον*; 2. მუსიკალური ინსტრუმენტი (სხვ.)...“ (ძვ. ქართ. შეერთ. ლექსიკ. 2008).

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს (წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“), „ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ბევრი სხვადასხვა ძაღებიანი საკრავი ჰქონია ხალხს, ზოგი ადგილობრივი, ზოგი უცხო, ზოგი უძველეს ხანაში, ზოგი შემდეგში შეთვისებული... (გვ. 116). **ეზანისა და ქნარის** სახელები, როგორც ნათარგმნს, ისევე ორიგინალურს ქართულ ძეგლებში ხშირად გვხვდება... **ეზანი** ამ საკრავის ქართული სახელი ჩანს. საკრავიც ქართული იყო თუ არა თავდაპირველად, ეს ჯერ გამოსარკვევია... [გვ. 123]. ებრაელთა მეორე ჩვეულებრივი ძაღებიანი საკრავის სახელი არის **ნობელ**, ანუ **ნებელ**, რომელიც ბერძნულად **ნაზლა**-დ, ანდა **ნაჟლა**-დ არის გადმოცემული, ქართულად კი **საფსალმუნე**-დ არის ნათარგმნი, უფრო ხშირად **საფსალმუნე** ბერძნულ **ფსალტერიონ**-ს, ლათინურს **psalterium**-ს, ან **organum**-ს, ანდა **lyra**-ს და სომხურ **ნოვაგარან**-ს ან **სალმოსარან**-ს უდრის... „დაბადებაში“ ამავე საკრავის მესამე სახელიც, **საგალობელი**-ც გვხვდება: „აღიღებენ **საგალობელსა** და ეზანსა“ (იოზისი 21¹²)... [გვ. 124]. **საგალობელი**-ს სინონიმად დაბადების ქართულ თარგმანში **ორღანო**-ც გვხვდება. მაგ., **2 მეფეთა 65**-ში ნათქვამია: „დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს... მროკველნი **ორღანოთა** შეკმობილითა“...; **2 მეფეთა 614**-შიც: „დავით უცემდა **ორღანოთა** შებანებულითა“...

ამ საკრავის სახელი მე-11 ს. ქართველ ისტორიკოსსაც აქვს ნახმარი. მაგ., გიორგი მთაწმიდელის გარდაცვლაზე გიორგი ხუცესმონაზონს ნათქვამი აქვს: „რა ჟამს განითქვს ჰამბავი ესე საგლოველი, მაშინ აღივსნეს გზანი უდაბნოსანი გოდებითა მგლოვარეთათა... ვიცი სხუადგა რადმე გოდებად იერემიასი, შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რომელი იგი... იტყვს, ვითარმედა: „ძეწნთა ზედა დავკვიდენით ორღანონი ჩუენნი“, რამეთუ დუმილისა მიერ თავთა თვსთა და ორღანონიცა თვსნი დასაჯნეს... ჰე, ჭემმარიტად, და უქმად და უძრავად ორღანონი იგი მეტყუელებისა ჩუენისანი დუმილისა მიერ შეშათა ზედა დავკვიდენით!“ (ცხოვრებად გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 341)... (ჯავახიშვილი 1938, 116, 123-124).

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, უმთავრესად ქალაქებში, გავრცელდა მექანიკური საკრავი – ხელით სატარებელი ორგანი, – **არღანი** (**ორღანის ნაირსახეობა**), რომელიც საფრანგეთში შეიქმნა XVII საუკუნის ბოლოს და მოხეტიალე მუსიკოსების ინსტრუმენტად იქცა:

„**არღანი** მექანიკური საკრავი, ხელით სატარებელი ორგანის სახეობა, შეიქმნა ევროპაში XVIII ს-ში, საქართველოში გავრცელდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, უმთავრესად ქალაქებში. **არღანი** მოზრდილი ყუთია, შიგ ხმოვანი მილები, საბერველი და მუთაქისებური ლილვაკები ჩაწყობილი. თითო ლილვაკზე მუსიკალური პიესაა მოთავსებული, ლილვაკების ასამოძრავებლად საკრავს გვერდზე სატრიალებელი სახელური აქვს. აქვეა ლილვაკების გადამრთველი მექანიზმიც, ტრიალისას ლილვაკის ამობურცული ნაწილები სათანადო ლილვაკებში ჰაერს უშვებენ, რითაც ხდება ბგერების წარმოშობა. ეს მექანიკური საკრავი, – ხელით სატარებელი ორგანი გაჩნდა საფრანგეთში XVII საუკუნის ბოლოს და გერმანიაშიც გავრცელდა, მალე მოხეტიალე მუსიკოსების ინსტრუმენტად იქცა. XIX საუკუნის ბოლოს ნემსიანი ლილვაკები შეიცვალა ლითონის დეტალებით. ამ სრულყოფის შედეგად შესაძლებელი გახდა პოპულარული სიმღერების, ცეკვების, ოპერებიდან ნაწყვეტების ჩაწერაც კი. რუსეთში ეს მექანიკური საკრავი შემოვიდა XIX საუკუნის დასაწყისში და გავრცელდა „შარმანკას“ სახელწოდებით. სახელწოდება წარმოდგება ფრანგული ხალხური სიმღერის („მშვენიერი კატერინა“ – ფრანგ. Charmante Catherine) დასაწყისი სიტყვებიდან, რომელიც პირველად გაისმა ამ საკრავიდან. **არღანი** მალე გახდა პოპულარული და მასზე შესრულებული ნაწარმოებები (რუსული და ევროპული სიმღერები, ოპერიდან ნაწყვეტები) ქალაქური ფოლკლორის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. დაიწყეს მასზე ახალი, ქალაქური სიმღერების (აღმოსავლურ მოტივებზე) ჩაწერა და აჟღერება, შეიქმნა ე.წ. თბილისური რეპერტუარი... **არღანის** მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი: მისი ერთი ნაწილი საკმაოდ ნეგატიურად აფასებდა და მასში ქართველების მუსიკალური გემოვნების შერყვნის საფრთხეს ხედავდა. ეს განწყობილება აისახა კიდეც XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში...“ (ქმკელ 2011).

არღანი (მუსიკალური საკრავი და, შესაბამისად, სახელწოდებაც) ევროპიდან შევიდა ოდესაში, მერე – ოდესიდან თბილისში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „**არღან**-ი [რუს. орган < ბერძნ. organon] მექანიკური სამუსიკო საკრავი, მხარზე გადასაკიდებელი; უკრავდნენ ტარის ტრიალით... ფიგურ. ახლა კი, როცა არღანი დარდობს, არ შემოდოა გავექცე ფიქრებს (მ. ფოცხ. თარგმ.)...“ (ქეგლ I, 2008). ასევე, შეიძლება ტიცვიან ტაბიძის სტრიქონები მოვიყვანოთ ილუსტრაციისათვის: „და ალიონზე თეთრ დუქანთან სტირის არღანი, მტკვარი ახლოა, უნდა მტკვარში თავი დავიხრჩო...“

„**არღანი** მექანიკური საკრავი, გადასატანი უკლავიშო **ორღანის ნაირსახეობა**, შეიქმნა ევროპაში XVIII საუკუნეებში, საქართველოში გავრცელდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, უმთავრესად ქალაქებში. **არღანი** მოზრდილი ყუთია, შიგ ხმოვანი მილები, საბერველი და მუთაქისებური ლილვაკებია ჩაწყობილი და თითო ლილვაკზე მუსიკალური პიესაა მოთავსებული, ლილვაკების ასამოძრავებლად საკრავს გვერდზე სატრიალებელი სახელური აქვს. აქვეა ლილვაკების გადამრთველი მექანიზმიც, ტრიალისას ლილვაკის ამობურცული ნაწილები სათანადო ლილვაკებში ჰაერს უშვებენ, რის მეოხებითაც ბგერები წარმოიშობა“ (მუსიკალური ლექსიკ. 1999).

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ეს სიტყვები ერთი წარმომავლობისაა – (ლათ. organum < ბერძნ. ὄργανον), – მაგრამ სხვადასხვა დროს – სხვადასხვა გზით, სხვადასხვა კულტურიდან – სხვადასხვა მნიშვნელობით (განსხვავებული ინსტრუმენტების აღსანიშნავად, და არა მარტო – მუსიკალური საკრავების) – შემოდის ქართულ ყოფაში და, შესაბამისად, მკვიდრდება კიდევ ქართულ ენაში.

